პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

იანვარი
№ 1 1982 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ედუარდ შევარდნაძე,**

სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

# სამშობლოა თქვენი მეკვლე

## სიტყვა ახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრისას 1981 წლის 31 დეკემბერს

ახალგაზრდობასთან რესპუბლიკის ხელმძღვანელთა საახალწლო შეხვედრა ტრადიციად იქცა. კიდევ ერთი კარგი სოციალისტური ტრადიცია დამკვიდრდა. ძველს რომ ვაცილებთ და ახალ წელს ვხვდებით, ჩვენი აზრი და გონება, ბუნებრივია, მომავლისკენაა მიმართული. მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის.

ამგვარად, თქვენთან შეხვედრა ქვეყნის მომავალთან შეხვედრაა, რომელსაც ახალი წლის მოახლოება საზეიმო ელფერს აძლევს.

საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, კომუნისტებისა და უპარტიოთა სახელით, ჩვენი მშრომელების სახელით გილოცავთ ახალი წლის დადგომას. დაე, ყოველმა ახალმა წელმა მრავალი გამარჯვება და ბედნიერება მოგიტანოთ თქვენ.

მაგრამ ბედნიერება რომ დაგეკვებოთ, კეთილი მეკვლე უნდა გყავდეთ. ასეთია ჩვენი ხალხის ბრძნული ტრადიცია. მეკვლე კი, ჩემს წარმოდგენაში, სამშობლოა, რომელიც თქვენ ასე თავდავიწყებით გიყვართ. სწორედ სამშობლოს სიყვარულზე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა ამ ულამაზეს, ნეტარ წუთებში. ახალს არაფერს ვიტყვი, ორიოდე ჭეშმარიტებას, ყველასათვის კარგად ცნობილს გავიმეორებ. განმეორება ხომ ცოდნის დედაა.

სამშობლო, სამშობლოსადმი სიყვარული ფასდაუდებელი განძია, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით რომ გადაეცემა.

ჩვენ ვგრძნობთ თქვენი გულების ძალუმ ფეთქვას და ხელების თრთოლვას, ამ განძს რომ ეხებით.

განძი იგი უმშვენიერესია და ულამაზესი. იგი შეგიძლია ხატო, შეამკო, უსასრულოდ უმღერო, მაგრამ ეს საკმარისი როდია. სამშობლოს სიყვარულის განცდა ყველაზე დიდი ბედნიერება კი არის, მაგრამ ამ ბედნიერებას რომ ეზიარო, ტვირთი უნდა ზიდო, მსხვერპლიც უნდა გაიღო, ამ ტვირთს მოვალეობა ჰქვია.

სამშობლო ისეთი განძია, თუ ზრუნვა მოაკლდა, ჟანგი მოეკიდება, ჟანგი კი რკინასაც ჭამს...

ყოველმა ახალმა თაობამ ისე უნდა იცხოვროს, რომ ამ სათაყვანებელ განძს ახალი რამ თვისება შესძინოს, ახალი ელვარება შემატოს.

მხოლოდ იმას აქვს უფლება დატკბეს სამშობლოს სიყვარულით, განცდილი ბედნიერებით, ვისაც ტვირთის ტარება, მოვალეობის შესრულება, მსხვერპლის გაღება შეუძლია.

პირველი და უმთავრესი, რასაც სამშობლო თქვენგან მოითხოვს და რის შესახებაც გენიალური ლენინი ლაპარაკობდა, სწავლა გახლავთ. ისწავლეთ კომუნიზმი, მოუწოდებდა იგი სოციალისტური ცივილიზაციის ყველა თაობას.

სამშობლოს საკეთილდღეოდ მუყაითი, ბეჯითი, მე ვიტყოდი, თავდადებული მეცადინეობითა და სწავლით, მეცნიერების, კულტურის მონაპოვართა ათვისებით და შემოქმედებითი გამოყენებით მონიჭებული დიდი სიხარული მინდა გისურვოთ თქვენ და თქვენს თანატოლებს ახალი წლის კარიბჭესთან.

მინდა გისურვოთ ცოდნაზე დაფუძნებული დიდი და ნათელი რწმენით, ჯანსაღი ოპტიმიზმით, გაბედული ოცნებებით გასხივოსნებული შემართებული ცხოვრება აწ და მარადის.

გვახსოვდეს, სამშობლოს სიყვარული ცოდნით, განათლებით, მაღალი კულტურით, ჯანსაღი რწმენით გამოხატული ის ძალაა, სასწაულების მოხდენა რომ შეუძლია.

სამშობლო, უწინარეს ყოვლისა, ხალხია. მაგრამ სამშობლო ის დიდებული ტაძარია, რომელსაც თაობები საუკუნეთა განმავლობაში აგებდნენ. სად თქმულა ძლიერი სამშობლო დიდი მატერიალური და სულიერი დოვლათის გარეშე, დოვლათის შექმნა ყველა საზოგადოების, ყველა თაობის უპირველესი ამოცანაა.

გისურვებთ, ყველა თქვენგანს, ყველა თქვენს თანატოლს იპოვოს თავისი ღირსეული ადგილი ხარაჩოზე, დაზგასთან, ვენახსა თუ ჩაის პლანტაციაში, საწერ მაგიდასთან თუ სახაზავ დაფასთან. არ დაგვავიწყდეს: სად თქმულა სამშობლოს სიყვარული შრომის სიყვარულის გარეშე. ადამიანი, რომელიც სამშობლოს ერთგულებას გულში მჯიღისცემით ეფიცება, შრომა კი არ უყვარს, სუფთა წყლის დემაგოგია.

შრომა საფუძველია სამშობლოს ძლიერებისა და სილამაზისა. სამშობლოს სიყვარული გარჯა-ჯაფით უნდა მოავარაყოთ, თუ მშობელი ხალხის კეთილდღეობა, მისი სულიერი და ინტელექტუალური აღზევება გსურთ.

ჭეშმარიტი მამულიშვილის მკერდში არ შეიძლება ეგოისტის გული ფეთქავდეს. სამშობლოს სიყვარული, თუ შერწყმული არა გაქვს მოძმე ხალხების ასევე უსაზღვრო პატივისცემასთან, თუ მზად არ ხარ გამდიდრდე იმ წვლილით, რომელიც სხვა ერებს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში შეუტანიათ, გამდიდრდე და სათანადოდ დააფასო იგი, — ეროვნული კარჩაკეტილობა და პროვინციალიზმია.

ეროვნული სიამაყე თავმდაბლობასა და თვითკრიტიკულობას უნდა შეერწყას, საკუთარი წარსულისა და აწმყოს თაყვანისცემა — სხვა ხალხთა დამსახურების აღიარებას. უდავო ჭეშმარიტებაა: დიდი და წრფელი სიყვარული ხშირად უსიტყვოა, ვერ გუობს ტრაბახს, ამპარტავნობას, პატივმოყვარეობას.

გისურვებთ, მეგობრებო, სამშობლოსადმი თქვენმა სიყვარულმა გამოხატულება პოვოს ყოველი ახალგაზრდის მხურვალე პატრიოტობითა და ღრმა ინტერნაციონალიზმით, რათა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინური, ზოგადსაკაცობრიო იდეები ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის ურყევ მრწამსად, ცხოვრების პრინციპად ჩამოყალიბდეს.

საქართველოში სტუმრად რომ იყო, ჩვენი ხალხის დიდმა მოამაგემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მრავალ სასიკეთო რჩევათა შორის ერთი მეტად მნიშვნელოვანი სურვილი გამოთქვა: თქვენში ისეთი წმინდა ზნეობრივი კლიმატი დაამკვიდრეთ, როგორიც თქვენი მთის ჰაერიაო. ხატოვნად და დიდი სიყვარულითაა ნათქვამი. ზნეობრივი სიმდიდრე უმთავრესი ეროვნული და ინტერნაციონალური საუნჯეა ყველა ხალხისა. შეიძლებოდა ასე თქმულიყო: რა რომ ზნე წახდეს, ერიც დაეცეს.

სამშობლოს სიყვარული მაღალი ზნეობრივი პრინციპების ერთგულებას ნიშნავს, შერყეული და გათელილი მორალი სამშობლოს ღალატია.

ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ვუსურვებ, ამაღლებული ზნეობისა და წმინდა მორალისათვის ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაესახოთ, რამეთუ უკვდავია ქვეყანა, სადაც მთის ჰაერივით სპეტაკი ზნეობა ბატონობს, წყაროს წყალივით ანკარა მორალი მკვიდრდება. სოციალისტური საზოგადოება გულუხვია. თქვენ მრავალი სიმდიდრის გამგებელი ხართ. საჭიროა, ვიცოდეთ ამ სიმდიდრეთა ფასი. მაგრამ არის ერთი სიმდიდრე, რომელიც ფას-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდებელია.

დრო!

დრო, განკუთვნილი სწავლისათვის, შრომისათვის, დასვენებისათვის, ოჯახური ცხოვრებისთვის.

ყველა ზარალის ანაზღაურება შეიძლება, გარდა ახალგაზრდობაში დაკარგული დროისა. ყველაზე ბოროტი მფლანგველობა უმიზნოდ დროის ფლანგვაა. დრო, რომლის განმკარგულებელი შენა ხარ, მარტო შენ არ გეკუთვნის. იგი სახალხო კუთვნილებაა, სამშობლოს სიმდიდრეა. გამოიყენე იგი ისე, როგორც სამშობლო მოითხოვს.

ჩემს უმცროს მეგობრებს ვუსურვებ, კარგად სცოდნოდეთ დროის ყადრი და თითოეული წუთისათვის მიენიჭებინოთ თავისი დანიშნულება და მიზანი.

მინდოდა ამ ახალწლის წინა საღამოს რამდენიმე სიტყვა მეთქვა ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული პრობლემის გამო. ცნობილია, რა ძვირად დაუჯდა საბჭოთა ხალხს ეხსნა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მსოფლიო ცივილიზაცია მიხაკისფერი ჭირისაგან.

მარტო საქართველოში 300 ათასამდე ვაჟკაცი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. 300 ათასი ვაჟკაცი... 300 ათასი მამა...

ომმა მძიმე კვალი დატოვა. ამის გამოცაა, რომ შობადობის პრობლემა საქართველოში ისევე მწვავედ დგას, როგორც იმ რესპუბლიკებში, რომელთა ტერიტორიაზეც ომის ქარცეცხლმა გადაიარა. წინა თაობამ უზარმაზარი მსხვერპლის ფასად თავისუფლება შეუნარჩუნა ახალ თაობებს. თქვენი ვალია, დაეხმაროთ სამშობლოს ჭრილობების მოშუშებაში, დანაკლისის ანაზღაურებაში.

ჩვენ ახლახან მივიღეთ სპეციალური დადგენილება მრავალშვილიანობის წასახალისებლად, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გასაძლიერებლად.

ვინც საქართველოს ისტორია იცის, დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ხალხი ფიზიკურ და სულიერ განადგურებას დედამ გადაარჩინა, ქართვლის დედამ, რომელიც მამულს უზრდიდა შვილსა. მრავალშვილიანობა არანაკლებ საჭიროა დღეს, ვიდრე წარსულში. მე ერთხელ უკვე ვთქვი კომკავშირელებთან შეხვედრისას და ახლაც გავიმეორებ: მრავალი შვილი მუშათა კლასის მრავლობაა, მრავალი შვილი ბევრი მიწის მუშაა, მრავალი ინჟინერი და აგრონომია, მრავალი მეცნიერი და შემოქმედია, მრავალი ჯარისკაცი და გენერალია; მრავალი შვილი ჩვენი ხალხების ურღვევი კავშირის ძლიერებაა, მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა.

მინდა გისურვოთ, მეგობრებო, ნამუსიანად მოგეხადოთ ვალი სამშობლოს წინაშე, შვილთა ჭყლოპინი, ბავშვთა ტიტინი — ეს საოცარი სიმფონია ხალხის დღეგრძელობისა, მარადისობისა, კიდევ უფრო მრავალ ხმაზე ჟღერდეს მრავალ ოჯახში.

მე დამამახსოვრდა პოეტ მორის ფოცხიშვილის ერთი ლექსი, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: შემეჯიბრეთ, ვისაც გნებავთ სამშობლოს სიყვარულშიო. თუ პოეტურ ნათქვამს პირდაპირ გავიგებთ, მე პირადად ასეთ შეჯიბრებას მხარს ვუჭერ, მხოლოდ იმ ცნებათა ფარგლებში, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს სწავლასა და შრომაში, შეეჯიბრეთ—ვინ მეტ წვლილს შეიტანს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მეცნიერების წინ წაწევაში, შეეჯიბრეთ ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, სიკეთის თესვაში, ბოროტების დათრგუნვაში, შეეჯიბრეთ მაღალი ზნეობისა და წმინდა მორალის დამკვიდრებაში, შეეჯიბრეთ კომუნიზმის ერთგულებაში, სამშობლოსათვის თავდადებაში.

და დასასრულ:

სამშობლოსადმი ნამდვილ თავდადებას და სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ქვეყნისათვის „თავშეწირულთა“ თამაშთან. ამ საზეიმო წუთებშიც უნდა ვთქვა: დიდ გულისწყრომას იწვევს, როცა ქვეყნის პატრონობას, მის ქომაგობას ჩემულობს პიროვნება, რომელსაც კაპიკის საღირალი არაფერი შეუქმნია და ვერც შექმნის.

ასეთებს საკუთარი პერსონის განდიდების წყურვილი უფრო აწუხებთ, ვიდრე სამშობლოს ინტერესები.

სამშობლო ის განძი არ არის, ერთეულ ხელმოცარულთა პატივმოყვარეობის დაოკების საგნად რომ გამოდგეს.

სამშობლოს პატრონი მუშა კაცია, ვინც ფუტკარივით შრომობს, ფიზიკურად თუ გონებრივად, ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს აკვანთა სიმრავლეში, ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდაში!

ჩვენ კი, კომუნისტები, თქვენი მამები და დედები, მსაჯულნი ვიქნებით ამ ისტორიულ შეჯიბრებისა, ზრუნვას და დახმარებას არ მოგაკლებთ, თქვენთან ვიქნებით ჭირსა და ლხინში, რამეთუ თქვენ ხართ ჩვენი ცხოვრების მიზანი და იმედი ხვალისა.

ბედნიერი, მშვიდობიანი შრომის და მშვიდობიანი ბრძოლის წელი დაკვებებოდეს საქართველოს ყველა მშრომელს, ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ახალი წელი, ძვირფასო ქალიშვილებო და ჭაბუკებო!



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№1 (541) იანვარი. 1982

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.



**აგიხდეს ყველა სურვილი ძნელი,**
**კეთილი გულით რაც კი ინატრო!**
**მეგობრად გექცეს ახალი წელი,**
**ბედნიერების გზა გაგინათოს!**


ელექტრონული ბიბლიოთეკა

## მრავალ ახალ წელს!

სიხარულისა და მადლობის გრძნობით ვიგონებ ჩემს შეხვედრებს მშვენიერ საქართველოსთან, მის გულუხვ მასპინძლობას.

ბედნიერებასა და სიკეთეს ვუსურვებ ჟურნალ „დროშის" მკითხველებს.

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

**თევდორე აბრამოვი,**
სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.
ლენინგრადი.

## „დროშის" მკითხველებს

მხურვალედ ვულოცავ ახალ 1982 წელს „დროშის" მკითხველებს და მათთან ერთად ქართველ ერს, დიდი წარსულის მქონესა და კიდევ უფრო დიდი მომავლის მომლოდინეს, მისთვის მზრუნველსა და მოტრფიალე ერს, რომელმაც კაცობრიობის სალაროს უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" შესძინა.

გასულ წელს, საკმაოდ მძიმე უამინდობის პირობებშიც კი, ჩვენმა ერმა შეძლო, რიგიანი შედეგები მიეღო სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. სულით და გულით ვუსურვებ მას, რომ მშვიდობა დამყარებულიყოს მსოფლიოში და ქართველობას კვლავ განეგრძოს თავდადებული შრომით სულ წინსვლა, უკეთესი ცხოვრების შექმნა და თავისი ადგილის მტკიცედ დაცვა.

კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი:
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი.

რუსთველის ეს ბრძნული სიტყვები დაიმოწმა მშვიდობისათვის დიდმა მებრძოლმა ლეონიდე ბრეჟნევმა გასული წლის მაისში, თბილისში ყოფნისას. ჩემი დიდი სურვილია, რომ ძალა და მტრობა კი არ იყოს გადამწყვეტი, არამედ გონივრული შეთანხმება, ერთურთის გაგება და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება, რომ კაცობრიობა კი არ გადაიჩეხოს უფსკრულში ბირთვული კატასტროფის გამო, არამედ მოინახოს სწორი გზა ბრწყინვალე მომავლის დასამყარებლად ქვეყანაზე.

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს მშვიდობას მთელ დედამიწაზე!

კაი ახალი წელი ყველას, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ნაცნობსა და უცნობს!

**აკაკი შანიძე**



## ლეჩხუმის მთებიდან

მოგესალმებით და ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჟურნალ „დროშის" მკითხველებო!

მრავალი სასიხარულო გამარჯვება მოგვიტანა 1981 წელმა. ეს გამარჯვებები ჩვენი ადამიანების რწმენის, თავდადების, ნიჭისა და ერთგულების გამოხატულება იყო.

1981 წლის უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა მოვლენებმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტუმრობამ საბჭოთა საქართველოს იუბილეზე — ახალი შთაგონებითა და ენერგიით აღავსო ყველა ჩვენგანი, რათა კვლავ ერთსულოვნად ვემსახუროთ ხალხსა და ქვეყანას.

ცაგერის რაიონის მკვიდრები ახალ წელს დიდ სიკეთესა და ბედნიერებას უსურვებენ მშობლიურ საქართველოს, მის სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, მის შრომისმოყვარე და მეოცნებე ახალგაზრდობას!

**რამაზ მხეიძე,**
საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი.



## სიხარული დაგვებედოს

სამადლობელი გვეთქმის: 1981 წელი სასახელო მაჩვენებლებით გავაცილეთ.

კარგად გვახსოვს, საბჭოთა საქართველოს და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ზეიმზე ამხანაგმა ლეონიდ ბრეჟნევმა როგორი მაღალი შეფასება მისცა ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს.

1982 წელი ახალ ზღუდეთა გადალახვის, ახალ გამარჯვებათა მოპოვების წელი უნდა გახდეს.

დაე, სიკეთით ევლოს ახალ წელს!
გამარჯვება დაგვებედოს!
სიხარული დაგვებედოს!

**პაატა გვეტაძე,**
თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

ზურაბ კუხიანიძე



# ზაფხულში მიბრუნება

მესტია, ანზორ ჯაფარიძეს

ამას წინათ საწერ მაგიდაზე სვანური უბის წიგნაკი მომხვდა ხელში და რომ გავშალე, თქვენთან გადაღებულმა ფოტოსურათებმა შემომცინეს. თქვენ უშბის ფონზე მხრებგაშლილნი ჩანდით და იღიმებოდით, მაგრამ მე ცუდ ხასიათზე დავდექი; კაი გვარიანი დრო გასულა მის მერე და ცოტა დააკლდა, რომ ჩვენი შეხვედრების შთაბეჭდილებებს დავიწყების ფერფლი გადაჰფარვოდა. ჩანაწერებს ფიცხლად ჩავუჯექი და კალამიც მოვიმარჯვე, ეს მაშინ, როცა ირლულდის საძოვრებზე ალბათ უკვე თოვლი მოვიდა და ჩემი ნაფეხურები სამუდამოდ წაშალა.

ჩემო ანზორ! გამოსავალი მაინც მოვძებნე, თავის გასამართლებლად ამ ბარათს გწერ, სადაც დაწვრილებით გავიხსენებ ივლისში თქვენთან გატარებულ მშვენიერ დღეებს, თქვენთან — მწყემსებთან და მთიბავებთან, თავდადებულ მშრომელ სვანებთან საუბარსა და ლხინს, საქმიან კამათსა და ნაკლოვანებებზე დაუფარავ მსჯელობას. თანაც მწერლურ ხერხს მოვიშველიებ და ძნელ საქმეს შევებმები — ზაფხულში მიბრუნებას შევეცდები. ეს მარტოდენ მხატვრული წარმოსახვით შეიძლება, თორემ კარგად მოგეხსენება, წარსულ ზაფხულს კი არა, გუშინდელ დღეს ვერაფრით დაიბრუნებს ადამიანი.

რა დამავიწყებს იმ დღეს, დილაუთენია მესტიის ერთადერთ მოასფალტებულ ქუჩაზე შენი „კოლხოზნიკით“ რომ ჩავიგრიალეთ და მთის კალთაზე ახლადგაჭრილ სამანქანო გზას შევუდექით: შენ— მესტიის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მკვირცხლი და ჯანიანი ახალგაზრდა კაცი, საჭეს მარჯვედ ჩაფრენოდი და ამ „ეშმაკების საჯირითო“ გზაზე ოსტატურად მიაგელვებდი მანქანას. გზა თავისი აღმართებითა და მკვეთრი მოსახვევებით, ნაშალი გრუნტითა და ალაგ-ალაგ ჩამოზვავებული ქვა-ღორღით მართლაც ძნელი და სახიფათო იყო. ვიწროში, ზედ უფსკრულის პირს ებჯინებოდა საბურავები; ორი თითის დადებით გადაცდენა და ალბათ ჰაერში გავფრინდებოდით. მიწაზე ვერც დავაღწევდით — ქვევით, ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული ფიჭვებისა და ნაძვების კენწეროებზე ფრთებმოტეხილი ფრინველებივით გადავეხაფრებოდით. ახლა ვრწმუნდები, რომ ამ გზაზე უფრო მოხერხებულად და საიმედოდ ვერც ერთი გამოცდილი მძღოლი ვერ წაიყვანდა მანქანას.

მანქანაში ჩვენთან ერთად იყვნენ მეურნეობის მთავარი აგრონომი კარლო გვარლიანი და გაზეთ „ახალი სვანეთის“ ფოტოკორესპონდენტი გრიგოლ ჯაფარიძე.

სამანქანო გზა რომ დამთავრდა, „კოლხოზნიკმა“ მდელოზე ასიოდე მეტრი გაირბინა, ფერდობის ძირას ბუჩქებში შერგო თავი, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და იმწამსვე ძილი მოერია. აქედან საძოვრებისკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკი იწყებოდა.

ერთ საათზე მეტი მოვუნდით გორაკზე გადასვლას. გადავედით და თვალის მომჭრელი საოცარი სურათი გადაიშალა — ჩვენს წინ უშბა და რუსთაველის პიკი აისვეტა. ცა სანატრელად იყო მოწმენდილი და ღრუბლის ჩადრმოხვეული უშბა საოცრად ელავდა. მხარმარჯვნივ ზვიადად აწვდილი რუსთაველის პიკი ქათქათებდა. ეს ორი თვალწარმტაცი გოლიათი ისე ახლო ჩანდა, იფიქრებდი, აი, ნახევარი საათიც და მათ კალთებს შევუყვებითო. თუ მუხლიც გაგვიჭრიდა, საღამომდე თოვლიან მკერდამდე მივაღწევდით კიდეც.

მწვერვალთა მისადგომებამდე საძოვრები ხასხასებდა — ნოყიერი და ყუათიანი, მათ ბალახს რძე რომ გასდის და საქონელი დილით რომ გადაძოვს, მეორე დღეს ისევ ძველებურად ბიბინებს. რომ მეგონა, ყველაფერს აქაურობას ირლულდი ერქვა, ასე არ ყოფილა. სხვადასხვა ფერდობზე და გორაკების კალთებზე გაშლილ საძოვრებს განსხვავებული სახელი აქვსო, ამიხსენი და კიდევაც ჩამომითვალე. ზოგიერთის სახელწოდებაც დავიმახსოვრე. აი ისინიც: ესტილაი (მოშიშვლებული ფერდობი), ფოშდელი (ფიქრის გორა), კვამშიანი, ქორულდი, სგიმ ნაკარ (მჟავე წყლების ვაკე ადგილი), ლენჯეში, დალა ნაკარ (დალის ვაკე), ლეჭმელი (მოსათიბი ადგილი), ჩახამჰხ (ანგელოზის ტბა), ლამაჯა და კიდევ სხვები.

ისიც მითხარი, სამკილომეტრიანი წყალსადენის პროექტი გვაქვსო გამზადებული. მაჩხბარიდან (ჩანჩქერი) მილებით წყალი უნდა მიიყვანოთ ფოშდელამდე, სადაც საქონელი წყურვილს მოიკლავს და მათი ფერმაში დასარწყულებლად ჩამორეკვა აღარ დასჭირდებათ მწყემსებს. სამანქანო გზაც უნდა გაგრძელდესო მალე. გზა ლეგვმერს— თოვლიან სათხილამურო ტრასას მიადგება და სპორტულ ღონისძიებათა მასობრივად გამართვას უზრუნველყოფსო...

აგერ ფერმაც გამოჩნდა — დაბურულ ტყეში ჩაფლული ხის გრძელი შენობა, საიდანაც ლურჯი კვამლი ამოდიოდა და დილის გამჭვირვალე ჰაერს შეუბრალებლად ბურღავდა.

მსხვილფეხა საქონელი ფერმაში არ დაგვხვედრია; როგორც კი ინათებს, საძოვარზე მიდენიან. მწყემსი ლავრენტი ხერგიანი ფარეხიდან თხებს ერეკებოდა. თავაღერილი, მუხლმაგარი ვაცები დაწინაურდნენ, ყოჩაღად შეუდგნენ აღმართს და მთელი არვე თავიანთ ტემპში გაიყოლეს.

ირლულდის საზაფხულო იალაღებზე მეურნეობას ხუთასამდე სული კარგად მოვლილი საქონელი ჰყავს. ამიტომაცაა, რომ პირველი შედეგებიც კარგი გაქვთ...

გრიგოლ ჯაფარიძემ ფოტოაპარატი მოიმარჯვა, კარლო გვარლიანი საუზმის თადარიგს შეუდგა, შენ კი ფერმის მშრომელ ადამიანებს მაცნობდი. აქ იყვნენ: ბრიგადირი გიორგი რატიანი, მწყემსები — ფრიდონ და ანვარ ხერგიანები (ანვარი მიშა ხერგიანის ძმაა), ლადო რატიანი; მწველავები — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ცარუ ფალიანი. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან ირა, ფაცა და ფაფალა ხერგიანები, ეთერ ფალიანი და ანა მარგიანი...

ჩემო ანზორ! შენ ასეთი ადამიანებით ხარ ძლიერი; თუმცა, მარტო შენ კი არა, მეურნეობა და მთელი ქვეყანაც ერთგულად მშრომელი ადამიანებითაა ღონიერი.

მესტიის რაიონში 8 საბჭოთა მეურნეობაა: უშგულის, იფარის, მულახის, მესტიის, ლატალის, ბეჩოს, ლახამულისა და ხაიშის მეურნეობა, რომელსაც 1976 წლიდან ხელმძღვანელობ, მრავალჯერ გამოსულა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული. მჯერა, ახალგაზრდული ენერგიით, მონდომებითა და საქმისადმი სიყვარულით კიდევ ბევრჯერ დაამტკიცებ ხალხისა და ქვეყნის ერთგულებას.

მეურნეობის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარეთ. მეცხოველეობის განვითარებისათვის მესტიის რაიონში ბევრი რამ გაკეთდა ბოლო ხანებში. მაგრამ არ დაგიმალავს ის ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ ხელს უშლის ამ საქმის განვითარებასა და მაღალ დონეზე დაყენებას. შენ კარგად იცი, რომ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, რომ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება, პირუტყვის საკვები ბაზის შეუქმნელად არ შეიძლება.

„ჩვენთან, მთის პირობებში, — თქვი შენ, — პირუტყვი მთელი ექვსი თვე ბაგურ კვებაზეა. წლის დანარჩენ დროს ამ ექვს თვეში სამყოფი თივის დამზადებას ვანდომებთ. მნიშვნელოვნად ავითვისეთ მთის სათიბები, მაგრამ დიდი ყურადღება მივაქციეთ ბარის სათიბების მოვლას. ახლა 1 ჰექტარი სათიბიდან 55-60 ცენტნერ თივას ვღებულობთ, ხოლო ინდივიდებზე გაპიროვნებული სათიბებიდან კი— 21-25 ცენტნერს.

საკვების გადიდებას სახნავ-სათესი ფართობების სათიბებად გადაქცევით ვერ მივაღწევთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათიბების მორწყვას, აგრეთვე მინერალური სასუქებით განოყიერებას. უნდა დაჩქარდეს მთის სამანქანო გზების მშენებლობა, მეცხოველეობის ფერმების შენობათა რეკონსტრუქცია. ფერმებში უნდა დაინერგოს მექანიზაცია, მკვეთრად გაუმჯობესდეს ვეტმომსახურება. მეტად უნდა ვიზრუნოთ ადგილობრივი ჯიშის მაღალპროდუქტიული ძროხების გადარჩევასა და ამ გზით ჯოგში პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე“.

ჩემო ანზორ! მეტი რა მოგწერო. მოკითხვა გადაეცი მესტიის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს — მთიბავებს, მწყემსებსა და მწველავებს — ჯაფარიძეებსა და ჩართოლანებს, ხერგიანებსა და ნიგურიანებს, ფილფანებსა და გოშთელიანებს, ფალიანებსა და რატიანებს. ხელი ჩამოართვი ბრიგადირებს — ვალოდია გოშთელიანსა და ბაგრატ კახაბერიძეს, რომელთა ბრიგადებმა თიბვაც არ დააგვიანეს და თივაც საიმედოდ დააბინავეს.

მოკითხვა გადაეცი მესტიის ახლომახლო მიყუჩებულ სათიბებს — ლაროლსა და დაბდერს, თეთნაშსა და იცხინდერს, ხარგაშსა და ლელლამას. ირლულდის საძოვრებს ხმას ვერ მიაწვდენ. ირლულდი ახლა ალბათ ქათქათა თოვლის ზეწრითაა დაფარული, ღრმად სძინავს და ზაფხულის მზით განათებული უშბა ესიზმრება.

ნახვამდის, მიშკულადე!

ღმერთმა საქონელი გიმრავლოს, ანზორ ჯაფარიძევ!

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ სვანეთის მკვიდრებო!

ქუთაისი.

# ნონა გაფრინდაშვილი

**თენგიზ გუაჩიძე**



ნონა გაფრინდაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, შესავალ სიტყვას ამბობს საქართველოს ჟურნალისტთა გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გიორგი გეღინეიშვილი.

როცა ნონა გაფრინდაშვილზე ვლაპარაკობთ, ვფიქრობთ, ვმსჯელობთ და ვაანალიზებთ მის ფენომენს, ალბათ რამდენადმე გვაოცებს იმის შეგნება, რომ ეს უბრალო, თავმდაბალი, კეთილი და ჩუმი ქართველი ქალი ჩვენი თანამედროვეა, თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, მოქმედებით, ყოფით, სიტყვითა და ქცევით განსაკუთრებულად არავისგან არ გამოირჩევა.

ჩვენ თვალწინ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, თავისი ფენომენალური მიღწევებით ისეთ ინტელექტუალურ დარგში, როგორიცაა სპორტის, ხელოვნებისა და მეცნიერების ზღვარზე მდგარი ჭადრაკი, მან, ნონა გაფრინდაშვილმა, ისე შორს გაუთქვა სახელი თავის სამშობლოს, პატარა საქართველოს, როგორც უწინ გაუთქვამდნენ ხოლმე სახელს ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ერის ყველაზე გამოჩინებული, ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლები.

მაგრამ ლეგენდები იშვიათად იქმნება ცოცხალ ადამიანზე მის თანამედროვეთა წრეში.

ლეგენდების ავტორია დრო.

და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დრო, რომელიც დადგება მრავალ წელთა შემდეგ და ქართველთა ის თაობა, რომელიც მაშინ მოვა, ლეგენდად აქცევს ერთი უბრალო ქართველი ქალის სახელს, ნონა გაფრინდაშვილის სახელს, რომელიც ამ 25 წლის მანძილზე დღისითაც და ღამითაც ქართველი კაცის ფიქრისა და მსჯელობის საგანი იყო...

არაქართველთათვის ძნელად წარმოსათქმელი, ჩვენთვის კი ჩვეულებრივი, ერთი ფრთიანი ქართული გვარი — **გაფრინდაშვილი** — უკვე მეოთხედი საუკუნეა ამაყად გაისმის მსოფლიო ჭადრაკის სამყაროში და არა მარტო ჭადრაკისა, რადგან ეს უძველესი ფორმა ადამიანის გონების, ნებისყოფის, სულიერი სიმტკიცისა და სიმდიდრის გამოვლინებისა იქცა კულტურის იმ ორგანულ ნაწილად, რომელიც განუყოფელია საერთოდ კაცობრიობის სულიერ მოღვაწეობისაგან.

სპორტს და ცხოვრებას თავისი კანონები აქვს.

გაივლის წლები.

მოვლენ ახალი თაობები.

გაჩნდებიან ახალი ჩემპიონები.

მაგრამ ნონას სახელი, როგორც ქალთა ჭადრაკის ქართული ეპოქის დამაარსებლისა, როგორც გზის გამკვლევისა, მედროშისა და ღირსეული წინამორბედისა, მარად უკვდავი იქნება!

მეგობრებო!

დღეს მე ვლაპარაკობ როგორც იმ ინსტიტუტის წარმომადგენელი, სადაც აღიზარდა ნონა, სადაც იგი ახლაც წარმატებით მოღვაწეობს. მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამასვე იტყოდა ყველა ქართველი კაცი, რომელიც ამ ტრიბუნამდე მოაღწევდა, რადგან ნონა მოვლენაა, მშობლიურ ხალხს სიცოცხლეს რომ უხანგრძლივებს და განამტკიცებს მის ადგილს ხალხთა მსოფლიო თანამეგობრობაში.

დღეგრძელი იყოს ჩვენი ნონა!



ნონას მიესალმებიან საგარეჯოს რაიონის წარმომადგენლები.

მარცხნიდან მარჯვნივ: ნინო გურიელი, მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ქეთევან მელაძე.

ფოტო გივი კიკვაძისა





გრიგოლ რუხაძე

# გზა მშვიდობისა, ხალხო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი შელამებულია, დიდი, განაბული მთვარე დაჰყურებს სტეპს. ცივა. ცხვრის დიდი გადარეკვის ჟამია. ბირუზაკისა და ბაჯიგნის სტეპებიდან დაძრული თეთრი ნიაღვარი დარიალის იწროებისკენ მოიტალღება. მაღალი მტვერი დგება ბამბისფერი ფარების თავზე. ხან გზატკეცილთა გასწვრივ მობაკუნობენ ცხვრები, ხან მწვანეხავერდა ზეგნებს თავზე მოექცევიან. ეს ყველაფერი დღისით ხდება. ახლა კი ღამეა, ნისლის იდუმალ აბრეშუმს გადაუქარგავს სტეპ-გორები; „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი“. იქით, გზატკეცილისკენ, უკვე ჩაიქროლეს წითელთვალება მანქანებმა. ახლომახლო გორაზე სტანიცაა, რომელსაც დიდი ხანია ძილისათვის მიუნდვია სადავენი. ხოლო გაღმა, მოზდოკის თავზე, ცა უფრო ნათელი და მაღალგუმბათოვანია.

ნაპატიები, ფუმფულა ცხვარი თეოზე დაყრილა აქა-იქ, იმის იქით, ერთმანეთისგან სამასი-ოთხასი მეტრის დაშორებით, თვალები დაუხუჭავთ და სიზმრის სანახებში დაბორიალობენ. ამ ადგილს, სტანიცის სახელის მიხედვით, აჩალუყის მოედანი ჰქვია. ამჟამად თითო ფარასთან თითო მწყემსი დარჩენილა მორიგედ. სხვანი კარგა ხანია წასულან მილიციის სადგომისკენ, რომლის წინ დანჯღრეული „ყუბანეცის“ ფარების შუქზე მალე დაიწყება ფშავიდან ჩამოსული აგიტბრიგადის მსახიობთა კონცერტი. იქვე, ბალახზე წამოწოლილან მწყემსები, წვერ-ულვაშებიანები, ქარისა და სიცხე-სიცივისგან სახედაბრაწულები. ოთხნი. მილიციელები, მწყემსებზე ანიშნებენ ერთმანეთს და ულვაშებში იღიმებიან. უმცროსი ლეიტენანტი ცეცხლზე შედგმულ ქვაბში ჯოხს ურევს— შიგ ბატკნის ხორცი იხარშება. სახელდახელო მაგიდაზე უხვადაა: ყველი, მოთეები, მწვანილი, კუპატი, ხვრიში მარილი. მაგიდას „გარეჯით“ სავსე ყუთი მიჰყუდებია, მაგიდის ქვემოთ, ცვრიან ბალახზე, ლიმონათის ბოთლები წამოუქცევიათ.

ბაჯიგნიდან დაძრული ცხვარი ჯერ იშორის მოედანზე ასვენებს მუხლს; მერე აჩალუყის, ბოლოს აღდგომელას (სტანიცა ვოსკრესენსკაიას მახლობლად) გაშლილ მოედანზე. განა სხვაგან არ ულამდებათ, მაგრამ ამ მოედნებზე ყველაზე ხანგრძლივია დასვენების ჟამი, ზოგჯერ, თუ ცხვარი ძლიერ დაიქანცა, ორ ღამესაც ათევენ ზედიზედ. იშორიდან აჩალუყამდე იმდენად არა, მაგრამ აქედან, აჩალუყებიდან შალხისა და დილინდალინას გავლით, ვიდრე ჩიმამდე, ბევრი ცხვარი იკარგება. ძნელი სავალი, ტალახიანი ტრასაა, საძოვარი ნაკლებია ან სულ არ არის, თან ორფეხა მტაცებლები ნაირ-ნაირი ხერხით ფარიდან მოსხლეტენ ხოლმე ცხვარს. ცხვრის დავარდნა მეტია, გადმორეკვას წვიმიანი ამინდი თუ დაერთო. ამიტომაც რამდენიმე სამორიგეოა ტრასაზე. ახალგაზრდა მილიციელები — მხიარულები, საზრიანები — გონს უკარგავენ სტანიცელ ახტაჯანა გოგონებს, რომელთა შავმა წარბებმა და ლურჯკამკამა თვალებმა ბევრს შეუხორცებელ ჭრილობებად დაუსერა გული ძველად და ახლაც. დროდადრო გაიელვებს ხოლმე სტანიცელი ქალიშვილების მაღალი და ხორბლისფერი წვივები და მათი ეშმაკეული კისკისი ალვებს და აკაციებს, ცად მფრინავ ღრუბლებსაც სწვდება ხოლმე.

ამ მხარეში ხანჯალივით სწორი და მშვენიერი გზებია, ასფალტიანი თუ მოკირწყლული. გულით რომ გინდოდეს, მცირე ორმოსაც ვერ შენიშნავ ვერსად.

ეს გზები სერავენ ყოველმხრივ მოღაღანე ჯეჯილსა თუ კარტოფილის ყვავილოვან სავარგულებს, ბაღ-ვენახებსა თუ ზურმუხტისფერ კორომებს, უახლოვდებიან, შორდებიან და კვლავ უახლოვდებიან დადინჯებულ თერგს. აქა-იქ მოშვილდული ხიდებით გადაუვლიან კიდეც მეყვსეულად იისფერ, ხორკლიან ზურგზე.

ღრმა, უბოლოო დუმილს მისცემია არემარე. ცივი, ყრუ, ფიქრიანი ღამეა. სადღაც ცხვარმა ჩაახველა, კოცონზე ფიჩხმა გაიტკაცუნა, მერე „ყუბანეცის“ ჩაბნელებული სალონიდან გამოვიდა ბუთხუზა გოგონა, მანქანის წინ დადგა, ვარსკვლავებს მიაპყრო მზერა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— თქვენს წინაშეა ფშავის აგიტმხატვრული ბრიგადა, ხელმძღვანელი — ხვთისიაშვილი. პირველ ნომრად გამოვა ბერი ფხოველიძე, რომელიც წაიკითხავს საკუთარ ლექსს! — დაამთავრა კონფერანსიემ წკრიალა ხმით, მაყურებლებს კოხტად დაუკრა თავი და სიბნელეში გაუჩინარდა. ცოტაც და მეორე მხრიდან სინათლეზე გამოვიდა თმაშევერცხლილი, ხნიერი მამაკაცი, ერთხანს შეყოვნდა და დაიწყო გაქალაქებულ ხევსურის ქალისადმი მიძღვნილი ლექსი:

ირემო, მთების სილაღევ, გადმოხვეწილო
ბარადა,
ქალაქში გნახე, ვერ გიცან, თავი გამაცან
ძალადა.
გიშრის თმა შეგიკრეჭია, თავს დაგიდვია
კალათა,
ჩაგიცვამს, თითქოს კაცი ხარ, დაეხეტები
ცალადა.
ვინც აქ სწავლობდნენ, დაბრუნდნენ გოგო-
ბიჭები ჯარადა:
ლელა, ძილა და მზექალა, სამძიმარა და
სანათა...
ბევრი ფერმაში მუშაობს, მწყემსავენ ცხვრების
ფარასა,
ექიმიცა გვყავ, ქალთამზე, ზვიადაური
გვარადა.
ჩვენი ქალების შრომაზე დაიწერება
ბალადა...

— კარგადაა ნათქომ!...

— აგაშენოს ღმერთმა!.. — ისმის მეცხვარეთა შეძახილები.

ბერი ნელა გადის სინათლის წრიდან. წამსვე შემოგოგმანდა კონფერანსიე, გაიღიმა და დაიწკრიალა:

— ცეკვა ქართული! ასრულებენ ფუნთუშაშვილი და გომელაური!

მედოლემ და მეაკორდეონემ უცებ მელოდიის რაშები აუშვეს და მეცხვარეთა გულის ფეთქვა სამშობლოს გულის ფეთქვას შეუერთეს. ტანში ნათელმა ჩქერმა გაიღვიძა და დაღლილობა, უძილობა თვალმიუწვდენლად შორს გალალა.

უცებ ისკუპა სიბნელიდან შვინდისფერჩოხიანმა ყმაწვილმა და ფეხების მოხდენილი თამაშით წრეს შემოუარა. სად იყო და სად არა, მოპირდაპირე მხარეს თოვლისფერკაბიანი ანგელოზი გაჩნდა. დადგა და ირმის ნუკრივით გადადრიკა თავი, სუნთქვა შეწყვიტა, წამწამები დახარა; ჭაბუკი შეყოვნდა წამიერად, გაშეშდა, დაკარგა ძალა, დოლი და აკორდეონი საოცრების წინაშე გახევებულნი ძლივს ბუტბუტებენ რაღაცას, ლობე-ყორეს ედებიან, ერთმანეთის კალთაში მალავენ თავს. მაგრამ, მალევე, ჭაბუკმა მამაცურად გაშალა მკლავები და გულშეტაცებულმა, ბედნიერმა და თავდავიწყებული საცეკვაო ილეთების კორიანტელი დაანთო. გახურებული დოლი და აკორდეონი კვალდაკვალ მისდევენ მოცეკვავეს. გონსმოსული ჭაბუკი თვალებიდან ალმასს ესვრის გოგონას, რომელიც კვირტივით ნელა იშლება, ფერი და სული უბრუნდება მის არემარეს, ხოლო ჭაბუკი უკვე თავმომწონედ გაიჭრება ფერიისაკენ წელგამართული, ულვაშებაკოკრილი, ღიმილიანი. მხოლოდ წვერზე შემდგარი ფეხები სრიალებენ სწრაფად. რაწამს მიუახლოვდებიან აყვავებულ ვაშლის ხეს, უმალ ძაბუნდებიან და არეულნი გვერდზე მიდგებიან. ჭაბუკიც, ოდნავ შემცბარი, თავს ხრის ნათელყვავილას წინაშე და საკუთარი გულის ბაგაბუგს უსმენს. ხოლო იგი, ვარდი ყვავილოვანი, ჯერ ნელა, მერე მალიმალ მიჰყვება უნაზესად ფრთებგაშლილი ღვთაებრივ სიოთა ქროლვას ვარდისფერ წრეში. მის კვალდაკვალ მიარბევს სივრცეს შინდისფერჩოხოსანი და სახეზე თანდათან ვარდის ფურცელი ეფინება...

მაყურებელნი, სუნთქვაშეკრულნი და სმენადქცეულნი, თვალებით მიჰყვებიან ხოხბის ნავარდს და კლავთ ცნობისწადილი — დაიჭერს თუ არა ქორი ჭანგიანი ულამაზეს ფრთოსანს. და იქ, სადაც უფრო ბნელა და შუქი ულიმლამობს, კამარა შეჰკრა ქორმა და გზა გადაუჭრა ფრთახატულას. ისიც არ დაიბნა და მოხდენილი ირაოთი უკან გამობრუნდა. მაგრამ ქორი კვლავ წინ აღუდგა ფარფატა ზეფირს. ასე გამეორდა რამდენჯერმე და ის-ის იყო მძლავრად გაშალა ტყვიისფერი ფრთები ველის არწივმა ქანცმილეული მტრედის ჩასაბღუჯად, რომ იგრიალა დოლმა და წამსვე მხარი მისცა აკორდეონმაც — და შედგა ყოველი სიო გარშემო, რქებით შაბნარში გაიხლართა გაჭენებული ქორბუდა, მაყურებელმა შვებით ამოისუნთქა, „ჰაი-ჰაიო“ დაიძახა და ტაშის ნიაღვარს მისცა მოცეკვავენი, ნიავქარმა გადაიარა, ჯერ კიდევ სრულიად არ შემწყდარიყო მათი რაშების თქარათქური, რომ კვლავ გაკვესეს სინათლის წრეში კონფერანსიეს

ჯადოქრულმა თვალებმა და აუდიტორიას ეუწყა:

ვოდევილი „ძველი სასამართლო“, ასრულებენ... სანამ კონფერანსიე გამოსვლას დაამთავრებდეს, სანამ ღორის მოკვლის ისტორია ბევრს გემრიელად გააცინებდეს, „ყუბანეცის“ ჩაბნელებული სალონის ერთ გაცვეთილ სკამზე მოკალათებული ბერი ფხოველიძის ფიქრები მოგონებათა სარკმლის გაღებას ლამობენ...

„თელავში ჩაველ, კარგად არ მახსოვს, ოცდაათი თუ ოცდათერთმეტი წელია. თეატრში მიმიღეს სცენის მუშად. გადარეული ვიყავი თეატრით ბალღობიდან. ჯერ მასობრივ სცენებში ვმონაწილეობდი. როგორ ვღელავდი, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ფეხები მებორკებოდა, თვალები მიბნელდებოდა, როცა მაყურებლით გაჭედილ დარბაზს თვალს შევავლებდი. უფრო ხშირდებოდა ჩემი მონაწილეობა ასეთ მასობრივ გამოსვლებში. მეგონა, ღელვა გამივლიდა. არა, ცოტათი რწმენა მომეცა, მაგრამ სცენაზე შევდგამდი თუ არა ფეხს, ელეთმელეთი მომდიოდა. ერთი წლის თავზე ეპიზოდურ როლში გამომიყვანეს. მაშინ მანდ ორი ვახტანგი—გარიკი და აბაშიძე რეჟისორობდნენ. „დიდი სერჯიო“ პრწყინავდა ჩვენთან, ზაქარიაძე. „ხატიჯეში“ მამის როლს ასრულებდა, „როვევაში“ — გადუნისას. დიდი ცხოვრებით ცხოვრობდა თეატრი. ჰყავდა მაყურებელი, ჰქონდა მიზანი. დუღდა და გადმოდუღდა. ჰაი, დედასა, რა ხანა იყო! ყვარელში გასტროლებზე ყოფნისას ქიტომ და ჯოჯიკმა, დასის ახალგაზრდა მსახიობებმა, ერთმანეთზე გაიწიეს. არიქა, ბიჭო, ზოგნი ერთს ვეცით გასაშველებლად, სხვანი — მეორეს, საშინელი სიტყვებით იმუქრებოდნენ და კბილებსაც აღრჭიალებდნენ, სერჯიომ უცებ დაიძახა:

— ბიჭებო, ხელები უშვით, ვნახოთ, რა მოხდებაო!

მართლაც, როცა ხელები გავუშვით და შორიახლო დავდექით ჩხუბის მოლოდინში, ორთავემ, ნირწამხდარმა თავი ჩაქინდრა და იქაურობას გაეცალა. გონიერი კაცი იყო, ამაყი, მაგრამ სამართლიანი. თუ არა ვცდები, ოცდათორმეტ წელს, ვგონებ, ესე იყო, კურდღელაურში ვიყავით შაბათობაზე მსახიობები. საღამოა და ზოგს ბარი გვაქვს გადებული მხარზე, ზოგს — თოხი, ზოგს კიდევ რა. ვბრუნდებით ქვეითად. როცა თეატრს მივუახლოვდით, სერგო უცებ გადააჯდა თავის ბარს, როგორც ცხენს და მოედანზე „გააჭენა“. ყველამ მას მივბაძეთ. ჰოდა, მალე ჩვენმა მხედრიონმა თეატრისწინა მოედანს წრე დაარტყა და სერჯიოს მეთაურობით თეატრის შენობაში შევაგელვეთ „ბედაურები“...

რა ხანი გავიდა მას მერე?! მეგონა, მივაგენი ცხოვრების მიზანს. მეგონა და იქნებ აგრეც იყო. ეჰ, ბებოვ, ყოფილიყავ ნეტავ ჯანზე და ზრ მოგეწერა ის წერილი. მწერდა ჟებოტიდან: — შვილო, დავუძლურდი, ერთი იმედი შენ მყევხარ, რო უცებ მოვკვდე, მეზობლები დამმარხავენ, შენი სირცხვილიაო. ერთადერთი ბებია მყავდა ცოცხალი ნათესავთაგან. ერთადერთი ნაშიერი ბებოსთვისაც მე ვიყავ. ჩამოველ სოფელში, ჩამოველ და ჩავრჩი სამუდამოდ. ბებომ კარგა ხანს იცოცხლა მას მერე. მეც ქალი შევირთე. მერე შვილები, ოჯახზე ზრუნვა... ეეჰ, უცნაურია ბედისწერის კანონები. სადღაც წამიკითხავს, რო მხატვარ სეზანისათვის შეუტყობინებიათ ხატვისას: დედა გარდაგეცვალა, შენს მწუხარებას ვიზიარებთო და სანუგეშებლად კიდევ რაღაცის თქმა დაუპირებიათ. ხოლო მხატვარს, ამ სასწაულ კაცს, მიუხლია: გარეთ მიბრძანდით, ხელს მიშლით მუშაობაშიო. სანამ არ დაასრულა, არ მოშორებია ტილოს თურმე... ბებოსთან რომ არ ჩავსულიყავ ეგრე მომკვდარიყო, ნამუსი არ მომასვენებდა მთელი ცხოვრება. ამოტოლა კაცი მოვიყარე, მაინც ვერ გავიგე ბედის საიდუმლო“...

— ძია ბერო, თქვენი რიგი მოვიდა! — გააწყვეტინა ფიქრები მოხუცს კონფერანსიემ.

ბერი გადის „სცენაზე“ და კითხულობს საკუთარ ლექსს ბედის უცნაურობაზე, კაცის უმწეობაზე, პაწაწა სიხარულზე, დამსხვრეულ ოცნებებზე. კითხულობს და სევდა ეუფლება სიბნელეში გარინდებულ ჩოკოლიშვილისა თუ ფილაურის, ქოჯურისა თუ წამალაიძის და სხვათა გულებს. პაპა დათვია კოჟრიანი თითებით წვერს ჩაფრენია და ცალი თვალიდან „გამოჰპარვია“ თბილი წვეთი.

სკეტჩი „ფერმის გამგე“ ოდნავ ანელებს ლექსისაგან მობერილ ნაღველს. მერე ცეკვა, მერე სიმღერა, მერე ისევ სკეტჩი, ცეკვა „ყაზბეგური“ და ბოლოს, ხალხური სახუმარო სიმღერა: დაგცადე ათასფერადა სიღარიბეო, ტიალო, სამ-ოთხ წელიწად გავიდა, ძველ ახალუხი მცმიანო...

მეტად კმაყოფილი და მადლიერი აუდიტორია გულთბილად ეპატიჟება მსახიობებს სუფრაზე. მწყემსები — ერთ მხარეს, მსახიობები — მეორე მხარეს. თავსა და ბოლოში სხედან ენაალესილი მილიციელები, ისინივე ასრულებენ მერიქიფის და მასპინძლის მოხდენილ როლებს. თამადად ყველაზე მხცოვანს — პაპა დათვიას ირჩევენ. დათვია ტრადიციის კაცია: პირველი სადღეგრძელო სამშობლოს ეკუთვნის. მეორე სადღეგრძელო დიდი წინაპრებისაა, მესამე ერთა შორის მეგობრობისაა, მეოთხე — მშობლებისა და ასე შემდეგ...

გვიან ღამით ნაბდებში ეხვევიან კმაყოფილი, ღვინითა და სიყვარულით მთვრალი მწყემსები, ერთს დევკაცივით ამოიხვნეშენ და მიენდობიან ძილის ოქროსფერ ეტლს, რომლის საამო შრიალი თანდათან იკარგება მთვარის უშორეს ბილიკებზე. ხოლო არანაკლებ კმაყოფილი და გულანთებული მსახიობები, ამხედრებულნი ხრიგინა „ყუბანეცზე“ სასტუმროსაკენ მიჰქრიან, რომლისკენაც ქამანდივით გატყორცნილა კრიალა გზატკეცილი. მიიჩქარიან, რომ დროით დაისვენონ, შთაბერონ გულებს ალი ხელოვნების საბერველისა და თავიანთი ოსტატობის ყვავილები ხვალ სხვა ფარების მწყემსებს სასურნელოდ და მარადსახსოვრად ჩამოურიგონ.

— გზა მშვიდობისა, ხალხო!



ელენე დიდიმამიშვილი

## სამხრეთ საქართველოს გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე გაიდაროს ზეცამ,
ხელთ მეპყრას მზეთა-სპექტრი,
მე გულს გავუშლი ჩემსას,
ის თავის გუმანს მეტყვის,
მე ფოთოლთ ჩურჩულიც მესმის,
მინდა, იშრიალონ დარში,
თითქოს წამეკითხოს ლექსი,
ისე დამიკრან ტაში.

ისევ აღიზიდოს ალვა,
სოსანი, ღიღილოს თვალი,
გზისპირებს მოედოს ტალღად
უკვდავას, გვირილას ჯარი.
მე მინდა, ისე შემხვდეს
ჩემი საგაზრდილო დიდი,
რომ უცებ ქარიც შედგეს,
ოდეს მიხილოს მკვიდრი.
ადიდდეს სხივთა ჩქერი,
რომ ყველა მწვერვალს გასწვდეს,
ისევ შემეგებოს ლხენით,
სამხრეთ საქართველოს გზაზე,
ჩემი საფარა — ზარზმით,
ჩემი ვარძია -- წუნდით,
ციხე-კოშკების რაზმი,
იმავ ფრთოსნების გუნდი.
შემძრან ბელურებმა ისევ,
ჟივჟივით, ალერსით ტკბილით,
აენთოს ლექსი ისე,
როგორც გაღიმება დილის.
დიდი რუსთაველის სიბრძნე,
ხალხი — უნაპიროდ გამრჯე,
მარად დაუძლევი, მტკიცე,
მხოლოდ კეთილი და მარჯვე.
მე ამ საზრუნავით დავშვრი,
მე ისევ უბრალო დავრჩი.

## სიზმრის დასასრული

**შენ დაიძინე მშფოთვარე ძილით,**
**ზღვათაოდენი გქონდა ვარამი,**
**შენს ფეხთით იწვა უფსკრულის პირი,**
**ხელისმომკიდე გყავდა — არავინ.**
**გამოგელვიძა საღამოს ბინდით,**
**შენ უებარი გეგონა დილა,**
**იგივ ღიმილით, წუხილით, რიდით,**
**შენს ძველ კარავში შეიჭერ ფრთხილად.**
**და ნახე იგი — შემკრთალი უცებ,**
**მიმოჰფენოდა ვერცხლები შუბლზე,**
**შენ მიითვალე ელვარე სხივად,**
**ისე, ვით ოცდაათი წლის წინათ...**
**გეგონა, შენც ის ღიმილი გქონდა,**
**ისე, ვით ოცდაათი წლის წინათ,**
**გეგონა, ფაქიზ ნიავად ჰქროდი,**
**ისე, ვით ოცდაათი წლის წინათ...**
**თითქოს ლამაზი ხელებიც გქონდა,**
**ისე, ვით ოცდათაი წლის წინათ...**
**ჩუ! იდუმალი დადგა წუთები,**
**და ჰა უთქმელი ნადილი აღდგა.**
**მან თქვა: გაზაფხულს დავუბრუნდებით!..**
**მაგრამ ეს იყო წამიერ, რადგან**
**განიბნა სადღაც სიზმარი იგი,**
**ხმამაღლა ამბობს იმედი უარს,**
**ან და მარადის დაიმსხვრა ხიდი**
**სიმართლესა და სიცრუეს შუა.**

## ძარაფებზე მინაწერი

**ამ მიწის სიცოცხლეზე ვმღერი,**
**ვარ პირმშო მისი—ლხინად და დარდად მისად...**
**ვარ მხოლოდ სულ მცირე მტვერი**
**ჩემი საქართველოს დიდებული გზისა.**

# ანდეზიტის ქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ გელაშვილი,
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა.

არ მავიწყდება თხელ ნისლში გახვეული ბაკურიანი.

რა დილა იყო! ბრდღვიალა. მზე ის-ის იყო კოხტაგორას ამომცდარიყო და თანდათან იმაღლებდა.

ურემზე ვისხედით· სანახებს გავყურებდით.

ცხრაწყაროს მთებში სათივე გვქონდა. მდელოზე ბალახი უკვე შემოსულიყო და იქ, სათივეში, მივყავდი მამას.

ჩვენი ყურადღება ველზე ზურგჩანთებით მომავალმა სამეულმა მიიპყრო. მგზავრები ხელებით თითქოს რაღაცას ხაზავდნენ სივრცეში, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ დანამულ ველზე მათი ხმა ყრუდ ისმოდა.

მოდიოდნენ, გვიახლოვდებოდნენ.

როცა გაგვისწორდნენ, მამას სათითაოდ ჩამოართვეს ხელი·

ერთ-ერთმა მათგანმა ზურგჩანთა ჩამოიღო, პირი მოუხსნა და რაღაც სალესის მსგავსი ქვა ამოიღო. მამას გაუწოდა.

— ცელს გალესავს? — უმალ ჰკითხა მამამ.

— არ ვიცი... ანდეზიტია... აქაური ანდეზიტის ქვა. სახსოვრად გქონდეს.

მტრედისფერ ქვას ფორმაც მტრედის მსგავსი ჰქონდა. მამას, თითქოს ფრინველიაო, ფრთხილად ეჭირა ხელში·

მახსოვს, მამამ თავის ხურჯინში ჩადო ნაჩუქარი ქვა და სამთავე შემხვედრს მადლობა გადაუხადა.

ისინი თავიანთ გზას გაუდგნენ.

მამამ მოპირდაპირე კლდეზე მიმითითა და თქვა:

— ხომ გაიგე, ამ კლდეში თურმე უამრავი ანდეზიტია... ეს ძვირფასი ქვა ქარხნებისათვის გვჭირდებაო... ანდეზიტი ისეთი ქვაა, ვერაფერი შლის, ვერაფერი ერევაო... ხომ ასე თქვა?

მამა დაფიქრდა და როგორც შეეძლო, ისე ამიხსნა:

— მალე ალბათ ამ კლდეს ააფეთქებენ... ანდეზიტის ლოდებს ამოიღებენ, დაამტვრევენ, დააქუცმაცებენ და საცა საჭიროა, იქ წაიღებენ...

**1931** წელი იყო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა· მამა კარგა ხანია, გარდაიცვალა.

როცა ზაფხულობით სოფელს მივაკითხავ ხოლმე, მამისეულ იარაღებს გადავხედავ, მტვერს ვაცლი, დაჟანგულ ადგილებს ვზეთავ...

წელსაც გადავხედე მამისეულ იარაღებს. თაროზე, სადღაც კუთხეში, ისევ შევნიშნე მტრედის მსგავსი ქვა· სწორედ ის ანდეზიტის ქვა, ნახევარი საუკუნის წინათ რომ აჩუქეს მამას.

როგორც კი ხელი შევახე ქვას, ჟრუანტელმა დამიარა. ანდეზიტის ქვა თითქოს ამეტყველდა: გამახსენა ჩემი პირველი მგზავრობა, პაწაწა მდინარე, კალმახები, გადაყვავილებული მდელო, პიტალო კლდის მდუმარე შემოგარენი...

რა თქმა უნდა, მე უკვე ვიცოდი, რომ ამ პიტალო კლდის შემოგარენში ახლა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი საწარმო მოქმედებდა, ვიცოდი, მაგრამ იმ ბავშვობის დროინდელ გზაზე ბაკურიანიდან ცხრაწყაროსკენ რომ ეშვება, აღარ გამივლია.

და აი ახლა ბაკურიანზე გავლით პიტალო კლდის შემოგარენში — ანდეზიტელთა დასახლებაში ვარ·

უკაცრიელ ადგილზე კოპწია შენობები ჩაუმწკრივებიათ.

გავხედე კლდეს.

მას უკვე ორმოცდაათი წელი ებრძვიან: ბურღავენ, ლაღუმებს უდებენ გულში. კლდე კი ისევ პიტალოა, ისევ მხნედ დგას. დგას, მაგრამ ადამიანს ნებდება, უკან იხევს, გულს იხსნის.

ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოს კარიერის უფროსი, პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ლერი საყვარელიძე მომითხრობს:

— ანდეზიტი საოცარი ქვაა. ვერავითარი მჟავა ვერ ერევა მას· ყველაზე მტკიცე და ძვირფასი ლითონიც ნებდება ძლიერ მჟავას, ანდეზიტი კი—არა! იგი აუცილებელია ქიმიურ მრეწველობაში, ქაღალდის მრეწველობაში, მეტალურგიაში...

ანდეზიტი დიდი რაოდენობით მიაქვთ მოსკოვსა და ლენინგრადში, სახალინზე, ბაკურიანის ანდეზიტი იგზავნება შორეულ ვიეტნამში, კუბაში...

სად არ ნახავთ ახლა ჩვენებურ ანდეზიტს!

**1931** წლის ზაფხულში მოსტეხეს პირველი ლოდი პიტალო კლდეს· მაშინ, სწორედ მაშინ დაიბადა ქართული ანდეზიტის საწარმო.

დაიბადა ხუთწლედისათვის, სიახლისათვის, ქვეყნის სიმტკიცისათვის, ხალხის სამსახურისათვის...

ლერი საყვარელიძე თერჯოლის რაიონის სოფელ ჭგილათიდანაა. იგი უკვე ნაცადი და ნაწრთობი ინჟინერია. უმუშავია მადნეულში, თბილისის მეტროს მშენებლობაზე·

როცა ანდეზიტის მთავარ კლდეს მივადექით და თვალნათლივ ვნახე ადამიანის ჭიდილი უზარმაზარ, მრავალტონიან ლოდებთან, დავრწმუნდი, რა სიძნელეების გადალახვა უხდებათ აქ მომუშავეებს.

მართალია, ტექნიკა უახლესი აქვთ, მაგრამ ანდეზიტი ასე ადვილად არ ნებდება ტექნიკას. იგი ადამიანისაგან ნებისყოფასაც მოითხოვს, ნებისყოფას და ცოდნას.

ლერი განმარტავს: — ქვას, როგორც ამბობენ, აქვს თავისი ეგრე/თ წოდებული სხეული... ჰოდა, უნდა გამოიცნო, სად არის მისი გული, სად არის ამ გულის მთავარი ძარღვი... ცოდნის გასაღები სწორედ ამ გულის ძარღვს უნდა მოარგო და პიტალო ქვა ისე დაიმორჩილო. უამისოდ ვერაფერს გახდები, ვერ მოერევი ანდეზიტის ვეებერთელა პიტალო ლოდებს.

თერჯოლელი კაცი წამით ჩუმდება და განაგრძობს:

— უახლოეს რკინიგზის სადგურ საკოჭავამდე ექვსი კილომეტრი იყო. სოციალისტური ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარებული ინდუსტრია (ჰაერივით საჭიროებდა ქართულ ანდეზიტს (ჩვენი საწარმო ახლაც ერთადერთია საბჭოთა კავშირში). დაყოვნება არ შეიძლებოდა. მთელი კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმა: სასწრაფოდ დააგეს ხის ლიანდაგი, ხისავე ურიკები გამართეს და ანდეზიტის ვეება მძიმე ლოდები ისე გადაჰქონდათ საკოჭავამდე...

რუკებზე ბაკურიანი საძებარი აღარ იყო.

ახალ საქმეს შეჭიდებული ადამიანები ღია ცის ქვეშ ათენებდნენ ღამეებს· აკლდათ საჭმელი, ჩასაცმელი, საჭირო ტექნიკა. აკლდათ, მაგრამ გულში ენთო და გიზგიზებდა ფიქრი სამშობლოს ბედზე, მის ნათელ მომავალზე.

ჩვენებური ანდეზიტით ამოყვანილი კედლებიც მატებდნენ სიმტკიცეს საბჭოთა სამშობლოს, ისინიც ადუღაბებდნენ პირველი ხუთწლედების ბალავარს.

დიდი ხანია, მოგონებად დარჩა ხის ლიანდაგი და ხის ურიკები! მძიმე შრომაში სრულყოფილი მანქანები, ელექტრობა, თანამედროვე ტექნიკა ჩაერთო·

ლერი საყვარელიძე სიამაყით მეუბნება, რომ უახლოეს მომავალში, იქვე, მეზობელ ხევში, ანდეზიტის კიდევ ერთი, სრულიად ახალი მძლავრი საწარმო ჩადგება მწყობრში.

— ანდეზიტის მარაგი? გახედეთ, გახედეთ კლდეების რიგს, მათ გულში ჩადუღაბებული ანდეზიტი ულევია. — ასე ამთავრებს საუბარს ჩემი მასპინძელი.

ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოში ხანდახან მეტად ძნელი, რთული მდგომარეობა იქმნება და ყოველ სიძნელეში ისევ და ისევ ნათლად ვლინდება ანდეზიტის მომპოვებელთა შემართება, თავდადება, ერთსულოვნება.

გასული წლის დასაწყისში, ანდეზიტის ქვის საპობი და სახერხი მოწყობილობა შესაკეთებლად გაგზავნეს. უქმად იკარგებოდა ძვირფასი დრო.

ამფეთქებლები ისევ სრული დატვირთვით მუშაობდნენ· ქვის ლოდები სწრაფად ხვავდებოდა კარიერზე.

ქვის მომპოვებლები და მხერხავები იდგნენ.

ანდეზიტის ქვას კი მოუთმენლად ელოდნენ საწარმოები. რეკავდნენ. მოდიოდა შემაშფოთებელი დეპეშები.

ბოლოს, ორი კვირით დაგვიანების შემდეგ, რემონტს, როგორც იქნა, დაადგა საშველი. კვლავ ზარივით აწკრიალდა ფოლადი· გაისმა ქვის სახერხი დაზგების მჭახე ხმა. კარიერი ბრძოლის ველს დაემსგავსა.

მდგომარეობას უფრო ძაბავდა უჩვეულო ყინვა.

მაგრამ მარჯვენას ცეცხლი ეკიდა, გულშიც ცეცხლი გიზგიზებდა. სამუშაო საათებს არავინ უყურებდა: რიჟრაჟიდან გვიანობამდე ეძალებოდნენ საქმეს: თავდადებული შრომით უნდა აენაზღაურებინათ დაკარგული დრო.

გიორგი პაპუაშვილი

# სტუმარ-მასპინძელი

## მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლუკაუ, გამოდი, გარეკე ე ინდაურები, კაცო! — მესამედ დაუძახა მეუღლემ ვაჟას და ქერის გაცხრილვა განაგრძო, — ჩემს ბუზღუნს არად აგდებენ და დამღუპეს ამ ოხერ-ტიალებმა!

ვაჟა-ფშაველა პოემას წერდა და არავისთვის ეცალა. ზოგჯერ კალამს შეაჩერებდა და გარინდდებოდა, ხან ფანდურს აიღებდა, ჩამოჰკრავდა და ისევ განაგრძობდა წერას:

ბისოს მოვიდა ამბავი, ვით ნაქუხარი მეხადა, მოუკლავთ ზვიადაური, ცით ჩამოსული სვეტადა...

— აბა, თუ ყური გაიბერტყოს და კარში გამოიხედოს?! — ბუზღუნებდა თამარი, — ამდენი საქმეა და არავინ ხელს არ მაშველს. ქერი გავცხრილო თუ ინდაურები გავრეკო?! ეს ტიალნი ლეკებივით შემომესივნენ და ეზოდან ველარ ვიშორებ. ნეტაი, ბალღები მაინც სად გადაიქაჯნენ?!

ვაჟა პოემის წერას განაგრძობს:

ვაჟკაცთ გაიგეს ამბავი, გასაგონარი ჭირითა, ერთმანეთს გადაემძრახნენ ბოლმით შეკრულის პირითა, რად გიკვირთ, როცა ჩვენს მფარველს ცხარის ცრემლითა ვტირითა...

— ღმერთო, რაღა მე დამბადე ასე ბეჩავი, რო ნიადაგ ვშრომობ და მოცლა არა მაქ. თუ სხვანი ფანდურის წკარუნით ერთობიან, მე რაღად დამსაჯე ასე უდიერად?! აღარ გამოიხედავ, კაცო, ლუკავ!

... იძახის აპარეკაი: „საგძალი გინდათ კვირისა!“ „ქუდზე კაც უნდა წავიდეს!“ — ბაბურაული ჰყვირისა. აღელვებულთა ბორგვნაა, ხმა არ გეგონოთ სტვირისა!..

ლუკავ, კარში გამოდი, კაცო, რას ჩაიკეტე და ყურს აღარ იბერტყავ?!

... კარში გამოდი, ჯოყოლავ, წყნარად ნუ სწევხარ კერასა, რამდენი ხალხი მოერტყა იმ ჩვენი მთების წვერასა!

ვაჟამ ეს სტრიქონები სწრაფად დაწერა და გაახსენდა, რამდენი ხანია, ცოლი რომ უხმობს.

— რა ამბავია, დიაცო, მტერი ხომ არ შემოგვესია?! — შინიდან გასძახა.

— მტერიც შემოგვესია და უარესიც! ყაჩაღებივით დამეხვივნენ და დამტაცეს მთელი ქერი. როდის იყო, შინ ჯდომითა და ფანდურის წკარუნით საქმე კეთდებოდა?!

ვაჟამ კედლიდან ხმალი ჩამოიღო და სწრაფად გააშიშვლა.

— მართლა მტერია?! — როგორც კი დირეზე გადააბიჯა, იკითხა ვაჟამ.

— ყაჩაღებია-მეთქი, მა რას გეძახი დილას აქეთია?!

—აბა, სად არიან? — მოათვალიერა იქაურობა.

— ეგე, ყაჩაღები! — ინდაურებზე მიუთითა, — ჩვენი ხომ არ გგონია, გადამთიელები არიან და წლის სარჩოს მართმევენ!

წერით დაქანცულმა, გაბრაზებულმა ვაჟამ ველარ მოზომა, ხმალი მოუქნია და ერთ ინდაურს თავი მოჰკვეთა. მერე საკუთარ თავზე გაჯავრდა, ეს რაღა მომივიდაო, და ახლა მეორე ინდაურს მოუქნია ხმალი, მერე ცოლზე გაწყრა, რად ამაღელვაო...

— რას ჩადი, კაცო, ხმლით უნდა ამჩეხო?!.

ახლაღა გამოფხიზლდა ვაჟა, ხმალი ქარქაშში ჩააგო და კბილები გააკრაჭუნა:

— ძველთაგანვე თქმულა, რო დედაკაცი ყბედია... ისეთ როკაპ დედაკაცად უნდა გამოგიყვანო რომელიმე პოემაში, შენი თავისა გერცხვინებოდეს! — ვაჟა შებრუნდა, მაგრამ წერა აღარ გააგრძელა, ტახტზე წამოწვა და დაღლილ-დაქანცულს რული მოერია.

თამარმა თავმოკვეთილი ინდაურები მეზობელს ეზოში გადაუყარა და თან მოუბოდიშა:

— ნუ გამიწყრები, შენი ჭირიმე, დილას აქეთია მაწუხებენ, მაგრამ წკეპლაც ვერ მოვუქნიე. მერე კაცი გამოვიდა, დაინახა, რო სარჩო-საბადებელს ფეხქვეშ იგებდნენ, აღელდა, ხმალი იძრო და.. რომ არ დამეჭირა, ყველას თავებს დააყრევინებდა!

— ჰაიი, იქნება კარგად ვერ იცნობთ ჩემს პავლესა?! მოვა და ის გადაგიხდით სამაგიეროს! დაიბრიყვეთ, არა?!. აქაოდა, დღედაღამე მთასა და ღრეშია?! სწორედ ამ საღამოს უნდა ჩამოვიდეს თქვენი გულის გასახეთქადა. ჩამოვა და... ჰოი, დადადადაა!.. რა შესაბრალები იქნებით იმის ხელშია!.. ხო იცით, როგორი გაბრაზება

ქარში, თოვლსა და ყინვაში ორმაგად, სამმაგად ასრულებდნენ დღიურ გეგმებს ქვის მხეხავები, ძმები გიორგი და ოთარ გოგოლაძეები, კლდის ამფეთქებელი — მოლდაველი ვლადიმერ სლუსარი, ქვის მპობელი ბერძნები ლეონიდ ბაგლაროვი, ივანე ლაზარევი.

ყველა, ფხვნილის შემფუთავი გალინა ლევინსკაია, მჭედელი ვლადიმერ გვარამაძე, სხვა საამქროებიდან დასახმარებლად მოსული ანდეზიტის საწარმოს მუშები ძალასა და ენერგიას არ ზოგავდნენ ჩამორჩენის დასაძლევად.

ქვის მპობელებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ყველაზე მეტად მაინც ლეონიდ ბაგლაროვმა და ივანე ლაზარევმა ისახელეს თავი.

მონდომებასთან ერთად მათ ეხმარებოდა პრაქტიკული გამოცდილება, საქმის ღრმა ცოდნა. ვეებერთელა ლოდებში ჯერ გულს პოულობდნენ, მერე მის მთავარ ძარღვს. ქვის მპობელთა მონიშნული წერტილი ყოველთვის უშეცდომო იყო. პიტალო ქვა უყოყმანოდ ემორჩილებოდა ადამიანის ძალასა და გონებას.

ლეონიდი და ივანე ციხისჯვრის მკვიდრნი არიან. ამ მეზობელ, ბერძნებით დასახლებულ სოფელში ყველანი კირითხურონი არიან, ოსტატურად ეხერხებათ შენება და ქვასთან ჭიდილი.

მახსოვს, ბავშვობაში, როცა სოფელში ვინმე ქვიტკირის სახლის მშენებლობას დააპირებდა, მაშინვე ეტყოდნენ:

— ციხისჯვარში ადი, ჩვენს ბერძნებს ააშენებინე.

ის კი არა, ბორჯომის ხეობის დიდებული ისტორიული ძეგლის, კიმოთეს უბნის მონასტრის შეკეთებაც ციხისჯვრელ ოსტატებს მიანდეს. მიანდეს და არც შემცდარან: ისე მოხდენილად გამოთალეს ქვები, ისე ლამაზად მიუსადაგეს ერთმანეთს, ისე შეაკეთეს მონასტრის დაზიანებული სახურავი, რომ მოწონება დაიმსახურეს.

ციხისჯვრელებმა არც ახლა შეირცხვინეს თავი.

თოვდა, ღმუოდა ქარი, იკბინებოდა ყინვა. ლეონიდ ბაგლაროვი, ივანე ლაზარევი და მათი მეგობრები კი შეუცვლელად იდგნენ საბრძოლო პოსტზე.

როცა დავალება მთლიანად გაანაღდეს, როცა ქვა ანდეზიტისა ყველას, უკლებლივ ყველა დამკვეთ ადრესატს გაეგზავნა, მხოლოდ მაშინღა მოისვენეს კარიერზე...

ანდეზიტის საწარმო ახლა ყოველწლიურად უშვებს:

მოსაპირკეთებელ ქვას — 19 ათას კვადრატულ მეტრს.

ანდეზიტის ღორღს — 10 ათას კუბურ მეტრს;

ანდეზიტის ფქვილს — 46 ათას ტონას.

ანდეზიტის ღორღიცა და ფქვილიც გამოიყენება სახალხო მეურნეობაში.

XI ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება ძვირფასი ქვის წარმოება. კიდევ უფრო დამშვენდება და გალაღდება პიტალო მთების შემოგარენი. უფრო ნათელი გახდება მშრომელი ადამიანის ცხოვრება.

როცა შინ ვბრუნდებოდი, სადგურ საკოჭავში სატვირთო მატარებლის გრძელი შემადგენლობა იდგა. ვაგონები ანდეზიტით იყო დატვირთული.

ვაგონს ხელი შევახე. მიხაროდა, რომ ესოდენ საჭირო ქვა ჩემი სათაყვანო ხეობიდან იყო.

შინ რომ მივედი, ისევ ამოვიღე მამისეული ქვა, სახსოვარი ქვა ანდეზიტისა. ავიღე და უნებურად გალაკტიონის ლექსი გამახსენდა — „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“...

ვწერდი ამ სტრიქონებს და მაგიდაზე მედო საოცარი ქვის ნატეხი, — ერთ მშვენიერ დილას რომ აჩუქეს მამაჩემს.

აი, სწორედ ამ ქვის ნატეხი მიკარნახებდა ამ წერილს.

ბორჯომის რაიონი.

იცის, თქვე ბეჩავებო, თქვენა! აქ როგორ-ლა უნდა დაუხვდეთ?!. გირჩევნიათ, ახლავე აიკრათ გუდა-ნაბადი! — ყბა აღარ გააჩერა მეზობლის დედაკაცმა.

ვაჟას ძილბურანში ესმოდა დედაკაცების ჩხუბი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. სალამოთი კი, როცა ის იყო, ვახშამს აპირებდა და ვახშმად კი ხმელი ქერის პური ჰქონდათ, რაკიღა მეუღლე მთელ დღეს ქერის ცხრილვას გადაჰყვა და შეჭამანდი ვერ მოადუღა, მეზობლის დედაკაცის ჰიჰყინი შემოესმა:

— დიდი გმირივით ხმალზე რო გაიკარ ხელი, აბა, გამოდი, თუ ვაჟკაცი ხარ!

ვაჟას არ ესიამოვნა დიაცის ქადილი და ლუკმა პირში გაეყინა.

— რას ითხოვ, ქალავ, გიზლავ და ეგ არი! — გაეხმაურა ვაჟას მეუღლე.

— საზღაურით ვერას გახდებით, ჩემი კაცი ამბობს. სისხლი მწყურიაო. გამოვიდეს, ეგ თუ მართლა ვაჟკაცია და არ ეშინიაო!

ვაჟას ლაჩრობად მოეჩვენა შინ დარჩენა და კარში გავიდა.

— მოერიე ინდაურებს?! — დამცინავად შეეკითხა მეზობლის დედაკაცი, — აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, გარეთ გამოდი და ჩემს პავლეს დაენახვე!

— მიდი, უთხარი, ეზოდან გამოვიდეს, თუ საშულარი აქვს და მეც ახლავე გადმოვალ ჩარგლულაზე!

— რაისთვის არ მაქვს საშულარი, თითო ინდაური თითო ბალღს მირჩევნიან! — მოესმა პავლეს ხმა, — ეზოდან გამოდი, თუ ჯაბანი არა ხარ?!

ვაჟამ იფიქრა, შინ შევალ, სატევარს ავიღებო, მაგრამ დაბრუნება ეუხერხულა და უსატევროდ გავიდა გარეთ.

— კიდეც რომ არ მიფრთხის და ჯიქურ მოიწევს?! — ცეცხლი წაიკიდა მეზობელმა, — განანებ, თუ პავლე ვარ!

— ორ ინდაურში სამს მოგცემ, მეზობელო! — შეეცადა ვაჟა მის დამშვიდებას.

— არ მინდა!

— ოთხს მოგცემ!

— ვერც მაგით მამალორებ. თუ ვაჟკაცი ხარ, ხმალში გამოდი! — და მეზობელმა ხმალი ჰაერში აალაპლაპა.

— სად მიხვალ? მოგკლავს! — გამოედევნა თამარი.

— აბა, კარგი იყო ინდაურების დახოცვა? — ნიშნი მოუგო მეზობლის დედაკაცმა.

— ინდაურში ინდაურს მოგცემთ, კაცს რაღლა მიკლავთ?!

ვაჟას ნაბიჯი არ შეუნელებია, ისე მიუახლოვდა მეზობლის ეზოს. იფიქრა, თუ მუქარას არ დაიშლის, ხმალს ავართმევ და სიბრტყითა ვცემო. გულში გაჯავრდა, მაგრამ ბრაზს არ აჰყვა და მტკიცე ნაბიჯით მივიდა მეზობლის ჭიშკართან.

— ეზოში შემოდი, თუ დიაცი არა ხარ?!.

ვაჟა ეზოში შევიდა.

— სად მიხვალ, შე ჩემი ცოდვით სავსევ?! — მუხლზე ხელი დაირტყა ვაჟას მეუღლემ და თვითონაც უკან აედევნა, მაგრამ მეზობლის დედაკაცი გადაეღობა:

— გვიანღა!.. აგე, შახვდა თავის ჭკუისა?!

— შედი კერაზე! — ხმლის წვერით ანიშნა პავლემ თავისი სახლისკენ.

ვაჟამ იფიქრა, ალბათ, ცოლისძმებს დაუძახა და ცემას მიპირებენო, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია. თავი დაღუნა და შიგნით შევიდა. იქ კი რას ხედავს? მაგიდა სავსეა ხორაგეულით და ორ ინდაურსაც ორთქლი ასდის.

გარედან ისევ დედაკაცების ხმა ისმოდა. თამარი იწევდა, მეზობლის დედაკაცი არ უშვებდა. ბოლოს იძალა ვაჟას მეუღლემ, შიგნით შეიჭრა და დაინახა, რომ მაგიდას ვაჟა და პავლე მისხდომიან, წინ კი ქვაბიდან ახლად ამოღებული ინდაურები უდევთ.

— შენ გაიხარე, ვაჟავ, ამ სიკეთისთვის, — ემადლიერებოდა მეზობელი, — ორი წელია, ჩემს დიაცს ჩემთვის ინდაური აღარ დაუკლავს და ვერ დაგპატიჟე. ახლა კი... დიაცო, მოდი, სადა ხარ, ყიპიტაური დაგვიწყებია!

— აკი უსისხლოდ არ ვაპატიებო? — მთვარესავით შემოანათა მეზობლის მეუღლემ, — ეგ არი არპატიება?!

— ამდენი ხანია, ეს კაცი ჩემ ოჯახში ველარ დავხელე და... ღმერთმა ააშენოს ამისი კომლობა!

დედაკაცმა ყიპიტაური შემოიტანა და ვაჟას მეუღლეს გაუღიმა:

— რა იყო, ქალო, განა წაგართმევთ ქმარსა?

მესამე ყანწით სტუმარ-მასპინძლობა ადღეგრძელა პავლემ. ვაჟამ კი სიხარულით წამოიძახა:

— ვიპოვე, ახლა ვიპოვე!

— რა იპოვნე, ლუკას ვენაცვალე?

— პოემის სათაური. ჯოყოლა კი არა, „სტუმარ-მასპინძელი“ უნდა დავარქვა ჩემს ახალ პოემას. ნახავთ, ილიას როგორ გავახარებ!

— შენ გენაცვალე, ლუკავ!.. შენს ლექსს ვენაცვალე და ილიას ვენაცვალე! — სიყვარულში იფერფლებოდა შეზარხოშებული მასპინძელი.

# სალამ ვუოხილევარ

**გიორგი გიგაური**

**ხევსურეთი! ვის არ იზიდავს ბუმბერაზი მთებისა და უთვალავი ჩანჩქერების სამეფო. ვინ არ ელტვის მის ციხე-კოშკებს, ჯადოჩანნულ ბუნებას.**

**ჩვენი მკითხველები, ბუნებრივია, ინტერესით გაეცნენ მეცნიერისა და მწერლის, მშობლიური კუთხის დიდი მოამაგის დავით გოგოჭურის წერილს და ფოტოჟურნალისტ თარხან არჩვაძის ნამუშევრებს.**

**და აი, მეც ერთხელ კიდევ მივუყვები ხევსურეთის ბილიკებს.**

## „ბზას ვამბობ, თორემ რა ბზაა“...

**ბლოში მიმავალმა, როშკის ჩანჩქერიდან რვა კილომეტრი ფეხით უნდა გაიარო, თანაც ფრთხილად, დაძაბული ყურადღებით, რომ ნაშლილი ბილიკებიდან უფსკრულში არ დაგიცდეს ფეხი.**

**ჩანჩქერთან წავიხემსეთ, ავიკიდეთ გუდა-ნაბადი და დავადექით გზას, რომელსაც ამ ბოლო დროს ადამიანის ხმა და ცხენის ჭიხვინი ენატრება.**

**წვიმს. ბილიკის გაყოლებით ატეხილი ვეება შამბნარი სახეში გვცემს. რამდენიმე წუთში გასაწურები გავხდით. გულს არ ვიტეხთ. ჩემი თანამგზავრებიც ხევსურები არიან და წუწუნი რას მიქვია?!**

**შემოგვალამდა. კლდიან ორწოხებზე სიარული ამ უკუნეთში შეუძლებელია და ჭალას ავუყევით. ყოველ ას მეტრზე წყალში ვტოპავთ. ყინულივით ცივი არაგვი ძვალ-რბილში ატანს.**

**მივაღწიეთ ბლოს სანახებს და გზაც აგვებნა. შალ-დიყიანში ველარ ვიპოვეთ სოფლისკენ მიმავალი ბილიკი.**

**სოფლისაკენ კი არა — ნასოფლარისაკენ! აქ ხომ ახლა მხოლოდ ერთი კაცი ცხოვრობს...**

**ავხმაურდით. შევუძახეთ შორეულ მასპინძელს. სადღაც, ჩვენს ზემოთ, სინათლემ იელვა. ხელის ფანრით მძიმე-მძიმედ ჩამოგვეგება ჩაჩაური. ამბავ-მშვიდობა გვკითხა. მარტო კაცი იყო და მაინც აქეთ გაგვამხნევა.**

**ბევრის თქმა მინდოდა და მოკლედ მოვჭერი:**

**მე რომ ბლოს ჭალას ვიარე,**
**აისრ ჩემ მტერმა იარა,**
**გამტეხა უგზოობამა,**
**ლოდების ცხელმა იარამ...**

## კაცი — სოფელი

**ხალხი ბარში რომ ჩაასახლეს, ჩაჩაური ჭაბუკი იყო. არ გაჰყვა ახლობლებს, ბლოში დარჩა — სოფელს არ მოვშლი, ცეცხლს არ ჩავაქრობ წინაპართ კერაზეო...**

**გონიერი და ერთგული მეუღლე შეხვდა, გამრჯე და მოყვასი, სათნო და ჭირთა ამტანი.**

**წლების განმავლობაში მარტოდმარტონი ცხოვრობენ თინა და ჩაჩაურ გიგაურები ბლოში, ზრდიან სამ შვილს, მასპინძლობენ მიმსვლელ-მომსვლელს.**

**ბლოში მომრავლდნენ დაცარიელებული ეზოები, ჩამოიქცა ბანიანი სახლები, აღარც საფეხვნო ჩანს და აღარც სახევისბრო. მხოლოდ ჩაჩაურის სახლ-კარი გამოიყურება ცოცხლად და მიმზიდველად. ხევსურებმა ამ გაუტეხელ ვაჟკაცს „კაცი-სოფელი“ შეარქვეს.**

**ჩემი იქ ყოფნის დროს, ბარში ჩასახლებული რამდენიმე გიგაური ესტუმრა მშობლიურ ბლოს. დღეობა ჰქონდათ, ლოცავდნენ და კოცნიდნენ მამაპაპათა ნაკვალევს.**

**საუბარი სოფლის აღდგენაზე ჩამოვარდა. ვეძებდით უკან დაბრუნების მსურველთ.**

**— გზა რომ გაიჭრების, მაშინ დავბრუნდებით, — ამბობდნენ ზოგიერთები.**

ვერ შეეედავეთ. ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საავტომობილო გზებს სოფლის მთავარი საარსებო არტერიების ქსელი უწოდა. ეს ჭეშმარიტება ხევსურებმაც კარგად შეიგნეს. უგზოდ მართლაც გაჭირდება ხევსურეთისაკენ ხალხის შემობრუნება.

ამაზე სერიოზულად ფიქრობს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. ა. ბარისახო-შატილის გზის მშენებლობა დამთავრდა თუ არა, ბარისახო-როშკის გზის გაჭრა დაიწყო. საქართველოს „სოფლტექნიკის“ მესამე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ამ მშენებლობაზე შარშან დიდი თანხა აითვისა. მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ, 1982 წელს გზის გაყვანა მთლიანად დაამთავრონ.

ბლო? ბლო როშკიდან აღარ არის შორს. ავტომანქანა იქაც აგუგუნდება, რადგან ბლოსთან ახლოა ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვის — დაციტის კარიერი. აუარებელი საამშენებლო მარაგი დროულად უნდა ჩადგეს ხალხის სამსახურში.

ჩაჩაურ გიგაურის ოცნებაც ხომ ეს არის, — გზა და ხალხი ერთად მიაწყდეს ბლოს სანახებს.

მანამდე კი კვლავაც მარტო გასწევს დაცარიელებული სოფლის ჭაპანს პატარა კახის სახელოვანი მებრძოლის, აბა ბიტურაულის შთამომავალი — ჩაჩაური.

— არ მოგწყინდა უმეზობლობა?

— ფრთხილად ვეკითხები ჩაჩაურს.

— იქნებ მომწყინდა კიდევაც! მაგრამ უნდა გავუძლო!

უძლებს.

ჩაჩაურ გიგაურის დახასიათებას აღარ გაგიგრძელებთ. იმას კი ვიტყვი, ზამთრის გრძელ ღამეებში ჭრაქთან ზის მთებში გამოკეტილი ხევსური და... წიგნს ჩაჰკირკიტებს.

## კირითხურონი

გუდანი. ეს სოფელი დღეს ყველაზე თანამედროვე და კეთილმოწყობილი სოფელია ხევსურეთში. ჩვენს არქიტექტორებს და მშენებლებს ენერგია არ დაუზოგავთ, რომ მთიელებს ლამაზი, ნათელი ბინები ჰქონოდათ და ამ ბინებისათვის ხევსურული ციხე-კოშკების ელფერი შეენარჩუნებინათ.

ახალმოსახლე მიხეილ ჭინჭარაულმა მითხრა:

— კარგ ბინებში ჩაგვასახლეს, ელექტრონიც გვაქვ, მაგრამ მიწაი გვაქვ ცოტაი, აღარ გვყოფნის...

მიხეილს ისიც აწუხებს, რომ სოფელში მანქანა არ არის და ბარისახოში ავადმყოფის დროულად გადაყვანა უჭირთ. დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს, რომ გუდანელებმა რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა მაინც შეიძინონ. გუდანის ორსართულიან სახლებს ნამდვილად დაამშვენებდა ეზოებში დაყენებული მსუბუქი ავტომანქანები.

თუ სოფლის განახლებაა, განახლება იყოს!

კირითხურონი კვლავ ფუსფუსებენ გუდანში. შენდება სასოფლო ცენტრი, რომელშიც მოთავსდება კლუბი, ფოსტა, საექიმო პუნქტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სასოფლო საბჭოს აღმასკომი.

შემდეგ მშენებლები შატილში გადაინაცვლებენ, სადაც ააგებენ თერთმეტ საცხოვრებელ სახლს, რვაწლიან სკოლა-ინტერნატს, ტურისტულ ბაზას, სასოფლო ცენტრს.

მეთერთმეტე ხუთწლედში ბარისახო-შატილის გზას ასფალტი დაამშვენებს. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგება საგანგებო საგზაო უბანი, რომელიც წელს გაიხსნა ბარისახოში.

ბარისახოში ასეთი უბნის გახსნა ხევსურეთზე პარტიის ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა, ხევსური მოლექსის, მთელი ხალხის ოცნების შესრულებაა:

გვიამბე, ჩვენო სარდალო,
ხევსურთ თუ გავლენ გზანია,
თუ მოვესწრებით იმ დროსა —
შუა გაიჭრან მთანია“.

## „გამაგრდით არხოტივნებო“...

ჩვენი დიდებული პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური, როცა დაცარიელებულ არხოტს იხსენებდა, გულისტკივილით ამბობდა: „არხოტში წყაროთ გორია, აიმ გორზედამც ჩამამსვა“...

ეს იყო მშობლიური კუთხის მონატრება, მთებისაკენ დაუოკებელი ლტოლვა და სევდა.

ვეღარ აისრულა ოცნება პოეტმა, ვეღარ დაუბრუნდა არხოტს, ვეღარ ამღერდა წყაროთ გორზე ჩამომჯდარი... ის უდროოდ წავიდა ჩვენგან.

სამაგიეროდ არხოტს გაბრიელის უმცროსი ძმა ციცქა დაუბრუნდა. კაცი გულალალი და შემართებული, თერთმეტი შვილის მამა. დიახ, ამ რამდენიმე წლის წინ ციცქა პირველი ეწვია არხოტის სანახებს და იქ დაასახლა თავისი დავაჟკაცებული ბიჭებიც.

მერე ერთი-ორი სხვა ხევსურიც მიემატა არხოტს და შარშან ხუთი სახლიდან ავარდა კვამლი მტრედისფერ ცაში.

ნასოფლარი სოფლად იქცა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ასას ხეობისათვის. იქაურ ახალმოსახლეთა ძახილს სხვებიც უნდა მიჰყოლოდნენ.

დუშეთის რაიონის თავკაცებმა ბარის სოფლებში დაიწყეს არხოტში ჩასახლების მსურველთა ძებნა. იპოვეს კიდევაც. ამ ცოტა ხნის წინ ვერტმფრენმა სოფლებში: ამღაში, ახიელსა და ჭიმღაში ათი ოჯახი ჩაიყვანა.

ანკარა მდინარის ნაპირებზე დასცეს კარვები ძელიმხან ოჩიაურმა, ზურაბ ნიკლაურმა, ტარიელ თეთრაულმა, შოთა ოჩიაურმა, ობოლა ნიკლაურმა...

ისინი შეუდგნენ მამაპაპური სახლების აღდგენას, პირუტყვის სადგომების აგებას, მეურნეობის ახლებურად მოწყობას.

ნამდაყრილ სათიბ-საძოვრებზე ახლა ამაყად დააბოტებენ მთის ნიავს დანატრებული არხოტელები და სწამთ, რომ რწმენა და გაუტეხლობა გაიმარჯვებს!

ახალმოსახლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა დღითიდღე ძლიერდება.

რესპუბლიკის შესაბამისი ორგანიზაციები ყურადღებას არ აკლებენ არხოტელებს. მათ პირუტყვის შესაძენად გამოეყოთ 45 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი, ფინური სახლები, სამშენებლო მასალები...

სიცოცხლის მოზღვავება უკვე იგრძნობა არხოტის ცისქვეშ. ქალებსა და ფერდობებზე გაიშალა ცხვრის ფარები, ძროხების ნახირი, აწკრიალდა მწყემსის სალამური...

პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰამლეტ კერესელიძემ ჩვენს თვალწინ სახელდახელოდ გაიანგარიშა მეცხოველეობის პროდუქტების ის რაოდენობა, რომელსაც სულ მალე აწარმოებენ არხოტელები ყოველ წელს...

ახლად წამოწყებულ საქმეს ყოველთვის ახლავს სიძნელეები. სიძნელეების წინაშე დგანან ხევსურეთში დაბრუნებული ვაჟკაცებიც და მაინც ღიღინებენ:

გამაგრდი, არხოტიონო,
გატეხით რა იქნებისა...

## ხვალინდელი დღე

— მალე დადგების ის დრონი, ამლის ბოლოში მატარებელ რო გამაჩინდების და ამაყად შალბლავლებს მთებს. საოცარ დროში ვცხოვრობთ, ღმერთისმამ...

ასე გვეუბნებოდა ციცქნა ჯაბუშანური არხოტის სტუმრებს. მას გაზეთში ამოეკითხა კავკასიონზე რკინიგზის გაყვანის სამზადისის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობაზე კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის საკითხი დააყენა და აღნიშნა, რომ ასეთი გზა აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

სამიოდე თვის შემდეგ, საბჭოთა საქართველოს საიუბილეო ზეიმზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა:

— თქვენ აყენებთ საკითხს კავკასიონის უღელტეხილის გავლით რკინიგზის გამჭოლი ხაზის გაყვანის შესახებ. ეს იდეა დიდი ხანია არსებობს. ასეთ მშენებლობას უდიდესი სიძნელეები ახლავს. მაგრამ ნაკლებ სიძნელეებს არც რკინიგზის უქონლობა ქმნის. ალბათ, დადგა დრო მტკიცედ მოვკიდოთ ხელი ამ უაღრესად რთული ინჟინრული, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტის საქმეს.

და აი, ინსტიტუტ „კავგიპროტრანსის“ თანამშრომლები გავიდნენ მომავალი რკინიგზის ტრასაზე...

აქ სხვადასხვა ინსტიტუტები სწავლობენ ტრასის მიდამოებში თოვლის ზვავებისა და კლიმატური პირობების საკითხებს, რკინიგზის ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის პრობლემებს.

1982 წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს ყველა ის კვლევაძიებითი სამუშაოები, რასაც მოითხოვენ საკავშირო საგეგმო და „სახმშენის“ მთავარი საექსპერტო კომისიები.

საინტერესოა ისიც, რომ რკინიგზის გაყვანის სამი ვარიანტი შეიქმნა — გორის, ქვენამთისა და არხოტის მიმართულებით. საგულდაგულო შესწავლის შემდეგ ამ სამი პროექტიდან ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნიეს არხოტის მიმართულებით დამუშავებული პროექტი.

ამ პროექტის მიხედვით რკინიგზა ზაჰესიდან ჟინვალამდე გაჰყვება არაგვის მარცხენა ნაპირს, მერე გაივლის ფშავისა და ხევსურეთის არაგვის მარცხენა ნაპირს, მერე სიონს, გავა ჯერ ასას, შემდეგ კომბილეევკას ხეობაში და შეუერთდება ბესლანის რკინიგზის სადგურს. გაიჭრება რამდენიმე გვირაბი. მარტო არხოტის გვირაბის სიგრძე 24 კილომეტრი იქნება.

შორს აღარ არის ის დღე, არხოტელი ხევსური მატარებლით ორსამ საათში რომ ჩამოგრიალდება თბილისში; ჩამოგრიალდება და აღარ ექნება დარდი ზვავებისა და წყალდიდობისა, გზების თვეობით ჩაკეტვისა.

აბა, მაშინ ნახეთ, რა ძალუძს მთას: როგორ უხვად დაიძვრება მისი ლალა და ბარაქა ბარისაკენ, როგორ შეიცვლიან სახეს სოფლები, როგორ გაუადვილდება შრომა და ცხოვრება მთიელ კაცს.

და ამ ლამაზ, სისხლსავსე დღეს ელიან მთებიც და ადამიანებიც, — ელიან რწმენითა და იმედით, ფიქრითა და მოთმინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბელა შალვაშვილი

* * *

ამ ნუთს მე ბევრად მეტი ვარ ვიდრე
გუშინწინ, გუშინ, თუ გინდაც დილით...
ნოქალაქევი თვალთა წინ მიდგას
და თბილად მიელის ტეხური გრილი.

როგორ მამაღლებს ეს გოჯის ციხე,
რა მეტყველია ყოველი გოჯი...
ნარსულის ნყლული ნარსულში იხევს,
ვდგავარ ვით ნათლის უკვდავი ბოძი.

ახლა გული და გრძნობა ვარ მთელად,
ცოდნით კი, ალბათ, ის ვიცი მხოლოდ,
რომ ამ მიწიდან ვიწყებით ყველა,
მას, რაც აქ იშვა, არა აქვს ბოლო.

აქ არის ჩვენი ძირი და ფესვი,
აქ ვიწყებით და... სამყაროს ვწვდებით...
აფრთიანებულს, აქედან, ვესავ,
არ შეიძლება დაემტვრას ფრთები.

ამ ნუთს მე ბევრად მეტსა ვგრძნობ ვიდრე
ოდესმე, და ხამს უსიტყვოდ ვიდგე...
ეს რა სცოდნია არქეოპოლისს,
ამიღო თრთოლით და არა... ბრძოლით.

* * *

ვილაც ავლებდა მუქ-მრუმე ხაზებს,
ვილაც, ფერებით ძალზე მდიდარი,
ბინდი ნაეცხო ჯვარსა და ჯვარზენს,
განენგოსფერდა თვალწინ მიდამო.

მოიჩიტება ცარგვალი ახლა,
ხოლო ვიდრემდე მოიჩიტება,
გულების ჩვენის იდუმალ ზრახვას
ფარდა ახადონ უნდა თითებმა.

აჰა, ჩიტებმაც დაიწყეს ჩენა,
ცარგვალზე დასხდნენ ოქროს ჩიტები...
ბაგეთა შუა ტყვექმნილა ენა
და მეტყველებენ ჩვენი თითები.

## მე მივაშურებ

დამყვება მისი სიმაღლე-მადლი
და ჩათავდება თუ არა მარტი,
მე მივაშურებ საყვარელ ადგილს,
ადგილს, რომელსაც უხმობენ მარტვილს.

რაც მაქვს, არ მინდა იმაზე მეტი,
და რაც მაქვს, სხვისთვის არ მემეტება...
და ეს მარტვილი თავისი ბედით,
თუ უბედობით გულზე მედება;

ნყლულზე მედება იგი მალამოდ
და გული ჩემი სხვაგვარ ალალობს...
და ჩათავდება თუ არა მარტი,
მე მივაშურებ საყვარელ მარტვილს.

## პ ე ძ ე ბ...

ჭრიჭინობელა საუბრობს სხვენზე
და გულის დარდებს გარემოს ანდობს...
„მუ ჯგირი ძღაბი“, — ამბობენ ჩემზე,
ნათქვამი მოჰგავს უნაზეს ამბორს.

ჭრიჭინობელამ აიკლო სხვენი,
კვარჩხალებს ცეცხლი, ჩიფჩიფებს ღომი...
მეც ვისაუბრო ამ თბილი ენით, —
ამ ერთადერთით სავსე ვარ ნდომით.

„მუ ჯგირი ძღაბი“, — ამბობენ ჩემზე,
მე ყურს ვიყრუებ... არარა მესმის,
და მე ვეძიებ... ჯიუტად ვეძებ,
ამ ლბილი ენის სად არის ფესვი.

## ფ ო თ ო ლ ც ვ ე ნ ა

აჰა, მომძლავრდა ფერები ნაღვლის,
მნუხრი ჩამუქდა ჩიტების ხმაში...
დაცარიელდა დადიას ბაღი,
დაგელავს ქარი — ველური რაში.

დავდივარ... დუმილს მიფორიაქებს
ოქროს ფოთლები — დაყრილი ოხრად,
უმნეო ჩიტის უღვთო შიში —
და გულისგულით დაძრული ოხვრა.

* * *

სერობის ჟამი, ფოთლების ჩქამი,
ფიქრების ნვრილი, გაბმული ძაფი,
გულს შინა ცეცხლი, თვალს ზედა ნამი...
ბგერები სწრაფი, ლბილი და ცქაფი.

სერობის ჟამი... მინაზე შხვერთი
ქალი ნევს თეთრი, თუ რა კვალია...
ეს რა კვალია, — ჩემს წინა, ჩემთვის
ვფიქრობ და მესმის: ჯუმის ნყალია.

მშობელი ცის ქვეშ, მშობელ მინაზე —
ციცქნა ჯუმიც კი ისევ ფრთამალი
ისე ხმიანობს, ლამის ვინამო,
იგია ყველა დარდის ნამალი!

## არ შემიშინდე!

კოლხეთში იცის ასეთი ღამე —
გზას ვერ გაიგნებ საკუთარ კართან,
კოლხეთში იცის ასეთი ღამე —
შენსავე თავში ჩაღრმავდე რათა.

მოფენილია ქვარტლი და კუპრი
და მაძახურის ხმა ისმის მჭახე,
ეს ბნელი ღამეც რაღაცას უბნობს
და ნათელს აფენს ათასგვარ მახეს.

ოდით კი ასე იყო და არის —
მთები ბნელშიაც მთებურად დგანან,
ამ ქვარტლსაც მალე გაფანტავს ქარი,
არ შემშინდე სიბნელით, ნანა!

## ასეთი მხარეც...

კოლხეთის დაბლობი მწვანე ნაბადია,
ოქსინოთი და ზეზით ნაბარდნია,
კოლხეთი სიმღერის მადანია,
უხვი სინათლე და სითბო აბადია.

მეძახის, მიმიხმობს ოცნება — კოლხეთი,
ლამაზი ყლურტული ჩამესმის კოლხთა,
მივალ და მეტყვიან: კარგია, მოხვედი,
ზეობენ, თითქოსდა დიდი რამ მოხდა.

აქ ცოტნეს აჩრდილი ცხადად იარება,
მხარ-ბეჭი მიუგავს გაფრენილ მერცხალს...
გადაიქარნვიმა ძველმა იარებმა
და კოლხეთს ოცნება შერჩა.

დღეა საბატონი. და კაცი ბატონი
ამ არემარესი — მკვირცხლი და ლაღი —
ისე იარება, გრძნობს არის პატრონი
ლირიკის ერცეული ბაღის...

კოლხეთის დაბლობი მწვანე ნაბადია,
ოქსინოთი და ზეზით ნაბარდნია...
რაღა განუხებდეს უნდა ადამიანს,
ასეთი მხარეც რომ გაბადია!



სსრ კავშირის სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე, „რიჩარდ III-ის“ როლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა













ზემო სვანეთი

სოფელი უშგული,
ლამარია.

მოხუცის პორტ-
რეტი

უშბა აწვალის
მთიდან.

ზემო აჭარა

აჭარული ნალია;

ალპური საძოვ-
რებისაკენ.

გოდერძის უღელ-
ტეხილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზამთრის პეიზაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრეული გაზაფხული

**მოთხრობა**

ირინე ტალიაშვილი

ჩამთავრდება ფოთლიანი ტყეები და გორაკებს იქით ნაძვების ვრცელი, კამკამა ზოლები გადაიჭიმება. ნაძვები მთის ფერდობზეა შეფენილი და მათ თავზე გამუდმებით დაცურავს აბლაბუდასავით გამჭვირვალე ნისლი. ნისლიანი მთების ძირში საავადმყოფოს თეთრი, ქათქათა კორპუსებია აღმართული, ხოლო კორპუსებს შუა მავთულის ბადით შემოღობილი ალვის ხეები და ტანწერწეტა კვიპაროსებია ჩამწკრივებული. კვიპაროსები არ შარიშურობენ, არ შრიალებენ, დგანან გულგრილები, უმფოთველები და იქაურობასაც მოწყენილსა და მშვიდ ელფერს აძლევენ. ეზოს ბოლოში თავდახრილი ტირიფის ტოტები ქანაობენ. გაყუჩებულან მარადიული სევდის სიმბოლოდ და მისტირიან ვიღაც უხილავს. მათ ქვეშ ლურჯადშეღებილი, გრძელი სკამებია დაყუდებული. როცა მკაცრი ექიმები ავადმყოფებს სეირნობის უფლებას აძლევენ, ისინი ამ სკამებზე სხდებიან და სუფთა ჰაერს ისუნთქავენ.

სუფთა ჰაერი ზემოდან, მარადმწვანე ხეთა სამფლობელოდან ჩამოაქვს სივსივა ნიავს. ერთმანეთშია არეული ნედლი წიწვების, საკმევლისა და დამდნარი თოვლის სურნელი. თოვლი მთებს ზევით, მწვერვალებზეა შემორჩენილი. მწვერვალები საკმაოდ შორს, მიუვალი მყინვარების თავზე დგანან მრავლისმთქმელი დუმილით გაქვავებულნი, მაგრამ მათ შემხედვარეს აქვე ჰგონია, ერთი ხელის გაწვდენაზე.

საავადმყოფოს ეზოში ტირიფის ქვეშ მჯდომი გოგონაც ასე ფიქრობდა. მხრებზე შინ ნაქსოვი სქელი შალი მოეხურა და შეციებულივით იფუთნებოდა. გაცრეცილ სახეზე წყლიანი, ცისფერი თვალები უკამკამებდა. პაწია ცხვირი აეჭმუხნა და დაჟინებით მისჩერებოდა დაკბილული მთების შორეულ ჰორიზონტს.

— გამარჯობა, — თითქოს ნიავის ქროლვამ მოიტანაო, ისე გაფაჩუნდა გოგონას ყურთან ვიღაცის ხმა და მის წინ კალათიანი, მზისგან ცხვირაქერცლილი ბიჭი გამოჩნდა. ყმაწვილს მწყერის კვერცხივით დაჭორფლილი სახე და ისეთი თხელი, სიფრიფანა ყურები ჰქონდა, რომ შიგ მზის შუქი ილანდებოდა და ვარდისფრად ბრიალებდა.

— გამარჯობა, — გაიმეორა კიდევ ერთხელ და მხიარულად გაიცინა, — ხომ არ შეგაშინე?

გოგონა მოიღუშა, უფრო მოიფუთნა თავშალი და მისალმების მაგიერ მკაცრად ჰკითხა: — აქ საიდან გაჩნდი?

— აგე, იქიდან, — ხელი გაიშვირა ბიჭმა აყვავებული იელის ბუჩქებით დაფარული გზისპირისაკენ და ონავრულად დააკვესა თვალები, — ბადე გახეული ყოფილა და ადვილად შემოვძვერი.

გოგონას წარბიც არ შესტოკებია, უფრო მოიღუშა და ბიჭმაც აჩქარებით დაამატა: — დაგინახე და იმიტომ გავბედე, — უნდოდა ეთქვა, მარტო რომ იყავი, შემეცოდეო, მაგრამ ვერ გაბედა და უხერხულად აწრიალდა, — შენც ავადმყოფი ხარ?

— დიახ, — ჩაიჩურჩულა გოგონამ. — გული მტკივა.

— გული? — თანაგრძნობით წამოიძახა ბიჭმა, — მე მეგონა, მხოლოდ უფროსებმა იცოდნენ გულის ტკივილი. აი, როგორც ჩემს მეზობელ ძია გიგოს სტკიოდა. სუნთქვაც კი გაუჩერდა ტკივილისაგან. ჟანგბადის ბალიშები მოჰქონდათ, ძლივს გადარჩა.

გოგომ უნდოდ შეხედა ბიჭს.

— არა, სუნთქვა არასოდეს გამჩერებია, ისე კი ძალიან მტკივა. — მიუგო დარდიანად.

— იქნებ რითიმე დაგეხმარო, — გულითადად შესთავაზა ბიჭმა და კალათი მიწაზე ჩამოდგა. — აი, იქ, გაღმა კარგი მდელოა, ბევრი მარწყვი იცის. — თქვა და კალათიდან რამდენიმე ცალი ამოიღო. — აჰა, გამომართვი, — გაუწოდა გოგონას და მორიდებით დაიკრიფა გულზე ხელები. გამოართვა გოგონამ, დახედა მწიფე, შემჭკნარ მარცვლებს და კი არ შეჭამა, კაბის ჯიბეში ჩაიყარა. დაიბნა ბიჭი, არ იცოდა, რითი ესიამოვნებინა და თავი გამოიდო. შეხტა, ტირიფის ტოტს ჩამოეკანჭურა, ფეხები ზევით აკეცა და გაქანდა. შეშფოთდა გოგონა, ტირილნარევი ხმით შეჰკივლა: — რას შვრები, რას? ჩამოხტი, თორემ სულ ჩამოგლეჯ საბრალო ფოთლებს!

შეჩერდა ბიჭი. ტოტს სწრაფად უშვა ხელი, და დამორცხვებულმა უკან დაიხია. ჩაფიქრდა, კიდევ როგორ გავართოო, მერე უცებ — ალეე ჰოპ! — შესძახა მხიარულად, ორივე ხელი მიწას დაარტყა, გაიჭიმა და ყირაზე დადგა მის წინ.

გოგონას არც ახლა გამოუხატავს აღტაცება, იჯდა ნაღვლიანი, გულგრილი და ცერად გაჰყურებდა. ბიჭმაც გამოხედა ხელებს ქვემოდან. შენიშნა მისი კოპებშეკრული შუბლი და წაუხდა ხასიათი, ვეღარ მოზომა მანძილი, გადაიზნიქა და ზღართანი მოადინა ბალახზე. კინაღამ შეჰყვირა ტკივილისაგან. სახსარში თითქოს პაწია ნერვი გაუტკაცუნდაო, ისე ჩაწყდა რაღაც, მაგრამ არ შეიმჩნია. სულშეგუბებული უკან, ბალახზე გადაწვა და ცას დაუწყო გაშტერებით ყურება. გრძნობდა, როგორ მოედინებოდა მკერდიდან თბილი, სველი ნაკადი და თვალის გუგებში ეჩხირებოდა.

დაფრთხა გოგონაც. დამნაშავესავით დააჩერდა ძირს გაშხლართულ ყმაწვილს და მორიდებით შეაპარა: — ბალახი ნამიანია, გაცივდები.

გამოცოცხლდა ბიჭი. დამალა სიძაბუნის ცრემლი. გოგონას ხმაში გაჟონილმა სითბომ გაახარა და წამოიწია, იდაყვებს დაეყრდნო.

— გინდა, ყვავილები დაგიკრიფო? ჩვენთან, მთაში, ძალიან ლამაზი ყვავილები ხარობს.

— არ მინდა! — უხალისოდ გააქნია თავი გოგონამ, — მოწყვეტილი ყვავილები მალე ჭკნება.

— მაშინ სახლიდან ტიტას და იაჟუჟუნას მოგიტან ქოთნით, გინდა? — ახლა იმაზე ჩააცივდა ბიჭი.

— თავი დამანებე! — შეჰყვირა გოგონამ გაჯავრებით, — არაფერი არ მინდა, რას გადამეკიდე!

ეწყინა ბიჭს. აიწურა. დადგა ნირწამხდარი და ტუჩს დაუწყო კბილებით წვალება.

— კი მაგრამ, შენ არასოდეს არ იღიმები? — გაბედა ბოლოს ხმის ამოღება და უცებ მის წინ ჩაცუცქდა: — მითხარი, ჰა?

— მე ხომ გული მტკივა, — მხრები აიჩეჩა გოგონამ, — როგორ გავიცინო, თუ არ მეცინება?

— აბა, რას ამბობ?! — შეჰყვირა ბიჭმა, — პირიქით, სულ უნდა იცინო. აი, მაგალითად, ჩემს მეზობელ ძია გიგოს ყველანი ენამწარე, შხამა კაცს ეძახდნენ. ხომ გითხარი, ერთხელ სუნთქვაც კი გაუჩერდა, ამბობდნენ გესლისაგან სული ვეღარ მოიბრუნაო. ჰოდა, იცი, ექიმმა რა გამოუწერა? სიცილის ნემსები. მართლა, მართლა! სიცილის! თანაც დაარიგა: ყოველ დილით სუფთა ჰაერზე უნდა ისეირნო, ბევრი გამარჯობა უნდა თქვა, ღიმილის აბაზანები უნდა მიიღო და ბევრი მხიარული წიგნი იკითხოო. იმანაც დაუჯერა და ისე გამომჯობინდა, რომ სულ გამოიცვალა კაცი.

ვეღარ გაუძლო გოგონამ ბიჭის გაუჩერებელ ქაქანს, თვითონაც ვერ შეამჩნია, როგორ გაეხსნა შუბლი და თვალებში ონავრული ნაპერწკლები აუთამაშდა, — აბა, ჟანგბადის ბალიშები მოჰქონდათო?



— გაუღიმა ნიშნის მოგებით და ვარდისფერმა გადაჰკრა ლოყისთავებზე. ბიჭს არ გამოპარვია მისი ვარდისფერი ღიმილი, აღტაცებით შემოჰკრა ტაში.

— ხომ გითხარი, ხომ გითხარი, — აფორიაქდა გახარებული, — იცი, როგორ მოგიხდა გაღიმება?

გოგონას ესიამოვნა შექება და დაირცხვინა.

— შენც კაი ცრუპენტელა ყოფილხარ, აბა, სად გაგონილა ღიმილის აბაზანები, სიცილის ნემსები, — საყვედურობდა თითის ქნევით.

რაკი ერთხელ ყინული გატყდა, თავს ვეღარ იჭერდნენ, უკვე თავშეუკავებლად იცინოდნენ ორივენი.

ჩამოურბინა ნიავმა ხეივანს დაბარებულივით და ალვის ხის ფოთლები ააშრიალა. ჯუჯა პალმებმაც დაარხიეს მარაოსავით გრძელი, წვრილი ფოთლები. გახშირდა შუქ-ჩრდილთა თამაში. აგრილდა.

წამოდგა გოგონა. ჩამოირეცხა სახიდან მხიარული ღიმილი და მხრებზე ჩამოცურებული თავშალი გაისწორა.

— უნდა წავიდე, ბიჭო, თორემ გავცივდები, — უთხრა და ალერსიანად გაუწოდა ხელი, — მე თინიკო მქვია, ნახვამდის!

მოიწყინა ბიჭმა. დაენანა გოგონასთან განშორება, მაგრამ არ შეიმჩნია, იმედიანად ანუგეშა: — კარგად იყავი, თინიკო, ყველაფერი კარგად იქნება. თუ რამე დაგჭირდა, დამიძახე! სულ აქ ვიდგები, ამ სკამთან დაველოდები-ხოლმე.

თავი დაუქნია იმანაც. გაუღიმა გაფითრებული ტუჩებით და ზურგში ამოხრილმა ისე წაათრია ფეხები, თითქოს საკუთარი მკერდი მიჰქონდა ხელით. დარჩა ბიჭი მარტო. გაჰყურებდა თბილი, სიბრალულით სავსე მზერით და მანამდე არ მოუცვლია ფეხი, ვიდრე ერთხელ კიდევ არ მოტრიალდა გოგონა და ხელი არ დაუქნია.

— ნუ გეშინია, ბიჭო, ყველაფერი კარგად იქნება! — გამოსძახა წკრიალა ხმით და შენობის კუთხესთან გაუჩინარდა.

ასწია ბიჭმაც ორივე ხელი. გაქვავდა ასე. შორს, მწვერვალების თავზე ბლუჯა-ბლუჯა მიიზლაზნებოდნენ მზის სხივებისაგან დამფრთხალი ნისლები, ღრუბლის ზვავებად გროვდებოდნენ და თოვლიან ხეობებს აფარებდნენ თავს.

# მასტროლები

## მოთხრობა

ბეგლარ ნოზაძე

დედა იგვიანებდა. ალბათ ბევრი დაჭრილი მიიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც დედა მოწყალების დად მუშაობდა. იყო დღეები, როცა დაჭრილების დაბინავება ჭირდა. ოთახებში საწოლები ვეღარ ეტეოდა. დერეფნებიც გამოტენილი იყო,— იქ შედარებით მსუბუქად დაჭრილებს აწვენდნენ.

იყო კვნესა და გოდება. ექიმები ფეხზე ძლივს იდგნენ, ზეზეურად ფვლემდნენ, თეთრი ხალათები სისხლში ჰქონდათ ამოთხვრილი. საღამოობით კი, უფრო სწორად, გვარიანად რომ შეღამდებოდა, ჰოსპიტლის ეზოდან მოხუცი დანიელის ფორანი გამოდიოდა. ერთ ცხენს წვივი რუმბივით გასიებოდა, — ჭურვის ნამსხვრევი მოხვედროდა ფრონტზე. საზარბაზნე ცხენი იყო, ვეებერთელა. თეთრი მკერდი და გავა ჰქონდა. კოჭლობით დადიოდა, ძლივს მიათრევდა გაშეშებულ ფეხს.

კოფოზე სახემოღუშული, თეთრწვერა დანიელი იჯდა განუშორებელი მათრახით ხელში. ორი კაცი მიაცილებდა ფორანს ძმათა სასაფლაომდე. ცხენებს არც დანიელი სჭირდებოდათ და არც ალვირი. იცოდნენ თავიანთი გზა. დიდი, ნაღვლიანი თვალებით შეუყვებოდნენ ხოლმე კვერნაქის ფერდობს, სადაც სოკოებივით მრავლდებოდა ყორნისფერი ფირფიტები ძმათა სასაფლაოზე.

ასე გადიოდა შემოდგომის ნისლიანი დღეები.

დარაბებდახგმანულ ოთახში ლამპა ბჟუტავდა. ლამპის შუშას ნაპირებმომწვარი გაზეთის ქაღალდი ჰქონდა შემოკრული, მაგრამ მაინც ანათებდა და იმედით გვავსებდა.

ჩემს დას ძველი შალი მოეფუთნა. ტახტზე მივყუჟდით გაყინული ბეღურებივით. გვშიოდა. ბურვაკის ერთი ბარკალიღა გვედო უშველებელ კასრში. ეს იყო ჩვენი სარჩო-საბადებელი. შემოდგომის ქარი ძალლივით წკავწკავებდა კართან და თითქოს შინ შემოსვლას გვთხოვდა.

— მოდი, წავალ და დედას დავხვდები, ჰა?

— ახლა ქუჩაში პატრულები დადიან, დალამდა და ყველას ამოწმებენ... არ შეიძლება, დავიცადოთ, — არც დაფიქრებულა, ისე მომიგო ჩემმა დამ.

იგი მეცხრე კლასში სწავლობდა, სამი წლით უფროსი იყო ჩემზე.

ოთახში საათის გულისკამაწვრილებელი წიკწიკი ისმოდა. ზლაზვნით გადიოდა დრო.

დედა კვლავ არ ჩანდა. ჰოსპიტალი სამასიოდე მეტრზე იყო ჩვენი სახლიდან, ჭავჭავაძის ქუჩაზე, პედაგოგიური ტექნიკუმის შენობაში. ბევრჯერ ვყოფილვარ იქ. კარებშივე გვცემოდათ წამლების სუნი. ჩავკიდებდი დედას ხალათში ხელს და ნუკრივით აჲუძლევბოდი ვიწრო დერეფანში. დაჭრილები ყავარჯნებს საწოლებზე აყუდებდნენ და თავპირგადახვეულები მუმიებივით იწვნენ გარინდულნი. შიგადაშიგ ყრუ კვნესა არღვევდა შეხუთულ ჰაერში გამეფებულ მდუმარებას. სისხლის წითელი ლაქები ქონავდნენ ქათქათა დოლბანდებში. ისინი, ვისაც კიდევ ჰქონდათ თავი, წამოდგებოდნენ ხოლმე და გაწამებული სახეებით მიღიმოდნენ...

ყველაფერი გავყიდეთ, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. ბოლოს, დედამ მიცვალებულივით გამოასვენა სახლიდან მამისეული ჩექმები და კოვერკოტის კოსტუმი. დედა ტიროდა. ბროლის სურები მალე ვიღაც მევახშემ წაიღო. წიგნებიღა შემოგვრჩა, ისიც იმიტომ, რომ არ ვიცოდით, სად გაგვეყიდა.

იმ დღეს დედა უთენია ამდგარიყო. სპილენძის მოკალულ ქვაბში ბურვაკის ბარკალს ხარშავდა. ქაფს ხდიდა ქაფქირით.

—დედი, სულ რატომ ხარშავ? — ვიკითხე შეშინებულმა.

— ნახევარი უნდა გავყიდოთ... პურის ფული აღარა გვაქვს, ვიდრე ხელფასს ავიღებ, როგორმე იოლად წავიდეთ, — მიპასუხა დედამ და თვალი ამარიდა.

— ვინ უნდა გაყიდოს?

— რა ვიცი, შვილო, — დედამ მხრები აიჩეჩა, — დათიკოს ვთხოვოთ...

დათიკო ჩვენი მეზობელი იყო. კანდამსკდარი ბროწეულის ფერი ედო სახეზე. ნავთს ყიდდა. ნავთს კი მაშინ, იმ შიმშილის დროს, პურის ფასი ედო. დათიკო ვაჭრობდა კიდეც. თითო გახვევა თამბაქოს სისხლის ფასად ჰყიდდა. ისიც მახსოვს, ყოველთვის ორ დიდ ღორს ზრდიდა ზამთრის საგზლად. და აი ,ახლა ამ კაცს უნდა გაეყიდა ჩვენი ბურვაკის ხორცი!

— დათიკო მოგვატყუებს... იცი რა, დედი, მოდი ძია გრიგოლას ვთხოვოთ, ჰა?.. მეც ვუშველი.

დედა ჩაფიქრდა.

გრიგოლა ჩვენი შორეული ნათესავი იყო. ბაზარში მუშაობდა. მარცხენა ფეხი გამეშებული ჰქონდა.

— არა, შვილო, — ამოიოხრა დედამ, — ბაზარში ვერ გაგიშვებ... ჩამოვა და რას იტყვის მამაშენი!..

— ბარკალს არავის დავანებებ!.. მეც უნდა გავყვე!

ეტყობა, ეს სიტყვები ისე წარმოვთქვი, რომ დედამ გაკვირვებით შემომხედა, აი ისე, თითქოს პირველად მხედავსო. რა წაიკითხა ჩემს შეკრულ კოპებში არ ვიცი, მაგრამ გუმანით ვიგრძენი, რომ გავიმარჯვე. დედამ ცრემლი შეიმშრალა და ჩურჩულით მითხრა:

— მამასავით ჯიუტი ხარ, ბიჭო!.. ნამდვილი მამაილა...

ეჰ, ნეტა სად იყო მამა! უკანასკნელი წერილი ქერჩიდან მოგვაწვდინა.

ბაზარი სადგურის ახლოს იყო. მატარებელს ჯერ ბაზრის გვერდით უნდა ჩაევლო და შემდეგ შედიოდა სადგურში. ორიოდე ჭიანი, გვერდებგამოხრული და გაშავებული დახლი ხავსმოდებული ყავრით იყო გადახურული. დახლების მაგივრად ადგილ-ადგილ რიყის სიპი ქვები ჩაერიგებინათ. ბაზრის შუაში ცაცხვი იდგა, ტოტებშემოძარცვული, ცაცხვის ფუღუროში რადიო იყო ჩადებული. იქვე, ხის ძირში, პატარა ფარდული მოექოხათ. ამ ფარდულში სასწორებსა და გირებს ინახავდნენ.

ომი — ომია, მაგრამ ომის დროსაც სუნთქავს და ცოცხლობს ბაზარი, მილეთის ხალხი ირევა. შესცქერი ბაზარს და წამით გავიწყდება რადიოს გამყინავი ხმა, პურის დამტარებელ ავტომობილს ადევნებული ხალხი... რას არ ნახავდით აქ: მიწაზე ეყარა გასაყიდად გამოტანილი ძველი ფეხსაცმლები, დაჟანგული ჯაჭვები, ცარიელი ქილები, გამოპირული წალდები, ბზის შალაშინები, ათასი ჯურის ძველმანი...

გაპოხილ დახლთან ორადმოკეცილ ბერიკაცს მოეკალათებინა. წინ კვარტიანი ბოთლი და წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქა ედგა. იქვე, პატარა, მუცელმოშვებული ტიკი თვლემდა. ბერიკაცის გვერდით ვიღაც შაოსანი დედაკაცი ნაადრევად მოკრეფილ უმწიფარ მსხალს ჰყიდდა. საიდანღაც გამომტყვრალი ტყაპუჭიანი აყლაყუდა პაპიროსებს თვლიდა ფრჩხილებდაუჭრელი, ჩაშავებული თითებით

და წრიპინა ხმით გაჰკიოდა:

— „ტემპი"… „რეკორდი"!

თვალებამოღამებული ქალი დედას პურებს სთავაზობდა მყიდველებს. კვერისოდენა იქნებოდა ეს პურები, ლობემ-ძვრალას თუ ეყოფოდა ვახშმად, მაგრამ მაინც პური იყო! პური იყო და მისი დამათრობელი სურნელი ცხვირის ნესტოებში მცემდა, გონებას მიბინდავდა…

ძია გრიგოლა წინ მიდიოდა. ბურვაკის ნახევარი ბარკალი, დედამ რომ თეთრ ტილოში გადამიხვია, იღლიაში მედო. ჩემზე მდიდარი და იმედიანი კაცი ამ ქვეყანაზე ახლა ბევრი არ მეგულებოდა.

— აი, აქ დადექი, შვილო, ბერიკაცთან, სასწორიც აქვეა, მალ-მალე მოგხედავ ხოლმე… დაიხსომე: 100 გრამი 20 მანეთი ღირს, — თქვა ძია გრიგოლამ და მოხუცს მიუბრუნდა, — ამ ბავშვზე დამიჭირე თვალი, ცოტა ხორცი აქვს გასაყიდი, მამამისი ფრონტზეა…

მოხუცმა დაფანჩული წარბებიდან გადმომხედა.

— მოდი აქ, შვილო, მეც შენსავით ბედოვლათი ვაჭარი ვარ… ბიჭის სანახავად უნდა წავიდე ჰოსპიტალში… ბილეთის ფულს ვაგროვებ…

მოხუცმა გვერდით დამიყენა, ერთხელ კიდევ ამოიოხრა და დაყვავებით მითხრა:

— დანა გაქვს?

— დანა დაგვავიწყდა…

— ეე, აკი გითხარი, ბედოვლათი ვაჭრები ვართ-მეთქი.

მოხუცმა გახეხილი ხალათის ჯიბიდან ნამყენის გამოსაყვანი დანა ამოიღო და ცერა თითით გახსნა.

— აჰა, დანაი.

გამოვართვი. ტილო ფრთხილად გადავშალე და ხორცი გამოვაჩინე. ჯერ კიდევ თბილ ხორცს საამო ოხშივარი ასდიოდა.

ორი წვერგაუპარსავი კაცი მოადგა ჩვენს დახლს. ერთს მუცელი გადმოვარდნაზე ჰქონდა, ძლივს სუნთქავდა, ეტყობოდა, ქოშინი სჭირდა. მეორე ლობიოს სარივით გამომხმარიყო, ძლივსღა ატრიალებდა ყვითელ თვალებს.

— ძია კაცო, როგორი არაყია? — იკითხა ლიპიანმა.

— შამანი და ქიპიტაური არ გეგონოს, ჭანჭურისაა, ორნახადი!

— მაშინ დაასხი.

მოხუცმა ჯიბიდან მეორე ჭიქაც ამოიღო. წელგამოყვანილ ჭიქებში არაყმა წვრილი, ბოლისფერი ჯაჭვი მოავარაყა. თეთრ-ლურჯად გამონათეს ჭიქებმა.

ხელის კანკალით აიღეს ჭიქები, ერთმანეთს გახედ-გამოხედეს და უხმოდ გადაყლურწეს. ერთხანს სული შეეგუბათ, თვალები აუწითლდათ, მერე ლიპიანმა იმარჯვა:

— ძია, ასეთ არაყს კაცი გაყიდის?

— რა ვქნა, შვილო, ბიჭი მიწევს ჰოსპიტალში… გზის ფული მიჭირს და ვყიდი!

— მოდი, ახლა შენი ბიჭის სადღეგრძელო დაგვისხი!

კოტიტა თითებით ჭიქები ერთმანეთის ახლოს მისწია ლიპიანმა.

ერთხელ კიდევ გამონათეს თეთრ-ლურჯად ჭიქებმა.

— დააყოლეთ რამე, შვილო, ცეცხლის ნაღვერდალია ეს არაყი… აი, ამ ბიჭს ვარდივით ხორცი აქვს გასაყიდი, იყიდეთ და დააყოლეთ.

— რა ღირს, ბიჭო, შენი ხორცი? — მომიბრუნდა გაკნაჭული კაცი.

— ასი გრამი — ოცი მანეთი.

თითით მანიშნეს, აგვიწონეო. ხორცი მოვჭერი და ღედაბერთან გადავინაცვლე. ღედაბერმა უხალისოდ აალაგა სასწორიდან ვეება მსხლები. ბაწარგამობმული ასგრამიანი გირი მოვნახე და თეფშზე დავდე.

ხორცი ცოტა მეტი გამოვიდა.

— მეტია, ბიჭო, — მითხრა ლიპიანმა.

— იყოს… — ვუთხარი და ხორცი გაზეთის ნაჭერზე დავდე. თვითონ დაჭრეს წვრილ-წვრილად. არაყი გამოცალეს და მოხუცს მესამედ შეავსებინეს ჭიქები.

ისიც უხმოდ გამოცალეს. გაკნაჭულმა კაცმა ფული ამოიღო.

— მხოლოდ ოთხი ჭიქისა მერგება! — წინდაწინ გააფრთხილა მოხუცმა.

მუშტარმა ფულის თვლა შეაჩერა.

— ექვსისა, ძია კაცო!

— არა, შვილო, ი ბიჭის სადღეგრძელო არ იანგარიშოთ!

აღარაფერი უთქვამთ. გაუსწორდნენ მოხუცს, ორი თუმნიანი მე დამიგდეს ხორცზე და ხალხს შეერივნენ.

ორთქლმავალმა მოაკივლა, მიწა თითქოს აძიგძიგდა, ბაზრის ხალხმა ერთდროულად მოაბრუნა კისერი: ეშელონი შემოდიოდა სადგურში. ორთქლმავალი ქშენა-ქშენით მოდიოდა. ღია ვაგონებზე ზარბაზნები და ავტომობილები ელაგა. ჯარისკაცები ზარბაზნებზე ჩამომსხდარიყვნენ. დახურულ ვაგონებს კარები ღია ჰქონდათ. გასასვლელებში ფიცრები გაეხიდათ. ფიცრებზე მატროსები გადმოყუდებულიყვნენ. ჭრელი გულისპირები მოუჩანდათ და ლამაზი, ლენტებიანი ქუდები. კიდევ ერთხელ ამოიქშინა ორთქლმავალმა, მუხრუჭების ხრჭიალი გაისმა.

ვიღაცამ შეშფოთებული ხმით დაიყვირა ბაზრის შუაგულში:

— მთვრალი მატროსები!..

მატროსებს ახმახი მოუძღოდა. დევისოდენა მხრები ჰქონდა, მაჯები გადაჭრილ კუნძს მიუგავდა. ლამაზი ქუდი ხელში ჩაებღუჯა.

— რა გაქვს, მოხუცო? — როხროხა ხმით ჰკითხა ახმახმა მოხუცს.

— არაყია, შვილო.

— დაგვალევინებ?

— დაგვალევინებო? რა სათქმელია? აბა ვის უნდა დავალევინო?! შეგარგოთ!

მოხუცმა ჭიქები შეავსო. ახმახს შუა ტაბიკის სიმსხო თითებში მოემწყვდია გალიცლიცებული ჭიქა. ერთი კი გააღო არნადისოდენა პირი და მხოლოდ თეთრ კბილებს მოვკარი თვალი. ბოლომდე გადახუხა. მოხუცი რიგრიგობით ავსებდა ჭიქებს. სულ ბოლოს ერთი ტანმორჩილი მატროსი იდგა, ჭორფლიანი, მამალი ინდაურის წონა იქნებოდა. ბოლო ჭიქა მიაწოდეს.

— აბა, კოლკა, გადაუშვი!

კოლკამ ვაჟკაცურად დაითრია ჭიქა. ნახევარი რომ მოსვა, ხველა აუვარდა. მატროსებმა გადაიხარხარეს. მოხუცსაც შუქი ჩაუდგა თვალებში.

— რა გაცინებთ! — გაჯავრდა კოლკა, — არაყი კი არა, გამდნარი ტყვიაა! წყალი მაინც იყოს, ეს ოხერი!

მოხუცმა ჯიბე მოიჩხრიკა და თონის მჭადის ყუა ამოაძვრინა. წვრილ-წვრილად დაამტვრია მჭადის ყუა, ისე, თითქოს წიწილებს უყრისო საკენკს. მატროსებმა თითო ნამცეცი აიღეს და დაყნოსეს…

— მოხუცო, — ისევ აროხროხდა ახმახი, — ჩვენ მეტი ფული არ მოგვეძევება… ისედაც ბევრი დავლიეთ… ნუღარ ასხამ.

მოხუცმა წარბები შეკრა:

— ვიდრე ეშელონი წავა, მე ვარ მასპინძელი… ფულიო? ვის უნდა თქვენი ფული, ჰა? შინ მშვიდობით მოდით და მერე ვილაპარაკოთ ჩემს ეზოში… მობრუნდება ჩემი მიხო და მერე ვილაპარაკოთ! მაშა, მერე ვილაპარაკოთ!

მოხუცი ახლა უკვე ტიკიდან ასხამდა არაყს. მატროსებმა ჩიტებივით აკენკეს მჭადის ნამცეცები. ტილო გადავშალე და დანა მოვიმარჯვე. მსხვილ-მსხვილ ნაჭრებად დავჭერი ხორცი, მატროსებისაკენ მივაჩოჩე.

— დააყოლეთ! — ვუთხარი გამეტებით.

თითქოს ახლა შემამჩნიესო. კოლკა წინ წამოდგა და აპრეხილ ცხვირზე ხელი მოისვა.

— შენ ვინ ხარ, ბიჭო? შინ ვინა გყავს?

მოხუცმა უპასუხა ჩემს მაგივრად:

— ამის მამაც ფრონტზეა.

— მაშინ თითო ნაჭერს ავიღებთ!.. სულ ხუთი ნაჭერი! — თქვა კოლკამ.

— არა, — წინ წავდექი, — ჭამეთ, ჩვენ კიდევა გვაქვს სახლში… მამა რომ აქ იყოს, ეწყინება!

პირველად ახმახმა აიღო ხორცის ნაჭერი. ჯერ დაყნოსა, მერე კი გაწიწკნა.

მატროსები გულიანად ილუკმებოდნენ. პატარა ტიკს ფერდი-ფერდზე მიჰკროდა, უკვე გალასტულიყო.

სადგურის ზარმა ჩამორეკა.

დევისბეჭიანმა მატროსმა ჭიქა დადგა, დახლის იქით გადმომწვდა, იღლიებში შემიყარა დათვის ტორები და ცაში ამიტაცა. მერე მკერდზე მიმიხუტა და მატროსების შუაში ჩამაყენა.

ორთქლმავალი აკივლდა.

მოხუცს სათითაოდ ჩამოართვეს ხელი. იდგა ორად მოხრილი ბერიკაცი და ცერა თითით იმშრალებდა უპეებს.

ორთქლმავალმა ქშენას უმატა.

ჩემკენაც მოიხედეს მატროსებმა.

სათითაოდ გადამკოცნეს. კოლკას ჯერი რომ მოდგა, ჯერ გადამეხვია, მერე ლამაზი, ლენტებიანი ქუდი მოიხადა.

— აჰა, ეს შენ, ჩვენგან სახსოვრად… ატარე! — ხელში მომაჩეჩა ლამაზი ქუდი.

— პალუნდრა! — თეთრი კბილები გამოაჩინა ახმახმა.

ეშელონი დაიძრა.

ქალაქი გორი.

# რწმენის ძალა

**რედაქციაში წერილი მოვიდა. მისი ავტორი მოგვითხრობს გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის გენადი იოსავას შესახებ.**

**„სისხლის მძიმე დაავადება მქონდა, — ვკითხულობთ წერილში, — უიმედო მდგომარეობაში ვიყავი. ჩემი მკურნალის, გენადი იოსავას ფაქიზმა, ადამიანურმა დამოკიდებულებამ სიცოცხლის რწმენა რომ დამიბრუნა, მისმა მკურნალობამაც ნაყოფი გამოიღო...**

**კარგად მახსოვს ის მძიმე დღეები. პალატაში სამნი ვიწექით. ჩვენ მისი ნათელი, იმედიანი თვალების, მისი ყოვლისშემძლე ხელების გვჯეროდა. აღელვებით რომ ამოირბენდა კიბეს, და დღე იყო თუ ღამე, ჩვენთან გაჩნდებოდა, გასაჭირიც ადვილი გადასატანი გვეჩვენებოდა.**

**მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. მე კვლავ ჩემი ექიმის მეთვალყურეობით ვარსებობ ამქვეყნად და როცა საავადმყოფოში მისულს მისი ღიმილი შემეგებება, სულ მგონია, რომ ხანდაზმულობის მიუხედავად, კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიცოცხლებ...“**

**რედაქცია დაინტერესდა ახალგაზრდა მკურნალისა და მეცნიერის გენადი იოსავას საქმიანობით და ჩვენი კორესპონდენტი ამ დღეებში ეწვია ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ გივი კევლიშვილს. აი რა გვიამბო მან:**

ჩვენი ინსტიტუტი სათუთად ინახავს აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის მიერ საფუძველჩაყრილ ტრადიციებს, მათ შორის ახალგაზრდობის აღზრდის საქმისადმი სერიოზულ, პრინციპულ დამოკიდებულებას.

პერსპექტიული ახალგაზრდა ბევრი გვყავს. თითოეულ მათგანზე მეტად საინტერესო საუბარი შეიძლება. სწორედ ერთ-ერთი მათგანია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გენადი იოსავა, რომელიც უკვე სამი წელია, სათავეში უდგას ინსტიტუტის ახალგაზრდობის სამეცნიერო საბჭოს და აქტიურად მონაწილეობს დიდი სამეცნიერო საბჭოს მუშაობაშიც.



გ. იოსავა

გენადი იოსავამ პირველი ნაბიჯები როგორც მკურნალმა და როგორც მეცნიერმა ჩვენს ინსტიტუტში გადადგა. იგი ჯერ კიდევ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტი იყო, როცა ჰემატოლოგიის საკითხებით დაინტერესებულმა, გაბედულად დაიწყო მუშაობა ინსტიტუტის ექსპერიმენტულ განყოფილებაში და დაეუფლა თრომბოციტების კვლევის მეთოდებს. ჩვენსავე ინსტიტუტში გაიარა მან ასპირანტურის კურსი და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ახალგაზრდა მეცნიერის შრომები დაიბეჭდა ვაშინგტონსა და ტოკიოში (1973 და 1975 წლების ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მასალებში). ამჟამად იგი ემზადება საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობისათვის, რომელიც უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება.

ათი წლის დაძაბული შრომის შედეგია რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული მისი 35-ზე მეტი შრომა. პროფესორ ავთანდილ აბესაძესა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ოლეგ ვორობიოვთან ერთად იგი არის თანაავტორი მონოგრაფიისა — „თრომბოციტოპოზის რეგულაცია“.

გენადი იოსავას იოლი გზით სიარული არ უყვარს. იგი მუდამ დაჟინებით იკვლევს, მოთმინებით სწავლობს საკითხს და ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ აღწევს მნიშვნელოვან შედეგებს, რომელთაც უკვე რამდენიმე სიახლე შემოიტანეს ჰემატოლოგიურ მეცნიერებაში. ახალგაზრდა მკვლევარი კი არასოდეს კმაყოფილდება მიღწეულით, გამუდმებით ეძიებს აქტუალურ პრობლემებს. მაგალითად, როცა 1973 წელს ჰემატოლოგიაში რევოლუცია მოახდინა სისხლის ყველა უჯრედის დედაუჯრედის — ღეროვანი უჯრედის აღმოჩენამ, ყველაზე პრობლემური შეიქმნა საკითხი, თუ როგორ ვითარდება მისგან სრულიად განსხვავებული ფუნქციების მქონე უჯრედები — ერითროციტები, ლეიკოციტები და თრომბოციტები, რა ეტაპებს გაივლიან ისინი მომწიფების პერიოდში, რა აჩქარებს და რა ანელებს თითოეული მათგანის გამრავლებას. ყოველივე ამის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კლინიკაში, ციტოპენიური მდგომარეობის დროს, ე. ი. იმ დროს, როცა ორგანიზმში სისხლის ფორმიანი ელემენტების ნაკლებობაა. სწორედ ამ რთული პროცესების შესწავლას ითვალისწინებს გენადი იოსავას სადოქტორო დისერტაცია, რომელზედაც ახალგაზრდა მეცნიერი მუშაობს.

ჩვენს ინსტიტუტში სისხლის დაავადებით ავადმყოფი რომ შემოვა, იგი მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე უკავშირდება თავის მკურნალს. ასეთია ამ ავადმყოფობის სპეციფიკა. ამიტომაც განსაკუთრებით გულითადი უნდა იყოს ჩვენი მათდამი დამოკიდებულება. ეს კი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ექიმი მთელი არსებით ეკუთვნის თავის საქმეს. სწორედ ამგვარი მკურნალია გენადი იოსავა, მუდამ შემართული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. მახსოვს, საგანგებო შემთხვევის გამო სასწრაფოდ სჭირდებოდათ ჰემატოლოგი ონში. ღამის სამ საათზე შემატყობინეს ამის შესახებ. მე უმალ გენადის დავურეკე.

— ათ წუთში მზად ვიქნები! — ჩამესმა ყურმილში მისი ხმა, რომელსაც ოდნავ არ შეჰპარვია ბზარი, თუმცა ორივემ კარგად ვიცოდით, რომ საშიში მგზავრობა ელოდა მოყინულ, ბურუსიან გზაზე. უამინდობის დროს ხშირად ბეწვზე ჰკიდია მისი სიცოცხლე, ის კი ისე ხალისიანად დაბრუნდება, ისე ლაღად შეაბიჯებს პალატაში და ენერგიულად შეუდგება საქმეს, ვერავინ მიხვდება, რა ღამე გადაიტანა...

დიახ! გვყავს ასეთი ახალგაზრდები, ბევრი გვყავს. ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლები, როცა მათ შევცქერით, უფრო იმედიანად ვეჭიდებით დიდ საქმეებს.

---

**ვაჟა ოთარაშვილი**

## ლექსები

* * *

ერთმანეთს ბევრჯერ ვაწყენინეთ,
ერთმანეთს ბევრჯერ გავებუტეთ.
მოდი და ერთად მაზღვევინე
შენი ცრემლების ბატიბუტი.

მაინც ერთად უნდა გავიაროთ,
ყველა გზაშარა და ხეივანი,
რაც უნდა წყალმა ჩაიაროს,
შენ მაინც ჩემი ხარ ჯეირანი.

მერე რა, თუ ბევრჯერ გაწყენინე,
მერე რა, თუ ბევრჯერ გამებუტე,
აჰა, და პეშვით მოგიტანე
შენი ცრემლების ბატიბუტი.

### დედის მონატრება

იცი, დედავ, უსასრულოდ მენატრები,
მიკვირს, ქალაქს როგორ ვრჩები ამდენ ხანს,
შენი ხელით შეკერილი პერანგები,
წინა კვირას საბოლოოდ დამეხა.

იმ პერანგებს ის ბავშვური ოცნებებიც
გავაყოლე აწყვეტილი ღილივით.
მელანდება ღამე, ალბათ, ოცჯერ, დედი,
რომ მეძახი „შვილოს“ თბილი ღიმილით.

და მივყვები ფიქრებს სევდით შებოლილს,
დედავ, ჩემო იმედების გუშაგო.
კარში დილა დედასავით შემოდის,
ღმერთმა ნუმც მოუშალოს!

# ახლოვდებოდა ქარიშხალი...

თამაზ ნატროშვილი

ხანგრძლივი ყარიბობის შემდეგ, 1719 წლიდან, ისევ სამშობლოში იმყოფებოდნენ ქართლის მეფე ვახტანგ VI, მისი ერთგული თავადაზნაურნი და მათ შორის — მეფის მოლარეთუხუცესი სეხნია ჩხეიძე, ავტორი „მეფეთა ცხოვრებისა“. ირანიდან ქართლში დაბრუნდნენ, მაგრამ ირანის არსებობა არ დავიწყებიათ; ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს, რადგანაც ქართლის ბედ-იღბალი ხშირად წყდებოდა მტერ-მოყვარე მეზობლის ბუნაგში და მისი ავკარგი უსათუოდ უნდა სცოდნოდათ. ქართველი ისტორიკოსიც თავის თხზულებაში დროდადრო ისევ გამოურევს ხოლმე ირანის ამბებს, ოღონდ საკუთარი თვალით ნანახს სანდო პირთაგან გაგონილი ენაცვლება.

სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ამა ჟამსა იდგა ყეენი შაჰ-სულთანი უსეინ თეირანსა და შეაჩნდა ყეენის ღალატი ერთიმადოვლეს ფათალი-ხანს. ესე იყო გვარად ლეკი, შამხლისა სახლის კაცთაგან. მაგრამ ხელმწიფისაგან გაზრდილი დიდისა პატივითა, უნდოდა თვით გახელმწიფება. მაგრამ ბრძანებითა ღვთისათა მოევლინა რისხვა მისი და დაიჭირა და დასთხარა თვალები და იავარ-ჰყო ქონება მისი“.

ამ ცნობის შემდეგ გადმოცემულია ვახტანგის გალაშქრება ლეკებზე, შაჰის მოულოდნელი ბრძანება და ქართველთა ლაშქრობის მოშლა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ისტორიკოსს ამჯერად დაურღვევია მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. სინამდვილეში, ვახტანგის ლაშქრობა ჩაიშალა 1720 წლის შემოდგომაზე, ხოლო სეფიანთა ირანის ეთიმადოვლეს (ანუ პირველი ვეზირის) დასჯა იმავე წლის დეკემბერში მოხდა.

ფათალი-ხანის დამხობა ასახულია აგრეთვე დავით გურამიშვილის პოემაში. როგორც ცნობილია, დიდი ქართველი პოეტი მრავალ საგულისხმო მასალას გვაწვდის XVIII საუკუნის ოციანი წლების საქართველოს ისტორიისათვის და, ამ მხრივ, მისი „დავითიანი“ არაფრით ჩამოუვარდება საისტორიო წყაროებს.

დავით გურამიშვილის მიხედვით, სეფიანთა სამეფო კარზე თავმოყრილმა ვახტანგის მტრებმა მოახსენეს ირანის შაჰს ქართლის მეფის შესახებ: „პირი მისცა საღალატოდ ეთმანდოლეს — თქვენს ვაზირსა“. შემდეგ პოეტი გვაუწყებს ფათალი-ხანის გასამართლებას და თვალების დათხრას, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ არ დაისაჯა მოღალატე ვეზირის დამქაშად მიჩნეული ქართველი მეფე. გაუგებარი რჩება ისიც, სიმართლეს შეიცავდა სეფიანთა სამეფო კარზე გამოთქმული ბრალდება თუ მორიგი ცილისწამება იქნა შეთითხნილი ვახტანგის მტრების მიერ.

თუნდაც დავუშვათ, რომ დავით გურამიშვილი გადაჭრით ამტკიცებდეს ქართლის მეფის მონაწილეობას ეთიმადოვლეს შეთქმულებაში, მაინც საჭოჭმანო იქნებოდა მისი ცნობა, ვინაიდან არც ერთი სხვა წყარო არ მოიხსენიებს ვახტანგის სახელს ამ მოვლენასთან დაკავშირებით. და რაც მთავარია, ყველაზე სარწმუნო წყაროების (მუჰამედ მუჰსინი, კრუშინსკი, მამიკლერაკი) მიხედვით, არავითარ ღალატს არ ჰქონია ადგილი და სეფიანთა სახელმწიფოს ეთიმადოვლე ცილისწამების მსხვერპლი შეიქნა. ასეთი დასკვნა გამოაქვს გამოჩენილ ინგლისელ მკვლევარს ლ. ლოკარტს თავის მონოგრაფიაში „სეფიანთა დინასტიის დაცემა“.

ამგვარად, თვით ფათალი-ხანის წინააღმდეგ მოაწყვეს შეთქმულება მისმა მეტოქეებმა. დაუნდობლად გესლავდნენ ერთმანეთს სეფიანთა სამეფო კარის დიდკაცები და აინუნში არ აგდებდნენ იმას, რომ ახლოვდებოდა მძვინვარე ქარიშხალი და ნგრევას უქადდა სეფიანთა სახელმწიფოს.

...1715 წელს გარდაიცვალა ღილზაების ტომის ძლევამოსილი წინამძღოლი მირ-ვეისი, რომელმაც თავისუფლება მოუტანა თავის სამშობლოს და პირველი მტიკვნეული დარტყმა აგემა სეფიანთა დინასტიას. ყანდაარს დაეპატრონა მისი ძმა მირ-აბდულა; იგი მშვიდობისმოყვარე კაცი იყო, არც პატივმოყვარეობა აწუხებდა და არც ომის წყურვილი. სეფიანებთან ბრძოლას მორიგება არჩია. საკუთარი ნება-სურვილით დამორჩილება გვიჯობს, სანამ დაგვიპყრობენ და დაგვიმონებენო. სხვა თავკაცები ტომისა არ იზიარებდნენ მირ-აბდულას მისწრაფებას და სასწრაფოდ შეაგულიანეს მირ-ვეისის უფროსი ვაჟი, თვრამეტი წლის მაჰმუდი, რომ ბიძა მოეკლა, მის ადგილზე დამჯდარიყო და ხმლით დაეცვა მამის მიერ მოხვეჭილი თავისუფლება. ახალგაზრდა მაჰმუდი წუთითაც არ შეყოყმანებულა, წარბშეუხრელად განახორციელა ტომის თავკაცთა მოწოდება, ბიძა საიქიოს გაისტუმრა და ყანდაარის ბატონ-პატრონი გახდა.

სანამ მირ-აბდულა აწესრიგებდა ურთიერთობას სეფიანთა სამეფო კართან, ყიზილბაშებს გული საგულეს ჰქონდათ, დაკარგულ ყანდაარს უსისხლოდ დავიბრუნებთო. მაგრამ ამასობაში ყანდაარს ვილა ჩივის და, ჰერათიც გამოეცალათ ხელიდან. აჯანყდა ავღანთა სხვა ტომიც, სახელდობრ, აბდალთა ტომი და ყიზილბაშებმა ვერაფერი გააწყვეს ჰერათში, განმეორდა ყანდაარის მარცხიან ლაშქრობათა ისტორია (ამჯერად ქართველების მონაწილეობის გარეშე). აბდალებმა მოიხსნეს სეფიანთა უღელი, მაგრამ მადა გაეღვიძათ და, თავისდა სავალალოდ, ყანდაარსაც წაეპოტინენ. მირ-მაჰმუდმა სასტიკად დაამარცხა მეზობლები. ბრძოლაში დაიღუპა აბდალთა ტომის წინამძღოლის ვაჟი, სახელად ასადულა. მირ-მაჰმუდს, როგორც ჩანს, მამის ცბიერება გამოჰყოლოდა; მან ასადულას მოკვეთილი თავი ისპაანს წარგზავნა და შაჰს შეუთვალა, სეფიანთა სახელმწიფოს ღალატისათვის მოვკალი მეამბოხე, გემორჩილები და შენი მონა ვარო. მიამიტმა შაჰ-ჰუსეინმა ირწმუნა მირ-მაჰმუდის სიტყვები, დიდად განიხარა მისი შემორიგებით და საპატიო ხალათი უწყალობა ღილზაების ახალგაზრდა წინამძღოლს, უწოდა ჰუსეინ ყული-ხანი და ყანდაარის ბეგლარბეგად დანიშნა.

ყიზილბაშებმა კვლავ თავის საბატონოდ მიიჩნიეს ყანდაარი და ის კი არ იცოდნენ, რომ შაჰის მიერ შეწყალებული მირ-მაჰმუდი უკვე ირანის დაპყრობაზე ოცნებობდა. ასეთი იყო მირ-ვეისის ანდერძი და ტომის თავკაცებიც ამას მოუწოდებდნენ მის მემკვიდრეს.

1719 წლის ზაფხულის მიწურულს მაჰმუდი ყანდაარიდან დაიძრა. ყიზილბაშთათვის თვალის ასახვევად გამოაცხადა, აბდალთა წინააღმდეგ ვლაშქრობთო, მაგრამ როდესაც სისტანის პროვინციას მიაღწია, ჩრდილოეთით მდებარე ჰერათის მაგივრად სამხრეთ-დასავლეთისაკენ აიღო გეზი და დეშთე-ლუთის უდაბნოს მიადგა.

მაჰმუდს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დიდი ლაშქრობა ირანზე, ამჯერად რეპეტიციას ატარებდა და თავისი ჯარის გამოცდა სურდა. მან გადალახა უდაბნო, უომრად აიღო ქალაქი ქირმანი, სადაც მთელი ცხრა თვე გაატარა, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით გული იჯერა და ისევ ყანდაარს გაბრუნდა. მაჰმუდის მიერ ქირმანის აღებას არავითარი განგაში არ გამოუწვევია სეფიანთა სამეფო კარზე. ვეზირებს შორის კინკლაობა იყო გაჩაღებული, ერთიმეორის შური ამოძრავებდათ და სახელმწიფოს ბედ-იღბალზე ფიქრით არავინ იტკივებდა თავს. ხოლო შაჰ-ჰუსეინი მშვიდად შეჰყურებდა თავისი ვეზირების უთანხმოებას და აუღელვებლად იმეორებდა: „იახში დირ“, ე. ი კეთილი და პატიოსანიო. მისი დეიდა, ოთხმოცი წლის მარიამ-ბეგუმი დღენიადაგ ჩასჩიჩინებდა შაჰს, თვალი გაახილე და ქვეყნის ბედზე იზრუნეო, მაგრამ ხელმწიფე ყურსაც არ იბერტყავდა.

ისევ ფათალი-ხანმა სცადა, მოეგვარებინა ავღანთა საკითხი. 1720 წლის ზაფხულში მან წამოაყენა შემდეგი გეგმა: მთელი სამეფო კარი, შაჰის მეთაურობით და საომრად გამზადებული ლაშქრით, უნდა წასულიყო ხორასანს, სადაც მათ შეუერთდებოდა სამხრეთ ირანიდან გამოწვეული ლაშქარი, რომელსაც ეთიმადოვლეს ძმისწული ლუთფალი-ხანი სარდლობდა.

ამ გეგმამ ვეზირთა წინააღმდეგობა გამოიწვია. მუჰამედ ჰუსეინი (მოლა-ბაში) და რაჰიმ-ხანი (ჰაქიმ-ბაში), ეთიმადოვლეს მთავარი მტრები, ხმას ავრცელებდნენ: ფათალი-ხანი, წარმოშობით ლეკი, დაკავშირებულია თავისი ტომის მეამბოხეებთან და ჯარის გატყუებას აპირებს ყანდაარისკენ, რათა ირანის საზღვრისპირა მხარეებში ლეკები თავისუფლად აპარპაშოსო.

ვეზირები შიშობდნენ, რომ ფათალი-ხანი დაიყოლიებდა შაჰს ხორასანში წასვლაზე, ლუთფალი-ხანი დაამარცხებდა ავღანებს, პრესტიჟს მოიხვეჭდა სეფიანთა სამეფო კარზე და საძულველი ბიძა-ძმისწული უზომოდ გაძლიერდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეთიმადოვლე ითვლებოდა უმდიდრეს კაცად მთელ ირანში. გავრცელებული მითქმა-მოთქმის თანახმად, თავის მაღალ თანამდებობას იგი ბოროტად იყენებდა, ქრთამებს იღებდა და დაგროვილი ჰქონდა აურაცხელი ქონება, რომელიც შვიდჯერ აღემატებოდა თვით ხელმწიფის დოვლათს. შეთქმულებს ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდებაც სწყუროდათ.

ვახტანგის ლაშქრობის მოშლაც ამ ორი გავლენიანი ვეზირის დამსახურება გახლავთ. ისინი უკვე გეგმავდნენ ფათალი-ხანის დამხობას და იფიქრეს, ვაითუ ქართლის მეფე ეთიმადოვლეს გამოესარჩლოსო (ვახტანგის ძმას — როსტომ ყულარალასს ცოლად ჰყავდა ფათალი-ხანის ასული). ისინი შეევედრნენ შაჰს, სასწრაფოდ დაზავებოდა ლეკებს და ვახტანგის ლაშქრობა გაეუქმებინა. ვეზირთა ხრიკებმა გასჭრა. შაჰმა ქედმაღლური ბრძანება გაუგზავნა ქართლის მეფეს: „თუ უკვე შეგიდგამს ფეხი უზანგში, დაუყოვნებლივ ჩამოქვეითდი; თუ უკვე გაგიშიშვლებია ხმალი, ახლავე ჩააგე ქარქაშში; თუ უკვე დასდევნებიხარ ლეკებს, მყისვე შეჩერდი, როგორც კი მიიღებ ჩვენს ბრძანებას. ერთი სიტყვით, ეცადე, რომ არ დაარღვიო ზავი, რომელიც დაიდო მისი წყალობით, ვისაც ემორჩილება მთელი სამყარო“.

სწორედ ამ ბრძანებას მოჰყვა ვახტანგის ცნობილი ფიცი — სეფიანთა ირანის დასაცავად ხმალს



საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ღარასოდეს გავაშიშვლებო.

...1720 წლის 8 დეკემბერს, ღამით, მოლა-ბაში და ჰაქიმ-ბაში დაუპატიჟებლად შეცვივდნენ ხელმწიფის სანოლ ოთახში და ტკბილი ძილი დაუფრთხეს შაჰ-ჰუსეინს (გაუგონარი რამ იყო!); მოახსენეს, ეთიმადოვლეს განუზრახავს გვირგვინის ხელში ჩაგდება და თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია, მოღალატე დროზე უნდა მოვსპოთო. მათ აჩვენეს შაჰს წერილი, რომელსაც ეთიმადოვლეს ბეჭედი ესვა (ფათალი-ხანი სთხოვდა ქურთების ტომის წინამძღოლს, გამოეგზავნა თეირანისკენ სამი ათასი მხედარი — სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად). შეთქმულებმა დასძინეს, ლუთფალი-ხანი მხარს უჭერს თავის ბიძას და მთელი სამეფო გვარის ამოსაჟლეტად ისპაანისკენ მოემართებაო.

შაჰ-ჰუსეინმა იოლად ირწმუნა თავისი უერთგულესი ვეზირის ღალატი და სასწრაფოდ მოიწვია სახელმწიფო საბჭო. განაჩენი ერთსულოვანი იყო — მოღალატის სიკვდილით დასჯა!

მაგრამ ფათალი-ხანს თვალების დათხრა აკმარეს, რადგანაც შეთქმულებს სურდათ, როგორმე გაეგოთ, თუ სად ჰქონდა გადამალული თავისი აურაცხელი ქონება.

შაჰ-ჰუსეინის გადარჩენის აღსანიშნავად მთელი ქალაქი საზეიმოდ იყო გაჩირაღდნებული და დიდ-პატარა ლოცვებს აღავლენდა ხელმწიფის საკეთილდღეოდ.

შეთქმულთა შემდეგი საზრუნავი იყო ლუთფალი-ხანის მოსპობა. იგი სასწრაფოდ იხმეს თეირანში, ვითომდა გადაუდებელ საქმეზე მოსათათბირებლად. სარდალმა ჯერ არ იცოდა ბიძის უბედურება და არც დაეჭვებულა. გამოეშურა თეირანისკენ, მაგრამ ისპაანის მახლობლად შეიპყრეს და შებორკილი ჩაიყვანეს ირანის სატახტო ქალაქში. სარდალს ჩააცვეს დედაკაცის სამოსელი, უკუღმა შესვეს ძროხაზე და ხალხის გასართობად მოატარეს ისპაანის ქუჩები. მერე ისიც ჩააყუდეს საპყრობილეში, ოღონდ არ დაუბრმავებიათ. შაჰ-ჰუსეინი უკვე ხვდებოდა, რომ მისი საყვარელი ვეზირი უდანაშაულო იყო. მალე ხელმეორედ დაკითხეს ფათალი-ხანი. მან დამაჯერებლად გაიმართლა თავი და დაამტკიცა, რომ ქურთების ტომის წინამძღოლისადმი გაგზავნილი წერილი წარმოადგენდა პირწავარდნილ სიყალბეს. თავი გაიმართლა უბედურმა ვეზირმა, მაგრამ თვალის ჩინს ვიღა დაუბრუნებდა!

— ...უახლოეს მომავალში დიდი საფრთხე ელოდა სეფიანთა სახელმწიფოს. ოსმალეთისა ეშინოდათ და ავღანებს თავს არ უყადრებდნენ. ვერ წარმოედგინათ, რომ გუშინდელი ქვეშევრდომნი ესოდენ გათამამდებოდნენ. მაგრამ ყანდაარში უკვე ილესებოდა ხმალი სეფიანთა დინასტიის დასამხობად.

ჩვენი ხალხის მეგობრები

# სტეფანე კურტიკიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგი ჯერ კიდევ 1926 წელს 18 წლის ჭაბუკი კომუნისტურ გაზეთ „შრომას“ რედაქტორობდა საბერძნეთის ქალაქ სალონიკში.

მას შემდეგ ორმოცდაათზე მეტმა წელმა განვლო, დროის დაუდგრომელმა ბრუნვამ თმები შეუვერცხლა, მაგრამ დღესაც ისეთივე ახალგაზრდული ენერგიით შრომობს, მუდამ ეძიებს ახალს, პროგრესულს, ხალისითა და რუდუნებით მუშაობს როგორც მწერალი, როგორც რედაქტორი.

ცნობილი საბჭოთა სომეხი პროზაიკოსი, სომხეთის მწერალთა კავშირის ორგანოს ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურის“ („სოვეტაკან გრაკანუთუნის“) რედაქტორი სტეფანე კურტიკიანი 1908 წელს დაიბადა თურქეთის ქალაქ ბურსაში. ჯერ კიდევ ბავშვმა საკუთარი თვალით ნახა გენოციდის საშინელებანი, ცხოვრების ავ-კარგი გამოსცადა, ათასი სიმწარე გადაიტანა. ყოველივე ამან დიდი როლი ითამაშა მომავალი მწერლის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში. 1927 წელს საბერძნეთის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით საბჭოთა სომხეთში ჩამოდის. ამის შემდეგ ძირეული გარდატეხა ხდება მის ცხოვრებაში — ჯერ აბოვიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ, შემდეგ კი უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტია. ამავე დროს შედის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ს. კურტიკიანი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს.

სამამულო ომმა მოსწყვიტა საყვარელ საქმეს. პატრიოტმა მწერალმა და ჟურნალისტმა იქაც ისახელა თავი, ბრძოლით გაიარა დიდი სამამულო ომის მძიმე და განსაცდელით აღსავსე გზა. გამარჯვებული დაუბრუნდა თავის საყვარელ სომხეთს, სათავეში ჩაუდგა „სოვეტაკან გრაკანუთუნს“ და დღესაც იქ მოღვაწეობს.

...ზის თავის კაბინეტში და თანამშრომლებს დინჯად ესაუბრება, საქმიან შენიშვნებს, მითითებებს აძლევს მათ, ასწორებს, ხვეწავს, ათასჯერ აჯერებს და ადარებს მასალებს. ჭკვიანურ თვალებში სიკეთის სხივი გამოსჭვივის, თბილად იღებს ავტორს და დიდ ინტერესს იჩენს საქმისადმი, რამაც იგი მასთან მიიყვანა. ბჭობს და ბაასობს. მისი რჩევა უთუოდ ჭკუაში უჯდება ყველას! თვითონ სიკეთისა და პატიოსნების განსახიერებაა. ჭირს გაუმაგრდა, ტანჯვამ ვერ გატეხა, პირიქით, ცხოვრების ქარცეცხლში გამოიწრთო და გამოიბრძმედა.

რამდენი ფიქრი და შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ჟურნალში ნათლად გამოჩნდეს თანამედროვე სომხური ლიტერატურის სახე, აისახოს ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვანი ცხოვრება, მოძმე ხალხთა კულტურა, ლიტერატურა, გაკეთდეს რაღაც ახალი საქმე... აკი თვითონაც ამბობს: „კარგი საქმე თავისით არ კეთდება, მას ხანგრძლივი მზრუნველობა და ჯაფა სჭირდება“.

ს. კურტიკიანი მრავალი შესანიშნავი ნოველისა და მოთხრობის, ათობით წიგნის ავტორია. მრავალფეროვანია მისი შემოქმედების თემატიკა. იგი წერს სამშობლოსათვის თავდადებულ, დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირებზე, მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობაზე, ლტოლვილ სომეხთა ბედზე, მშობელი ქვეყნის ბუნებაზე... მისი მოთხრობები კომპოზიციურად შეკრულია, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის იდეებით, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული. მისი გმირები გვაოცებენ თავიანთი უბრალოებითა და მომხიბვლელობით. ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან და ცხოვრებას თავისებურად აღიქვამენ, მაგრამ ამ ძლიერ, ამაყ და მამაც ადამიანებს აერთიანებს ის, რომ მათ ყველას სამშობლოს სიყვარულით უძგერთ გული. ნოველაში „ქვეყნად სომეხი თუა?“ მწერალი მხატვრული განზოგადების ხერხს მიმართავს და გადმოგვცემს, თუ როგორ ამაყობენ უცხოეთის გზაჯვარედინებზე გაფანტული სომხები თავიანთი ენით.

ხალხური შემოქმედების სათავეებიდან ნასესხებ სიუჟეტს სხარტად და ლაკონურად გადმოგვცემენ აგრეთვე მისი შესანიშნავი ლეგენდები და თქმულებები („მარიამიკის წყარო“, „მშობლიური მიწა“ და სხვ.). პროზაიკოსი ლეგენდას უდიდესი შემეცნებითი და ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მქონე ისტორიულ ჟანრად მიიჩნევს.

ს. კურტიკიანს უყვარს იმ დღეების გახსენება, როდესაც თავის დიდ ქართველ მეგობრებთან ალიო მირცხულავასა და იოსებ ნონეშვილთან ერთად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინური დროშის“ რედაქციაში მუშაობდა.

70-იან წლებში მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა იყო ს. კურტიკიანსა და გამომცემლობა „ნაკადულს“ შორის. 1966 წელს გამომცემლობის შეკვეთით მან დაწერა მხატვრული ნარკვევი „არარატის მთის ძირას“ (თარგმნა არჩილ დავითიანმა), რომლითაც ქართველ ნორჩ თაობას გააცნო თავისი ქვეყნის წარსული და აწმყო. იგი წინასიტყვაობაში წერდა: ჩემო პატარა მკითხველებო, გამომცემლობა „ნაკადულმა“ მთხოვა, გაგაცნოთ თქვენი მშობლიური საქართველოს მეზობელი ქვეყანა — მთაგორიანი სომხეთი, მისი დიდი ისტორიული წარსული, ბედნიერი აწმყო...“ 1968 წელს ამავე გამომცემლობამ გამოსცა ს. კურტიკიანის ლეგენდების წიგნი — „სომხური ზარი“. ამ ლეგენდებს საფუძვლად უდევს სომხური ხალხური გადმოცემები, მათში ასახულია მშობლიური ხალხის საუკუნოებრივი ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ, თავდადება, სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული. სომეხი და ქართველი ხალხის მეგობრობას ასახავს ლეგენდა „თორგომის შვილები“. ნატანებისა და ნალბანდიანების სოფლებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებას კი მან მრავალი ნარკვევი უძღვნა.

ცხოვრობს ერევანში ცნობილი მწერალი სტეფანე კურტიკიანი. იგი ქმნის გმირობის, სიყვარულის, სილამაზის თავისებურ, განუმეორებელ სამყაროს, რომელსაც სიკეთე და სიხარული მოაქვს ადამიანებისათვის.

**ანაიდა კოსტანჯიანი**

## ანდრანიკ სალათელიანი

# სომხური იგავ-არაკები

### სხვა ეზოში

— კატავ, სხვაგან რატომ კნავი,
აქ არა გყავს ნაცნობი?!.
— სხვაგან გადაუტანიათ
ახლა ყველის საწყობი!

### მელია და კურდღელი

ერთი დაჭრილი კურდღელი
სურდა მელიას „დაეცვა“,
ალერსიანად მიმართა,
თითქოსდა გული დაეწვა:
— წავიდეთ, ჩემთან წავიდეთ
და კმაყოფილი დარჩები,
თორემ მოგწვდება უეცრად
მგლის საზიზღარი კლანჭები.
— ეგ შენი ფლიდი სიტყვები
არ ახალია, ძველია,
ჩემთვის სულ ერთი არ არის,
მგელი შემჭამს თუ მელია?!

### ბუმბული და კლდე

კლდეს გაეჯიბრა ბუმბული:
— არა გჯობივარ განაო?
შენ ერთ ადგილზე დაბმულხარ,
მე აქეთ-იქით ვქანაობ.
კლდემ უთხრა:—მაგ შენს ღირსებას
ნურც ასე ძლიერ გაბერავ,
მაშინაც ილაპარაკე,
როდესაც ქარი დაბერავს.
ამჩატებული ბუმბული
ქარმა წყალს მისცა ხარხარით,
კლდე კი კვლავ იდგა ურყევად,
შეუდრეკელი და მყარი.

### მოზვერი და სახედარი

მოზვერმა უთხრა სახედარს:
— ფონს მაგ ყროყინით გახველი,
გომურის გამგედ დაგნიშნეს
და დაიმკვიდრე სახელი.
ახლა კი ზიხარ მოწყენით,
მოგხსნეს და უმალ დადუმდი...
— ახლა სხვა დროა, ძმობილო,
ვით ძველი ლილა, გავხუნდი.

### კატის ძეგლი

ფისო საწყობში დანიშნეს
გადაიგრიხა ულვაში,
დრო გადიოდა ჭამაში,
საკუთარ თავზე ზრუნვაში.
მჭლე იყო, ისე გასუქდა,
ტანს ქონი გადაეგლისა,
და ბოლოს, ცოცხალს მოუნდა
დადგმა თავისი ძეგლისა.
მან მოქანდაკე მოიხმო
და ჩაუყაჭა ფულები:
— ისეთი ძეგლი ამიგე,
ლომს ვგავდე შეხედულებით.
ჰქონდა სიმდიდრე, სახელი,
ჭამაც იცოდა ბლომადა
და სიცოცხლეში კატუნა
გადააქციეს ლომადა.

თარგმანი სტეფანე მხარგრძელისა

# 272 წლის წიგნი

ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე დიდი რუდუნებით ელოლიავებოდა ფეოდალური ხანის კულტურის მნიშვნელოვან ძეგლს „წმინდა წიგნს“: კითხულობდა, სწავლობდა, შეგონებებს იზეპირებდა, ცდილობდა, გადაეწერა, მდიდრულად შეემკო, ხის, ტყავისა თუ იშვიათ ლითონთა ჭედურ ყდაში ჩაესვა იგი. ამ მიზანს უმთავრესად წარჩინებულნი და კულტურის ცენტრებში მოღვაწენი აღწევდნენ; მოსახლეობის დაბალი ფენა „წმინდა წიგნს“ ზეპირსიტყვიერების მეშვეობით ეცნობოდა.

მტერსა და გადამთიელს ძალზე აღიზიანებდა ხალხის შეუნელებელი ინტერესი ამ ძეგლისადმი; ამიტომაც ლამობდნენ მის განადგურებას, იტაცებდნენ, ძარცვავდნენ, ითვისებდნენ...

სად არ გაუტანიათ ქართული კულტურის ეს მშვენება! მის დასახსნელად რამდენი ტანჯვა-წამება გადახდენიათ ქართველ მოღვაწეებს!

„წმინდა წიგნი“ განსაკუთრებულ ზეგავლენას უცხოეთში მყოფ ქართველებზე ახდენდა. სამშობლოდან მოშორებულ თანამემამულეებს იგი უბით დაჰქონდათ.

1724 წელს რუსეთში გადასულმა ქართველებმა პირად ნივთებთან ერთად სულიერი საზრდოც გაიყოლიეს. იშვიათი ქვებით და ქართული წარწერებით შემკული ნივთები, იარაღი, ხატები, პორტრეტები, ძვირფასად მორთული წიგნები, წერილები ამჟამად გაბნეულია რუსეთის ცენტრსა თუ პერიფერიათა სიძველეთსაცავებში.

„წმინდა წიგნის“ ორი ცალი დაცულია მოსკოვში. ერთი მათგანი ლევან და ვახტანგ მეფისეული, მინიატურებით შემკული ხელნაწერი უბის „სახარებაა“. საყურადღებოა წიგნის ყდის მორთულობა; ყდის შიგნითა გვერდზე სინგურით შესრულებულია მფლობელის ხვეული ავტოგრაფი. მას მოსდევს დიდი გემოვნებით შესრულებული მოციქულთა პორტრეტები. საგულისხმოა ხელნაწერი ტექსტის იშვიათი სიმჭიდროვე და სილამაზე, რაც ისევ და ისევ ამ ძეგლისადმი ზრუნვასა და სიყვარულზე მეტყველებს. ეს ხელნაწერი მეცნიერთათვის მხოლოდ ტექსტოლოგიურად როდია საინტერესო.

მეორე წიგნი დაბეჭდილია თბილისში 1709 წელს. ეს ძეგლი საგულდაგულოდ ჩაუსვამთ იშვიათი ლითონის მაღალმხატვრულ ქართულ და სლავურწარწერებიან ყდაში, შესაკრავებით.

თხზულების პირველი გამოცემის ყდა ხეზე გადაკრული ოქროცვარული ვერცხლია. ყდის ზედა ფრთის ცენტრში გამოსახულია სულიწმინდის მოფენა, ხოლო ოთხივე კუთხეში — მოციქულები. ფონზე ჯვრისებურად განლაგებულ ოვალში ასახულია წამების სცენები, ჭედური ძველქართული და სლავური წარწერებით, ხოლო ცენტრსა და კუთხეებში სლავური წარწერებია.

ყდის ქვედა ფრთაზე ჭედური ოვალებია. ცენტრში გამოსახულია ჯვარცმა, ხოლო ირგვლივ — ათორმეტი დღესასწაული, რომელთა ძველქართული წარწერა აქვს, შუა ადგილას სლავური წარწერაა. ყდის შიგნით გადაკრულია ჩინური ოქროქსოვილი.

ძეგლი ოთხ მცირე ზომის ბურთულისებრ დასადგმელზეა. ყუა დაყოფილია შვიდ სეგმენტად, რომლებიც მოხატულია ყვავილებით.

წიგნს აქვს ორი ჩამოსხმული შესაკრავი მოციქულების გამოსახულებით, ქართული წარწერებით.

ყურადღებას იქცევს ყდის ზედა შიდა ფრთის კიდის გასწვრივ ამოჭრილი მხედრული წარწერა — „ეს წიგნი მე, პეტრე ახალციხელმან, შევწირე პრესნას წმინდა გიორგის საყდარს...“



პეტრე ახალციხელი, რომელიც კათოლიკე უნდა ყოფილიყო, არაერთხელ მოიხსენიება იმდროინდელი ხელნაწერი წიგნების მინაწერებსა თუ დოკუმენტებში.

როგორც ირკვევა, ეს წიგნი ძვირფასეულობასთან ერთად ადრე მოსკოვში, ქართული კულტურის ცენტრებში ინახებოდა, რომელიც მაშინ უნახავს აკადემიკოს პაატა გუგუშვილსაც. სასახლიდან წიგნი გადაუტანიათ საისტორიო მუზეუმში, ჩვენ მას ამ რამდენიმე წლის წინათ მივაკვლიეთ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სამოცი წლისთავის საზეიმო დღეებში მოსკოვში გაიხსნა ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მუდმივი ექსპოზიცია.

რუსეთში არსებულ სხვა ქართულ სიძველეებთან ერთად აქ გამოფენილია ეს უნიკალური პირველნაბეჭდი ქართული ძეგლი — „წმინდა წიგნი“, რომელსაც გამოცემიდან 272 წელი შეუსრულდა.

**ფრიდონ სიხარულიძე,**
ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.



ნაზი კილასონია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია — „ხუთწლედის მატიანე“ (1981) მიენიჭა ცნობილ ლირიკოსს **ნაზი კილასონიას**, რომელმაც უკანასკნელ წლებში შექმნა დიდი მოქალაქეობრივი ჟღერადობის პოეტური ნაწარმოებები.

ნაზი კილასონია რესპუბლიკის ამ ახალი, მეტად საპატიო პრემიის ღირსეული ლაურეატია. „დროშის“ სარედაქციო კოლეგია ჟურნალის მკითხველებთან ერთად მხურვალედ ულოცავს პოეტს მისი დაძაბული შემოქმედებითი შრომის სახალხო აღიარებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მას.

### ჩვენი იუბილარი

ჩემი იუბილარი,
კოხტა,
პირმოცინარი,
ვინ არი?
ჩემი იუბილარი,
სულ ჩვენს გზებზე
მჳირალი, —
ვინ არი?
ჩემი იუბილარი
წყაროსავით
მდინარი,—
ვინ არი?
მუდამ ცეცხლის
მკვესავი,
თვალშუქურა მზესავით, —
ვინ არი?
მზიურივით წკრიალა,
ნაირფერად
მბზინავი, —
ვინ არი?
ჩემი პირველ ლექსებით
მის ზეიმს რომ
ვესწრები, —
ვინ არი?
ჩემი გულის გასაღებს
კვლავ ვაბარებ
სასახლეს, —
პიონერთა სასახლეს!
იგი —
ფრთას გამისწორებს,
და დაიკოს
მიწოდებს! მიწოდებს!
მეტყვის ბევრის შესახებ,
გამიკეთებს ყელსახვევს!
ყელსახვევს!
მერე ორნივ
მცინარი,
მომავლის გზის
მზირალი, —
ვიტყვით, გულს რაც დავსახეთ;
ვაშა, როგორც ბავშვობას,
გულში ცეცხლს რომ
გაგვეუონავს, —
გაუმარჯოს სასახლეს,
პიონერთა სასახლეს!

ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ მოხდა — მრავალშვილიანი დედა ბედუხ ქალდანი ლამის ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა.

სვანური უხვთოვლიანი ზამთარი იდგა. ქვეყნიერებას მოწყვეტილიყო სოფელი ჭუბერი, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანი უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ოჯახსა და მთელ საგვარეულოში ურვა სუფევდა — არავის შეეძლო მისი შველა და გადარჩენა. ერთადერთი, რაც ახლობლებმა მოახერხეს ის იყო, რომ მომხდარი უბედურება რაისაავადმყოფოს შეატყობინეს. იმედი კი არ ჰქონდათ. სამოცდაათი კილომეტრით დაშორებული რაიონის ცენტრიდან ვინ გამოეკიდებოდა სიცივისაგან გათანგულ ხეობებში ზვავებით ჩაჩუმქრულ საბედისწერო ბილიკებს...

მაგრამ სასწაული მოხდა!

— იმ ზამთარს უხვად ჩამობარდნა, — იგონებს მესტიის რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი ადილარ ჩართოლანი, — იანვარი არც გასულიყო და უკვე მესამედ გადმოვთოვლეთ სახურავები. ახლაც მიკვირს, როგორ გავუსხლტი თოვლიან კლდეკარებს, სადაც ყოველ ნაბიჯზე ხიფათი იყო ჩასაფრებული...

ოპერაცია გარდაუვალი იყო. იქვე უნდა გაკეთებულიყო, ბედუხ ქალდანის ოჯახში — საველე პირობებში. უბნის ექიმის ავთანდილ სუბელიანის დახმარებით, მთელი ჯალაბის თვალწინ, მისთვის ჩვეული დაკვირვებულობითა და ოსტატობით შეუდგა ადილარი საქმეს: ექვს ადგილას დაეზიანებინა ტყვიას ნაწლავები. ექიმმა საგულდაგულოდ გაკერა და ამოასუფთავა ეს ადგილები, ტყვიის ძებნა კი მეტად სარისკოდ ეჩვენებოდა — ავადმყოფი ვერ გადაიტანდა...

ხუთი საათის განმავლობაში, სანამ ოპერაცია მიმდინარეობდა, თითქოს საგანგებოდო, მთებმა ჯანღი გადაიყარა. მალე კი მზემაც გამოანათა, საფრენი ამინდი გამოვიდა. მთავარი ექიმი სოფლის კავშირგაბმულობის კვანძიდან მესტიის აეროპორტს დაუკავშირდა, ქუთაისიდან შვეულმფრენი გამოიძახა. არ გასულა რამდენიმე საათი და სოფლის თავზე კამარა შეკრა ზღაპრულმა ფრთოსანმა. მალე კი ავადმყოფთან ერთად კურსი რაიცენტრისაკენ აიღო...

ქალმა პირი იბრუნა...

ვიდრე საბოლოოდ გამოჯანმრთელდებოდა, ხელსაქმის ჩინებულმა ოსტატმა ლამაზნაყშიანი წინდები მოქსოვა და დიდი პატივისცემისა და მოკრძალების ნიშნად თავის გადამრჩენელ ექიმს ადილარ ჩართოლანს უსახსოვრა.

რა იცოდა ბედუხმა, რომ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულიყო.

ქირურგს არ ასვენებდა იმ ტყვიაზე ფიქრი, ავადმყოფის სხეულში რომ ბუდობდა.

მეორე ოპერაციაც წარმატებით დამთავრდა.



ადილარ ჩართოლანი (მარცხნივ) გამოჩენილ მთამსვლელ ბექნუ ხერგიანთან ერთად.

# ყოველი სასწაული

ეს გახლავთ ერთი ჩვეულებრივი შემთხვევა ადილარ ჩართოლანის მრავალფეროვანი ცხოვრებიდან. საუკუნის მეოთხედია დადის იგი ამ ძნელ გზაზე...

— ბუნების სიმკაცრე, უგზოობა და ძნელმიუვალობა ყოველთვის ართულებდა ჩვენს საქმიანობას. ექიმის გამოჩენა სასწაულმოქმედი ქინაქინის ასოციაციას იწვევდა მთის სოფლებში. მით უფრო ზამთრობით, როცა მგზავრობა განსაკუთრებით ჭირდა. ჩვენც უნდა გაგვემართლებინა თორემ... ხალხს თავისი განაჩენი აქვს — უტყუარი და ეჭვშეუვალია იგი — ერთხელაც ზერელობა თუ შეგამჩნია, ზურგს შემოგაქცევს, გულს არ გიჩვენებს, თავისად არ მიგიღებს, ხოლო ასეთ ძალლუმადურ ყოფას რაღა ფასი აქვს... ამაზე დიდი სასჯელი რა უნდა იყოს ადამიანისათვის, — ასეთია ადილარის მრწამსი. ამიტომაც არის, რომ ყმაწვილკაცობიდან, პირველი დამოუკიდებელი ოპერაციიდან მოყოლებული, ერთხელაც არ გადაუხვევია გზიდან. მისი გამოცდილებისა და განათლების პატრონს სამეცნიერო მუშაობისკენაც არ გაუწია გულმა, არ „უღალატა" მთავარ მოვალეობას.

— ორმოცდაათი წლის თვალსაწიერიდან როგორ გესახებათ თქვენი გამოვლილი ცხოვრების გზა, რაიმე დარდი და ნაღველი ხომ არ გამოგყოლიათ?

ამ შეკითხვაზე ადილარს მკრთალმა ღიმილმა გაუნათა სახე, წუთიერი დუმილის მერე ბედნიერი ადამიანის კილოთი მოგვიგო:

— ყველა ცოცხალი ორგანიზმივით მთასაც ერთი მეტად საცნაური თვისება ახასიათებს — უცხო, უმაქნის სხეულს განირიდებს და დაიშორებს ხოლმე... აქ მოღვაწე სპეციალისტი ყოველ წუთს უნდა გრძნობდეს, რომ ვიღაცას სჭირდება. ეს მუდმივი კავშირურთიერთობა გარესამყაროსთან წამითაც თუ განელდა და დაირღვა, ჩვენი არსობის აზრი შინაგან ცხოველმყოფელობას კარგავს, უამისოდ კი რამ უნდა ასაზრდოოს ადამიანის სულიერი სამყარო. მაშინ ჩვენ უმალვე დავემსგავსებით მშრალ ხევს, სადაც ოდესღაც ძალუმად მოდგაფუნობდა სიცოცხლის მდინარე და დღეს კი რაღაც საბედისწერო მიზეზთა გამო იგი დამშრალა და გატიალებულა...

სავალალოა მშრალხევის ბედი. მეუდაბნოესავით მწყურვალი და გულდათუთქული ენუკვის და შეჰღაღადებს ზენაარს მაცოცხლებელი წვიმის მოვლინებას...

ის უმთავრესი რამ აკლია მის სულს, ურომლისოდაც უაზროა მისი არსებობა.

და ეს საპყარი ბედი მშრალხევისა რომ არ გაიზიაროს, სადაც, რომელ უბანზეც არ უნდა შრომობდეს ადამიანი თუ თავაწყვეტილ ენგურად ვერა, ხმაურიან, წყლიან-თევზიან ხეობად მაინც უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას...

პირად ბედნიერებას ყოველთვის საზოგადოებრივი, საერთო-სახალხო აზრი ედო საფუძვლად. ამ ურთულესი და დიადი კანონზომიერების მიმართ პირადად მე მადლიერების მეტი არაფერი მეთქმის...

აქ, ცასთან ახლოს მდებარე ქვეყანაში, ცხოვრობს და მოღვაწეობს მესტიის რაიონის მთავარი ექიმი, ქირურგი ადილარ ჩართოლანი. პისი სასწაულმოქმედების იმედი არასოდეს მოშლოდეს შინაურსა და გარეშეს...

**უჩა ხარძიანი,**
**მირონ ხერგიანი,**
მესტია.

## ლია ჯაყელი

### ჩემი თამარი

ჩემო სიცოცხლევ, ჩემო იმედო,
ყველა სიმღერას შენთვის ვიმეტებ
რადგან შენია, დღეის დღის იქით
რაც დღეები და წამები მოვლენ...
შენ უნდა იყო პატრონი ყოვლის,
შენ უნდა გქონდეს [illegible]
ამ მიწისა და ქართული ენის,
მე უნდა მქონდეს იმედი შენი.
შენ უნდა დარგო ქვეყნად იმდენი
სიკეთის ხე და უნდა ახარო,
რამდენიც არის ახლა თამარი,
რამხელაც არის დედასამყარო!
დღეს კი მეყოფა ჩემთვის მთავარი
შენი ნათქვამი პატარა ლექსი,
პატარა მზე და პატარა წყარო
გრძელი შარა და პატარა ხემსი.

## ბესიკ ჩქარეული

### გილოცავთ!

გილოცავს სადარიალო,
შენი გამზრდელი ნინოცა,
მარადისობის ზიარო,
მარადისობას გილოცავთ!

პაპა ჟულიას ხმაც მესმის,
შვიდ წლის სარქლობას გილოცავს.
მშობელო ხალხო, ყაზბეგის
დღის დაწესებას გილოცავთ.

გილოცავს აბორგებული
მუსაფირი და შინოცა,
ბახტრიონს ჩაღამებულნი
ლელაც, კვირიაც გილოცავს.

ჩარგლიდან ვაჟა ბუბუნებს,
სოსოს გამზრდელი ლილოცა,
გილოცავს დღის დაწესებას,
მარადისობას გილოცავს.

შენ გიმღერ, როცა დილით მზე
მყინვართან ამობრწყინდება,
როცა მოხევის შავთვალა
შავლეგოს დაეწინდება.

როცა ჯიხურში ხარ-ლალი,
გულის ტოლს გაეკიდება —
შენზე ლექსი და სიმღერა
არასდროს არ მომწყინდება.

შენ გიმღერ, როცა ორწოხში
არწივი შეიფრთხიალებს,
როცა ჯურღაის ფარ-ხმალი
ბეთლემში შეიჟღრიალებს!

მადლობა ხალხს და პარტიას
გულში სხივად რომ ანთია,
ქვეყნად მშვიდობას ამკვიდრებს,
დიად მომავლის განთიადს.

მადლობა სიტყვის ოსტატებს
გულზე დარდებს რომ მოხევენ,
მადლობას გითვლით, სტუმრებო,
ერთი პატარა მოხევე.

მადლობა სტუმარს, მასპინძელს,
დიდს და პატარა — ყველასა,
თქვენს სადღეგრძელოდ მეც
შევსვამ
ჯიხვით ლუდს ცივციველასა.

## მხოლოდ გამარჯვება!



ათეულ წელზე მეტ ხანს იბრძოდა „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისათვის. იცვლებოდნენ თაობები, მწვრთნელები, მიზანი კი კვლავ ერთი რჩებოდა. ოცნება სინამდვილედ აქციეს ამ დაუვიწყარი მატჩის გმირებმა: ავთანდილ ქანთარიამ, ვლადიმერ შელიამ, გაბრიელ ქორიძემ, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებმა, ბადრი ფარულავამ, დურმიშხან ქვირიამ, გიორგი გაბიჩვაძემ, რევაზ ბურკაძემ, დეზი დარჯანიამ, გიორგი გვაძაბიამ, ალეკო კვერნაძემ...

უფროს მწვრთნელ მურადი წივწივაძესთან ერთად გუნდმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომელთა დახმარებასა და მზრუნველობას დღენიადაგ ვგრძნობდით.

ჩემი სპორტული კარიერა კეთილად დამთავრდა. ახლა მშობლიურ ქალაქს უნდა ვემსახურო, როგორც ინჟინერი. კაპიტნის ლენტს გადავცემ უმაღლესი ლიგის „ტორპედოს“ ღირსეულთა შორის ღირსეულს და ვუსურვებ ახალ გამარჯვებებს 1982 წლის სეზონში. ძმურად ვეხვევი ქართული ფეხბურთის მებაირახტრის — თბილისის „დინამოს“ ყველა წევრს. ბედნიერი, უხვმოსავლიანი ყოფილიყოს ყველა ქართველი ფეხბურთელისათვის ეს ახალი წელი, კიდევ უფრო მაღლა გეტარებინოთ საბჭოური ფეხბურთის დროშა.

**შოთა ოქროპირაშვილი,**
საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი.

# ახალი წიგნები

## „ალიონიდან შებინდებამდე“




ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი სათაური შეურქმევია თავის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულისათვის ჩვენს ცნობილ პოეტს ბონდო კეშელავას.

ჩვეულებრივად ერთი, და ისიც არასრული დღე იგულისხმება ამ ორ სიტყვაში. პოეტისათვის კი დროის ერთეულის ეს საზომი მოიცავს მისი შემოქმედებითი ცხოვრების ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს — ორმოცდაცამეტ წელიწადს.

1927 წლით თარიღდება წიგნში შესული ერთ-ერთი ნაწარმოები „ასოთამწყობებს“ (თუმცა ბონდო კეშელავას პირველი ლექსი 1923 წელს გამოქვეყნდა). ეს ლექსი ეძღვნება ადამიანებს, რომლებიც იმ ალიონიდან დღემდე პოეტის ნაწარმოებთა პირველი მკითხველები, ხალხისთვის მათი მიმწოდებლები არიან.

„არ მომაქვს შენთვის ჩურჩხელები, ხილი, მაჭარი და სათითაოდ დარჩეული ყურძნის მტევნები“,— მძაფრი ტკივილით ამბობს პოეტი გარდაცვლილი ძმის ხსოვნისათვის თქმულ ლექსში, რომელსაც ქვეშ 1979 წელი აქვს მიწერილი.

იმ ალიონიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გასულა. ერთი კაცის ცხოვრებაში ცოტა როდია ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი დღე. და არც იოლია ამ გრძელი დღის გამოვლა, მის დასაწყისშივე არჩეული გზის, მიზნის, თემისა და განწყობილების ერთგულება.

ბონდო კეშელავამ შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე გამოკვეთა თავისი პოეტური მრწამსი, განწყობილების გამოხატვის თავისებური ხერხები, მკითხველთან მისი მიტანის ფორმები, თავისი შემოქმედების თემატიკა. და ყოველივე ეს დღემდე უცვლელი დარჩა მის პოეზიაში, ოღონდაც დროის მსვლელობასთან ერთად იზრდებოდა პოეტის ოსტატობა, იხვეწებოდა მისი ფრაზა, მხატვრული აზროვნება. მის სტრიქონებს ელვარებას მატებდა ცხოვრებისეული გამოცდილება.

დიდი რუდუნებით მოვლილ და ფერადოვან პოეტურ კარმიდამოში ბონდო კეშელავამ დაასახლა კეთილი და უბრალო ადამიანები, ქართული მიწის სილამაზე და ბუნების პეიზაჟები, მათი სიხარული და ტკივილი. ამ კარმიდამოდან მოგვასმენინა სიკეთით გამთბარი გულის ხმაც და ომის საშინელებით აგანგაშებული სულის ძახილიც, ძლიერი სიყვარულის სუნთქვაც და ავკაცობის დამგმობელი სიტყვაც. პოეტი ცხოვრებას, მის ქუშსა და ჩრდილს გულის თვალით ხედავს და გვაჩვენებს. ბონდო კეშელავა ყოველთვის ერთგული რჩება თავისივე სიტყვისა: „მე მწამდა ლექსი, და მეწამება, ლექსი განცდილი, აზრით ნათელი“,— წერს პოეტი და მართლაც აზრის სინათლე და ჟრუანტელი იგრძნობა ბონდო კეშელავას მთელ პოეზიაში. და ყოველივე ეს თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნას, მის გაკეთილშობილებას, მისი სიკეთის გამოშუქებას ემსახურება.

პოეტი შესანიშნავად იცნობს ჩვენს სოფელს, მის დალხინებასაც და წუხილსაც, იცის ენა ვაზისა და ყანისა, ყვავილისა და ხეხილისა. „მზეს ელოდება ერთი ციცქნა მტევნის ნასახი, მას აი ახლა, აი ახლა უნდა გათბობა, ის თავს გვაბრალებს, იგი შველას ითხოვს ცახცახით, მას ახლა უნდა უალერსოს დიდმა მნათობმა. ეს მერამდენე ღამე არის, რაც ამ ფიქრებით ვარ დატვირთული და რომ ტკბილად არ მეძინება“.

პოეტი დიდი შთაგონებით უმღერის გუთნისდედას, რომელსაც „ყელთან პერანგის ღილი ამშვენებს ოფლით შეყვითლებული“, კოლმეურნეს, რომელსაც ურწყავში მდინარის ტოტი გადაჰყავა. მკითხველის ყურადღებას მიიქცევს ვრცელი, სიუჟეტიანი ლექსები „ილიჩის შეხვედრა მოხუც კაზაკთან“, „კეთილი ადამიანი“, „თადაგეთია“, „სიხარულის დღეები, ერთი მოხუცი“, რომლებშიც ჩინებულად არის გამოკვეთილი მშრომელ და მებრძოლ ადამიანთა მართალი სახეები და ხასიათები.

წიგნში შესულია სამამულო ომის წლებში დიდი ინტიმით დაწერილი ლექსების ციკლი. გავიხსენოთ ერთი მათგანი. ქალიშვილმა მიიღო ფრონტზე მყოფი მამის წერილი. „ბარათს თან ახლდა ფერწასული მინდვრის ყვავილი, დაბადების დღეს ულოცავდა მებრძოლი მამა“ სულიერად ამაღლებულ განწყობილებას ქმნის ეს ყვავილი. ცხელი ლითონისა და ცეცხლის ნიაღვარში მყოფი კაცი ბოლომდე მგრძნობიარე და ფაქიზ ადამიანად რჩება. სიცოცხლისა და სილამაზის უკვდავების ნიშნად ყვავილს პოულობს პირმშოსათვის დაბადების დღის მისალოცად.

კრებულში ბევრ მიძღვნით ლექსსაც ვხვდებით. პოეტი აქაც პოულობს იმ საღებავსა თუ შტრიხს, რომლითაც უნდა გამოიკვეთოს ამა თუ იმ ადრესატის სახე. ამ რკალიდან ერთ-ერთ საყურადღებო ლექსად მიგვაჩნია აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი „მოგონება“.

პოეტს განსაკუთრებით ნაყოფიერად უმუშავნია ბოლო წლებში. ჩვენ ამ საუცხოო ლექსებიდან შევჩერდებით მხოლოდ ერთზე — „თუ გწამს, თუ გიყვარს“. ეს ლექსი 1970 წლით არის დათარიღებული და ერთხელ კიდევ გვაგრძნობინებს, თუ რა აქტიურად უდგას პოეტი მხარში ჩვენს ცხოვრებას, როგორ ფხიზლად უგდებს ყურს ცხოვრების მაჯისცემას. წუთისოფელი მშვენიერია, ბევრი სიკეთისა და სილამაზის შემომქმედი. გამრჯე კაცს გასაჭირთან ბრძოლაში შვებაც უგრძვნია, მაგრამ გზადაგზა უგულო კაცთა წყებაც ხვდება. „დაიზლაზნება, დიდს, პატარას ქირქილით ხვდება, სურს, ყველაფერი გაამასხროს, თუ უხერხდება. არის, არ არის საღიმილო, გთავაზობს ღიმილს, თავს ამა სოფლის სატკივარზე წუთით არ იღლის... ერისკაცებო!.. მსგავსისმსგავსი სწრაფად მრავლდება. რომ არ წაბაძონ ამ საზიზღრებს ახალგაზრდებმა, დასცხეთ, დაარტყით, შეარცხვინეთ, არ შეარჩინოთ! ცოდვა არ არის, ის მშრომელის ოფლმა არჩინოს? ეცადეთ, ჩვენი ნუგეში და დამატკბობელი, არ წაგვიბილწონ მშვენიერი წუთისოფელი!“

ამ მშვენიერი წუთისოფლის სიწმინდისათვის ჟღერს სიტყვა ჩვენი საყვარელი უფროსი მეგობრისა, „რომელსაც არ სწამს, არ უყვარს ძე კაცისა დამშვიდებული, ვინც წუთისოფელს თავს აფარებს, წვას ეკრძალება“.

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

# ორი წელი ალჟირში



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი ნ. ცაგარელი ალჟირელ სტუდენტებთან ერთად.

როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ალჟირში მომიხდებოდა მუშაობა და სტუდენტებისათვის ჩემი სპეციალობის ფრანგულ ენაზე სწავლება.

ბუმერდესი, სადაც მსუბუქი მრეწველობის ეროვნული ინსტიტუტია მოთავსებული, კოპწია ქალაქია. აქვეა განლაგებული რამდენიმე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ქალაქში ვერ ნახავთ ვერც ერთ ქარხანას, ფაბრიკასა და სხვა საწარმოს. ბუმერდესი მხოლოდ სტუდენტთა ქალაქია.

ალჟირელმა ხალხმა 1962 წელს თავისი მიწა-წყლიდან საბოლოოდ განდევნა ფრანგი კოლონიზატორები და დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობა დაიმკვიდრა. ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის ეროვნული კადრების მომზადება. საბჭოთა კავშირმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ალჟირს. ჩვენი ქვეყნიდან ალჟირში მრავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გაიგზავნა.

მსუბუქი მრეწველობის ეროვნულ ინსტიტუტში, სადაც მე მიმავლინეს, მრავალი საბჭოთა მოქალაქე მუშაობს. ინსტიტუტი ამზადებს ინჟინერ და უმაღლეს-ტექნიკოს ფეიქრებს, აგრეთვე სპეციალისტებს კვების მრეწველობის, სასმელებისა და თამბაქოს ტექნოლოგიის დარგში.

მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი სწავლობს. სტუდენტებს საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი სწავლისა და დასვენებისათვის. ლაბორატორიები საბჭოური და უცხოური თანამედროვე დანადგარებით არის აღჭურვილი.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, სტუდენტები დიდი პატივისცემით ეპყრობიან საბჭოთა სპეციალისტებს. ეს გასაგებიცაა — ისინი ნათლად ხედავენ, საბჭოთა ადამიანები როგორი ცოდნით, მონდომებითა და გულისყურით ეკიდებიან დაკისრებულ საქმეს.

ბუმერდესში მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტებს ვუკითხავდი ლექციებს. რაოდენ სასიამოვნო იყო, როცა შევიტყვე, რომ ჩემი სტუდენტები საკმაოდ კარგად იცნობდნენ საქართველოს!

ალჟირში ჩემს ჩასვლამდე მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში ქართველი სპეციალისტები მუშაობდნენ და ისინი თურმე ხშირად ესაუბრებოდნენ სტუნდენტებს საქართველოს შესახებ. არც მე ჩამოვრჩი კოლეგებს. როგორც კი მოვიხელთებდი დროს, სტუდენტებს ვაცნობდი საქართველოს წარსულს, მის დღევანდელ დღეს, მომავლის გეგმებს. ვუჩვენებდი ფერად სლაიდებს, რომლებზეც თბილისის ხედები იყო აღბეჭდილი. სტუდენტები ყოველთვის დიდი ყურადღებით მისმენდნენ.

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ჩატარებისას ხშირად მიხდებოდა ალჟირის სხვადასხვა ქალაქებში ჩასვლა. ერთხელ, ქალაქ თიარეთში, შალის საქსოვ ფაბრიკაში, თვალი შევასწარი ეზოში რომ წვავდნენ ფერადი მატყლის გამოუსადეგარ ნარჩენებს. მალევე დავადგინე, რომ ფაბრიკაში ყოველდღიურად, თურმე, 100-120 კილოგრამი შალის გამოუსადეგარი ნარჩენები ინვებოდა. აი, სწორედ მაშინ მომივიდა აზრი, რომ მატყლის ეს ნარჩენები მხატვრულ-დეკორატიული ქეჩის დასამზადებლად გამოგვეყენებინა.

სათანადო პრაქტიკული გამოცდილება უკვე მქონდა. საქართველოში, შულავრის ქეჩის ფაბრიკაში, რამდენიმე ხნის წინათ დავამზადეთ დეკორატიული ქეჩები, რომლებმაც დიდი მოწონება და გამოყენება ჰპოვა სხვადასხვა დაწესებულებათა ინტერიერების გასაფორმებლად.

გადავწყვიტეთ, გვესარგებლა ჩვენს მიერ შემუშავებული საწარმოო წესით დამზადების ტექნოლოგიით და ქალაქ თიარეთის შალის საქსოვი ფაბრიკის მატყლის ნარჩენებით მასიურად დაგვემზადებინა მხატვრულ-დეკორატიული ქეჩები.

მეოთხე კურსის სტუდენტები მოწონებით შეხვდნენ ამ წინადადებას. დაუყოვნებლივ ჩამოვაყალიბეთ კონსტრუქტორთა ჯგუფი, რომელმაც ლაბორატორიული დანადგარებისათვის საჭირო ნახაზები შეადგინა.

ჩვენი თაოსნობის წარმატებით დაგვირგვინებაში დიდი დახმარება გაგვიწია ინსტიტუტის რექტორმა ა. აიშურმა.

მეოთხე კურსის სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებს დავავალეთ, თავიანთი ქვეყნის ეროვნული ორნამენტების გამოყენებით შეექმნათ ფერადი ქეჩების ესკიზები.

საქმემ სწრაფად წაიწია წინ. ჩვენი კათედრის ლაბორატორიაში სტუდენტებმა სხვადასხვა ორნამენტისა და კომპოზიციის ფერადი ქეჩები დაამზადეს.

დამზადებული პროდუქციის ოცამდე ნიმუში ინსტიტუტის სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე წარვადგინეთ.

სტუდენტების ხელით დამზადებულმა დეკორატიულმა ქეჩებმა და ჩემს მიერ წაკითხულმა მოხსენებამ მხატვრულ-დეკორატიული ქეჩების წარმოშობის ისტორიისა და ქეჩების ტექნოლოგიის შესახებ, დამსწრე საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ალჟირის სხვადასხვა საფეიქრო საწარმოთა სპეციალისტები და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლებიც.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ სპეციალისტებმა მთხოვეს, კონსულტაცია და პრაქტიკული დახმარება გამეწია მათთვის მხატვრულ-დეკორატიული ქეჩების დამზადების ტექნოლოგიის ათვისებაში.

ალჟირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს განზრახული ჰქონდა, ქალაქ ბუჯაიასთან უახლოეს ხანში აეგო ახალი ქარხანა, რომელიც სხვადასხვა საფეიქრო ნაწარმს გამოუშვებდა. სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სწორედ ამ ქარხანაში დაეწყოთ მხატვრულ-დეკორატიული ქეჩების მასიური წარმოება.

მეორე დღეს, როცა ლექციის წასაკითხად აუდიტორიაში შევედი, სტუდენტები ფეხზე წამოდგნენ და სუფთა ქართული გამოთქმით ერთხმად შესძახეს: „გმადლობთ, ბატონო ნოდარ!“

ორმა წელმა შეუმჩნევლად გაირბინა. დადგა ჩემი გამომგზავრების ჟამი. ფაკულტეტის სტუდენტებმა გამომაცილეს ავტობუსამდე, რომელსაც აეროპორტში მივყავდი.

დღესაც თითქოს ნათლად ჩამესმის ყურში გაბონელი ზანგი სტუდენტის ბუსამბას, კაბილიელი დაუს, კამერუნელი რუმბაგოს და სხვათა გამოსამშვიდობებელი სიტყვები:

— მადლობა საქართველოს!

**ნოდარ ცაგარელი,**
პროფესორი.

## გზადაგზა აკრეფილი წკიპურტები

— წერას თავი უნდა დავანებო. ვგრძნობ, გენიალურს ვერაფერს შევქმნი.
— ეს უკვე გენიალურია.

* * *

— მაპატიეთ, თქვენი წიგნი არ წამიკითხავს.
— დაწერეთ წერილი ჩემ წიგნზე და გაპატიებთ.

* * *

— თქვენ ცოტა მტერი გყავთ და ბევრი მოყვარე, რატომ?
— იმიტომ, რომ ცოტა მწერალი შევაქე და ბევრი გავაკრიტიკე.

* * *

— რა მოხდა? ამ პოეტმა როცა პირველი ლექსი დაამთავრა, ტაში არ დაუკრეს, მეორე ლექსი ტაშით შეაწყვეტინეს, მესამე ლექსი ჯერ არ დაუწყია და უკვე ტაშს უკრავენ?

* * *

— რატომ წერთ მოკლე ლექსებს?
— ეკონომიას ვაკეთებ.
— სულ რომ არ დაწეროთ?..

* * *

ასი წლის მწერალმა თქვა:
— ორმოცი წლის რომ ვიყო, იუბილეს გადამიხდიდნენ.

* * *

— პატივცემულო კრიტიკოსო, რატომ აქებთ ყვავს და რატომ ლანძღავთ გედს?
— იმიტომ, რომ ყვავი დიდხანს ცოცხლობს და შორ-შორს დაფრინავს.

**ვახტანგ გორგანელი**

# ჟურნალ „დროშის“ 1981 წლის ლაურეატები



გარუნ აკოფოვი



ვლადიმერ ალფენიძე



ამირან გაბესკირია



ვასილ გვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი გიგაური



არჩილ გოგელია



ნოდარ გურაბანიძე



ნოდარ გურეშიძე



გიორგი თოთიბაძე



მიხეილ კვირიკაშვილი



ვასილ მჭედლიშვილი



ალექსანდრე ტაბატაძე



მორის ფოცხიშვილი



ვენორი ქვაჩახია



რაულ ჩილაჩავა



ოთარ ჭელიძე

„დროშის“ სარედაქციო კოლეგიის გასული წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჟურნალ „დროშის“ პრემიით აღინიშნა 1981 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შემდეგი ნაწარმოებები: **გარუნ აკოფოვის** სპორტული ნარკვევები „ისევ ფეხბურთი“ და „კიდევ ერთი მწვერვალი“ (№ 2, № 5); **ვლადიმერ ალფენიძის** მოთხრობები „სიყვარული და უკვდავება“, „ღვთაებრივ ხილვათა ღამე“ (№ 1, № 6); **ამირან გაბესკირიას** თარგმანი ფაზილ ისკანდერის მოთხრობისა — „ხელის ჩამორთმევა“ (№ 7); **ვასილ გვეტაძის** ლირიკული პოემა „საქართველოდან ყამირ მიწაზე“ და მხატვრული ნარკვევები „თამარ ყუფუნიას წერილი“, „ჯარისკაცის დედა“ (№ 11, № 3, № 7); **გიორგი გიგაურის** მხატვრული ნარკვევი „მზე რუხის ციხეზე“ (№ 9); **არჩილ გოგელიას** წერილი „დინამოს“ ახალი აღმართი“ (№ 11); **ნოდარ გურაბანიძის** წერილი „გამარჯვება“ (№ 2); **ნოდარ გურეშიძის** სპორტული ნარკვევი „ტყუილად როდი ვქომაგობდით“ (№ 6); სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, პროფესორ **გიორგი თოთიბაძის** ვ. ი. ლენინის პორტრეტი (№ 4); **მიხეილ კვირიკაშვილის** ფოტოსურათი „ხევსური გოგონა“ (№ 12); **ვასილ მჭედლიშვილის** მხატვრული ნარკვევები „ნინო ანანიაშვილი“ და „ნათელი კაცი“ (№ 10, № 11); **ალექსანდრე ტაბატაძის** მხატვრული ნარკვევი „არაგვის ხეობაზედა“ (№ 10); **მორის ფოცხიშვილის** ლექსი „თბილისობა“ (№ 10); პროფესორ **ვენორი ქვაჩახიას** წერილი „რა ძევს კაცით კაცამდე“ (№ 3); **რაულ ჩილაჩავას** ლექსების ციკლი (№ 9); **ოთარ ჭელიძის** ლექსი „მოლოდინის ბალადა“ (№6).

# ამელიტა

**ვალენტინ სილვესტრუ**
(რუმინეთი)

აქსინტეს ყოველდღე მოსდიოდა სენსაციური ცნობები თავის ცოლზე, რომელიც მომხიბლავი ქერა ქალი იყო, ნატურალური დალალებით და მიბნედილი შავი თვალებით.

აქსინტე ახლა წყნარად ზის კანტორაში და გულიანად შეექცევა საუზმეს, რომელიც მოუმზადა და პაკეტში ჩაუწყო ამელიტამ (ასე ეძახდნენ მის ცოლს: ამელიტა გალიკურჩს).

აქსინტეს მარჯვენა ხელში ბუტერბროდი უჭირავს. მარცხენათი ტელეფონის ყურმილს იღებს და მშვიდად ისმენს დილის პირველ ცნობას, რომელსაც უცნობი ქალბატონი გრებედეუ გადმოსცემს.

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, — აღელვებით იწყებს ქალბატონი გრებედეუ, — იძულებული ვარ, გაცნობოთ. თქვენი ცოლი ზედა სართულის აივნიდან გადმოვარდა.

— რატომ გადმოვარდა? — გულგრილად კითხულობს აქსინტე, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად პირველ სართულზე ცხოვრობს.

— თქვენმა ცოლმა აივნის მოაჯირზე ბალიში დადო. ბალიში ქუჩაში გადავარდა, ბალიშს საბანი მიჰყვა, საბანს — ამელიტა.

— ბალიში და საბანი დაზიანდა?

— არა. ბალიში, საბანი და თქვენი ცოლი ვიღაც ახალგაზრდა, წარმოსადეგმა კაცმა აიტანა ზევით. დანარჩენი არ ვიცი...

სადილობის დროს ხვითონ ამელიტამ დარეკა.

— ძვირფასო, — ამელიტას ხმა უთრთოდა, — რატომ გამოდის ბოლი ჩვენი ახლად ნაყიდი მაცივრიდან?

— შიგ რაღაც იწვის და იმიტომ.

ამელიტა მაცივარს ეცა. ზედა თაროზე, სპირტით სავსე ქილის გვერდით, გავარვარებული უთო იდო...

ერთ მშვენიერ დღეს აქსინტემ ხელი ჩაიქნია, მთაში გაიქცა და ორი კვირა დაიკარგა. რობინზონ კრუზოსავით დაეხეტებოდა, ხან რომელიღაც ტურბაზაში შოულობდა საჭმელს, ხან კიდევ მშიერ-მწყურვალი ტყეში ათენებდა ღამეებს. ეს ამბავი მას შემდეგ მოხდა, როცა ამელიტამ სარეცხის გაფენა მოისურვა და აივანზე დედიშობილა გავიდა. ამელიტას საქციელს მაშინვე მოჰყვა სამი ტროლეიბუსის, ორი ფურგუნის და კეფირის დამტარებელი ერთი ურიკის ერთდროული შეჯახება.

მოიწვიეს ადგილკომის სხდომა. გააკრიტიკეს აქსინტე. იმის გამო, რომ იგი ნაკლებად ზრუნავს ცოლის კულტურული დონის ასამაღლებლად, ერთხმად გამოუცხადეს საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ამელიტა დიასახლისი იყო. პროფკავშირში არ ირიცხებოდა და მისი საქციელი იმიტომ განიხილეს ქმრის სამუშაო ადგილზე.

აქსინტეს მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როცა ამელიტა დაუკითხავად შევარდა ადგილკომის თავმჯდომარის კაბინეტში და მტკიცება დაუწყო — უაღრესად ინტელექტუალური ქალი ვარ, განსაკუთრებით კულტურულ სფეროშიო.

— ძმაო, — ტელეფონის ყურმილში სასოებით შევევედრა აქსინტეს ადგილკომის თავმჯდომარე, — ხომ ვერ შემიძლებ, ახლავე მოუძებნე ჩემთან და შენი ცოლი წაიყვანო?

— მანდ რა უნდა ამელიტას?

— სატვირთო მანქანით და ორი მტვირთავით მოვიდა. ბიბლიოთეკებში შეგროვებული პროფგამომცემლობის ყველა წიგნი მოიტანა. ზის და მიმტკიცებს — ახლავე დაგანახებთ, როგორი კულტურული ქალი ვარო... მოდიხარ? გაითვალისწინე, ჩვენც ადამიანები ვართ!..

აქსინტემ ტელეფონის ყურმილი დადო და მთებში გაიქცა. იგი ორი კვირის შემდეგ დააბრუნეს ბუზეულის მიუვალი მთებიდან. ნახევრად გაველურებულ აქსინტეს შემთხვევით წააწყდა ფოლკლორის ინსტიტუტის ექსპედიცია, რომელიც მეცნიერებისათვის უცნობ ძველებურ ხალხურ სიმღერებს აგროვებდა.

თარგმნა ვასილ ლაფერაშვილმა.

## ბულგარელი მეგობრების ღიმილი

— მოქალაქე ოთხსართულიან სასტუმროში შევიდა.

— რა ღირს ნომერი?

— პირველ სართულზე ნომერი რვა ლევი ღირს, მეორე სართულზე — ექვსი ლევი, მესამე სართულზე — ოთხი, მეოთხეზე — ორი. მოიცათ... სად გარბიხართ?

— ხუთსართულიან სასტუმროში!

* * *

— ლანგეტი შემიწვით.

— დიდი სიამოვნებით.

— დიდი სიამოვნება აიღეთ და დიდი ნაჭერი ხორცი დადეთ.

* * *

— ძვირფასო, სიტყვას ვერ ვპოულობ... არ ვიცი, რა გითხრა...

— მითხარი, რამდენი გაქვს ხელფასი.

* * *

— მიირთვით ტყის ვაშლი. ნუ მოგერიდებათ, ბევრი მაქვს... წელს ღორებს აღარ ვასუქებ.

* * *

— მდოგვი არ მინდა.

— ვინც ძეხვს ყიდულობს, მდოგვს უფასოდ ვაძლევთ.

— მაშინ ძეხვი არ მინდა.

* * *

— ჩემი ოცნებაა, ამერიკაში ვიმოგზაურო. რა დამიჯდება ეს მგზავრობა?

— არაფერი.

— რატომ?

— ოცნებაში ფულს არ ახდევინებენ.

* * *

— მდიდარი კაცი ხართ და რატომ მგზავრობთ მესამე კლასის ვაგონით?

— იმიტომ, რომ მეოთხე კლასის ვაგონი არ არსებობს.

* * *

— თქვენთან რომ ვიმუშაო, რამდენს მომცემთ ხელფასს?

— ჯერ სამოცდაათ ლევს, ერთი წლის შემდეგ კი ას ლევს.

— მაშინ ერთი წლის შემდეგ მოვალ.

* * *

— რატომ ყიდით კვერცხს ასე ძვირად?

— შიგ წიწილა ზის და იმიტომ.

თარგმნა ოთარ ქავთარაძემ.

---

გარეკანის პირველ გვერდზე: ქ. თბილისის მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტი მაია აბაიშვილი, გარეკანის მეოთხე გვერდზე: „სიტკბო შემოდგომისა“. საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ჩანართის პირველ გვერდზე: სსრ კავშირის სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე რიჩარდ III-ის როლში. ფოტო გონდო დადვაძისა.

ჩანართის მეოთხე გვერდზე: „ზამთრის პეიზაჟი“. საქინფორმის ფოტოქრონიკა.

გადაეცა წარმოებას 16. XII. 81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. I. 82 წ. უე 06015. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93. ტირაჟი 60900 შეკვ. 3155. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-89, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინდექსი 76056